

K 220989
3

ზ. განერაფე



ცისქავრის მზეარ-არაელი
ნამოსახედარი

„გეოგრაფია“

1994

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

არქეოლოგიური კომისია

არქეოლოგიური კვლევის ცენტრი



ჭ. მახარაძე

ცისიაზორის გვევარარაჭელი ნამოსახლარი

კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები


II



თბილისი

მეცნიერებათა

1994



ციხიაგორის მტკვარარაქსული კულტურის ნამოსახლარზე 1986—1987 წლებში დანართების შედეგები წარმოადგენს იმ მუშაობის მინიჭებული ანგარიშს, რომელსაც აწარმოებს კაპის არქეოლოგიური ექსპედიცია შიდა ქართლ-ში, სოფ. კავთისხევის მახლობლად მრავალფენინ ძეგლზე „ციხია გორა“.

ნაშრომში მოცემულია, ერთი მხრივ, არქეოლოგიური გათხრების მიღლინარეობის ობიექტური სურათი და ნივთიერი მასალის აღწერა-დახსიათება, მეორე მხრივ, განათხარის განზოგადება-დათარიღების ცდა. ნაშრომს თან ახლავს თიხმოცაოთხი ტაბულა, სადაც წარმოდგენილია ველზე შესრულებული ტოპოგრაფიული და არქიტექტურული ანაზომები, ფოტოდოკუმენტური სურათები, ტაბულები ძირითადი ნივთიერი მასალით და ცალკეული ნივთების ფოტოსურათები.

ნაშრომი შეიცავს ფერტობრივ მასალას და ცნობებს აღრებრინჯაოს ხაის საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეთ შესახებ: ნამოსახლარის ხაითი, გეგმა-რება, შენგათა ტიპი, გეგმა, კონსტრუქციები, სამშენებლო მასალა და ხერხები. მეურნეობის დონე, სარწმუნოებრივი წარმოდგენები და სხვა.

ნაშრომი გამზინებულია კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის არქეოლოგიის სპეციალისტებისათვის. ის უთუოდ გამოადგება ისტორიისა და მის მომიჯნავე დარგებში — კულტურის, ხელოვნების, არქიტექტურისა და სხვა ისტორიაში — მომუშვევ და, საერთოდ, საქართველოს უძველესი კულტურით დაინტერესებულ პირთაც.


რედაქტორი საქართველოს მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი
ო. ჯაფარიძე

რეცენზიერები — ისტ. მეცნ. კანდიდატები: გ. ცქითიშვილი,
გ. ფხავაძე

მ 0504 000000
M 607 (06) — 94 65—94

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1994

ISBN 5—520—01544—9



შ 1 ს ა ვ ა ლ ი

220.989

მტკვარ-არაქსის კულტურა ბ. კუფტინმა ამ საუკუნის 30-იან წლებში გამოყო მტკვრისა და არეზის ორმდინარეთში მოპოვებული არქეოლოგიური მასალების მიხედვით (კუფტინი, 1944). ეს იყო საკ-მაღდ განვითარებული, თავისებური სამიწაომაქმედო კულტურა. შემ-დგომში გაირკვა, რომ იგი ვრცელდება თითქმის მთელ ამიერკავკასია-ში, ჩრდილო კავკასიის აღმოსავლეთ და ცენტრალურ ნაწილში, ჩრდი-ლო დასავლეთ ირანსა და აღმოსავლეთ ანატოლიაში. სამხრეთით იგი საქმაოდ შორს ჩანს — სირიასა და პალესტინაში, სადაც ცნობილია კირბეტ-კერაკის კულტურის სახელწოდებით (მუნჩაევი, 1975, გვ. 149). უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ სხვა კავკასიურ კულტურას, არც მანამდე და არც მერე, ისე ფართო გავრცელება არ მიუღია, როგორც მტკვარ-არაქსისას. ამ კულტურის მატარებელმა ტომებმა უთუოდ მე-ტად შნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კავკასიისა და წინა აზიის ფაფელეს ისტორიაში (ჯაფარიძე, 1976, გვ. 62).

მიუხედავად იმისა, რომ დიდძალი ლიტერატურა, როგორც ცალ-კული პუბლიკაციები, ისე შემახამებელი ნაშრომები, მიეძღვნა ამ კულტურის შესწავლას (ჯაფარიძე, 1961, 1976; კუშნარიოვა, ჩუბინი-შევილი, 1970; მუნჩაევი, 1975), არ არსებობს ერთიანი აზრი მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითად პრობლემებზე; არ არის გადაწყვეტილი ამ კულტურის გენეზისის საკითხები და მისი ურთიერთობა წინამორ-ბედ კულტურებთან. შემდგომ შესწავლას მოითხოვს ამ კულტურის ლოკალური ვარიანტების თავისებურება. საჭიროა ქრონოლოგიის და-ზუსტება. არ არის ერთიანი აზრი ამ კულტურის დაცემის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მტკვარ-არაქსის კულტურისა და ადრეული ყორლანების კულტურის ურთი-ერთობის საკითხები (ჯაფარიძე, 1988, 1989) და ადრებრინჯაოს ხანი-დან შუაბრინჯაოს ხანაზე გადასვლის პრობლემები (გოგაძე, 1972).

დღეს არსებული მონაცემებით, მტკვარ-არაქსის კულტურის გან-ვითარებაში ორი უტავი გამოიყოფა: უნეოლითური და ადრებრინჯაოს

რსადგენერაცია
0002-გცევ

ხანის (ჯაფარიძე, 1976, გვ. 88). ადრეულ, ენეოლითურ, ქეგლებად არის მიჩნეული დიდუბე და კიკეთი (კუფტინი, 1941, გვ. 115—116; ჯაფარიძე, 1961, გვ. 115—116; ფხავაძე, 1963), ხიზანაანთ გორა, E. თონწვე (კიკვიძე, 1972), სამშვილდე (მირცხულავა, 1975), თრელი (აბრაშიშვილი, 1978, გვ. 34—44) და სხვა. ადრეული ქეგლების უმაღლესობა ქვემო ქართლის რეგიონშია განლაგებული, ხამაც მისცა საშუალება ო. ჯაფარიძეს გამოეთქვა მოსაზრება, რომ სწორედ ქვემო ქართლი არის ის რეგიონი, სადაც ყალიბდებოდა მტკვარ-არაქსის კულტურა (ჯაფარიძე, 1976, გვ. 76). თუმცა ასებობს სხვა მოსაზრებებიც.

ენეოლითურ ეტაპზე მტკვარ-არაქსის კულტურა გასაოცარ ერთგვაროვნებას იჩენს საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. ეს ერთგვაროვნება მისი ადრეული საფეხურისთვისაა დამახასიათებელი. შემდგომში, IV ათასწლეულის ბოლოსათვის, უკვე ირლევება მტკვარ-არაქსის კულტურის ერთიანი ხასიათი, იწყება მისი ფართოდ განვენა, ლოკალური კულტურის ჩამოყალიბება და სხვა. ამ დროიდან იგი განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ადის. იწყება მტკვარ-არაქსის კულტურის ადრებრინჯაოს ხანის ეტაპი (ჯაფარიძე, 1976, გვ. 88).

ქრონოლოგიურად მტკვარ-არაქსის კულტურა ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში და ძვ. წ. III ათასწლეულის ფარგლებში ექცევა (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962, გვ. 54—59; კუშნარიოვა, ჩუბინიშვილი, 1970, გვ. 178—179; მუნჩევი, 1975, გვ. 193). შეინიშნება მტკვარ-არაქსის კულტურისა და საერთოდ, ენეოლით-ბრინჯაოს ხანის ქრონოლოგიის დაძველების ტენდენცია (ქავთარაძე, 1983), მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა არ იზიარებს ამ მოსაზრებას და ტრადიციული ქრონოლოგიით სარგებლობს. განვითარებული, ადრებრინჯაოს ხანის ეტაპი ამ კულტურისა ძვ. წ. III ათასწლეულით თარიღდება. ამ პერიოდში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების თითქმის მთელი ტერიტორია მჭიდროდ დასახლებული ჩანს (მუნჩევი, 1975, გვ. 149). მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომები ითვისებენ როგორც ბარს, ისე მთის ზონას.

ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურას განიხილავენ როგორც ერთიან კულტურულ-ისტორიულ მოვლენას, მაგრამ თავისი ლოკალური თავისებურებებით. განსხვავება ლოკალურ ვარიანტებს შორის გამოიხატა ნამოსახლარების ტოპოგრაფიაში, ნაგებობების არქიტექტურაში და მშენებლობის ტექნიკაში, მატერიალური კულტურის ზოგიერთ ელემენტში და სხვა.

ერთ-ერთი მძლავრი კერა მტკვარ-არაქსის კულტურისა გამოვლენილია საქართველოს ცენტრალურ რეგიონში — შიდა ქართლში. აქ განლაგებული ძეგლები შეადგენენ მტკვარ-არაქსის კულტურულ მატერიალურ ცელების საერთო არეალის ჩრდილო-დასავლეთ გზულებულ მატერიალურ გვარის შედის ზემო იმერეთის, საჩხერეს ძეგლები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შიდა ქართლში შესწავლილ ნამოსახლარებს — „ქვაცხელები“ (ჭავახიშვილი, ღლონტი, 1961) და „ხიზანაანთ გორა“ (კიკვიძე, 1972), რომლებზეც სტრატიგიკული მონაცემების წყალობით, დგინდება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების თითქმის ყველა საფეხური, ამიტომ, ამ კულტურის შესწავლისას, ეს ძეგლები სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული ეტალონურ არქეოლოგიურ კომპლექსებად.

ქვაცხელები || ქვაცხელა ანუ ტვლებია ქოხის ნამოსახლარი 1954—1961 წლებში შეისწავლა ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმა ალ. ჭავახიშვილისა და ლ. ღლონტის ხელმძღვანელობით. აქ გაითხარა ადრებრინჯაოს ხანის ორი დონე — B და C, ექვსი ნასახლარი ფენით (ჭავახიშვილი, ღლონტი, 1962).

ხიზანაანთ გორის ნასახლარი 1960—1964 წლებში შეისწავლა ამავე ექსპედიციის რაზმა ი. კიკვიძის ხელმძღვანელობით. ამ ნამოსახლარზე დამოწმებულია ოთხი დონე — B, C, D, E, ცერა ნასახლარი ფენით (კიკვიძე, 1972).

ხიზანაანთ გორა-ქვაცხელების სტრატიგიკული მონაცემების საფუძველზე შეიქმნა შიდა ქართლის ადრებრინჯაოს ხანის განვითარების ერთანი შეკლი, სადაც E დონე მტკვარ-არაქსის კულტურის საწყის ეტაპს განეკუთვნება, ხოლო B დონე მისი გვიანდელი საფეხურია. ციხიაგორის ადრებრინჯაოს ხანის ფენის შესწავლა ერთგვარად ცვლის ჩვენს შეხედულებებს შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელი ეტაპის შესახებ და საშუალებას იძლევა უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ კულტურის განვითარების ფინალურ ეტაპზე.

ამავე დროს, სამეცნიერო ლიტერატურაში მტკიცედ დამკვიდრდა აზრი, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში ამიერკავკასიაში, კერძოდ კი, აღმოსავლეთ საქართველოში, ირლვევა მტკვარ-არაქსის კულტურის სტაბილური ხასიათი, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეული უნდა ყოფილიყო აქ ახალი — ჩრდილოური და სამხრეთული — ელემენტების გამოჩენით (ჭავახიძე, 1988, გვ. 25; ფიცხელაური, 1988, გვ. 220). ამ დროს ვრცელდება დაკრძალვის ახალი



წესი — გრანდიოზული ყორლანული ინდივიდუალური სამარხები, მიცვალებულისთვის ეტლის ჩატანება, იგრძნობა დიდი ქვრები სოციალურ ურთიერთობაში და სხვა (ჯაფარიძე, 1991, გვ. 136).

ურთიერთობაში და სოციალურ ურთიერთობაში

აღრეული ყორლანების განუფი თრიალეთში ბ. კულტინმა შემოკიდევ 30-იან წლებში გამოყო (კუფტინი, 1941, გვ. 101—105). შავ პლანული ყორლანები აღრებრინჯაოს ხანას მიაკუთვნა და ძვ. წ. XXIV—XXII ს. დაათარიღდა (კუფტინი, 1948, გვ. 75). მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 1966 წელს ბედენის პლატოზე გათხრილმა მდიდრულმა ყორლანებმა (გობეგიშვილი, 1981), იმდენად განსხვავებული ინვენტარით, რომ დამკვიდრდა ცნებები — ბედენური კულტურა, ბედენური კერამიკა. გ. გობეგიშვილმა ბედენური ყორლანები ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრით და II ათასწლეულის დასაწყისით დაათარიღდა (გობეგიშვილი, 1981, გვ. 133). შემდგომში ბედენური ყორლანები, გამორჩეული თავისი მასშტაბურობით, შესწავლილი იყო კახეთში (დედაბრიშვილი, 1979). აღრეულ ყორლანებს მიეკუთვნება აგრეთვე ქვემო ქართლში შესწავლილი ყორლანები (ჯაფარიძე, 1975) და მარტყოფის ყორლანები (ჯაფარიძე, კიკიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1980; ჯაფარიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1986; ჯაფარიძე, 1991, გვ. 138—143). ამ და სხვა ყორლანული სამარხების მასალის საფუძველზე გამოიყო აღრეული ყორლანების კულტურა, რომელიც ორ განუფი იყოფა: აღრეული — „მარტყოფული“ და მოვაინო — „ბედენური“ (ჯაფარიძე, 1988, 1989). უაღრესი ყორლანების გამოჩენის თარიღი შეიძლება ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუა ხანით განისაზღვროს. ბედენის საფეხური ამავე ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნება და შესაძლოა ძვ. წ. II ათასწლეულის ზასაწყის ხანში გადადიოდეს (ჯაფარიძე, 1989, გვ. 38—39; ჯაფარიძე 1991, გვ. 153).

აღრეული ყორლანების კულტურა საქართველოში ძირითადად სამარხეული კომპლექსების მასალებით განიხილება (ჯაფარიძე, 1991, გვ. 136—153; ლორთქიფანიძე, 1989, გვ. 114—124) და მას, როგორც გარდამავალ ეტაპს, ათავსებენ მტკვარ-არაქსის კულტურასა და შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორლანულ კულტურას შორის. ამავე ღროს, ჯერ კიდევ აღრე, მკვლევართა ერთმა ნაწილმა საკმაოდ საფუძვლიანად დააკავშირა აღრეული ყორლანები მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლართა ფინალური ეტაპის სამშენებლო დონეებთან და სამარხებთან (კუშნარივა, ჩუბინიშვილი, 1970, გვ. 62; დედაბრიშვილი,



1969, გვ. 57—59; გოგაძე, 1972, გვ. 95; ორჯონივიძე, 1983, გვ. 108—109).

მეტად მნიშვნელოვანია ბოლო წლებში აღმოსავალი კულტურული და საზოგადო ციფრული ნამოსახლარების მონაცემები. პირველ რიგში ეს არის ბერიკლდეების ნამოსახლარი, სადაც ბედენური ფენა დაფიქსირდა (ლონტი, ნემსაძე, ჭავახიშვილი, 1986; ლონტი, ჭავახიშვილი, 1987) და ხაშურის ნაცარგორა, სადაც მტკვარ-არაქსული და ბედენური მასალების თანაარსებობა დადასტურდა (რამიშვილი, 1987; ორჯონივიძე, 1992).

სწორედ მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური ეტაპის და ადრე-ყორლანული მასალების შემცველი ნამოსახლარების მონაცემების და მათი სტრატიგრაფიული ურთიერთმიმართების შესწავლა, საშუალებას მოვცემს უფრო ნათელი წარმოდგენა კავკასიაში და კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ადრებრინჯაოს ხანის დასასრულს. ციხიაგორის მტკვარარაქსული ნამოსახლარი იმ ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის, რომლის მასალებში გარკვეულად აისახა ის რთული მოვლენები, რომლებიც აღნიშნულ პერიოდში ვითარდებოდა შიდა ქართლში და მათი ფართო სამეცნიერო მიმოქცევაში შე-კვანძმ შესაძლოა შეავსოს ჩვენი წარმოდგენა ამ რეგიონის კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესებზე ძ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში.

— [მარჯო აურა! ახლოსთან ხოლო ეზო]

I. გათხრების მიზანისართვება

შესახალი

ციხიაგორა მდებარეობს შიდა ქართლის რეგიონში, კასპის რაიონში, სოფ. კავთისხევის ჩრდილოეთით. კავთისხევიდან კასპისეკნ მიმავალი საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს 500 მ-ზე, ჩოჩეთის უბნის განაპირის, მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროზე. იმ მიდამოებში, საღაც პატარა მდინარე შავწყალა ერთვის კავთურას (ტ. I). გეომორფოლოგიურად გორა ამოზიდული ტიპისაა. მისი საშუალო სიმაღლე 12 მეტრია, თხემის ფართობი 0,5 ჰა აღმატებოდა.

ძეგლის შესწავლა 1971 წელს დაიწყო, კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, გ. ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით. გათხრისას გორაზე დადასტურდა სამი კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა — ადრებრინგაოსი, გვიანდრინგაოსი და ანტიკური ხანის (ცქიტიშვილი, 1977).

1972 წელს ადრებრინგაოს ხანის კუთვნილი ნაშთები გაითხარა გორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ფერდზე. გამოვლინდა ერთი შენობის ნაშთი; შენობა ნაგები იყო ლასტით, რომელიც ორივე მხრიდან შელესილი იყო თიხით. ლასტისანაბეჭდიანი ბაქაშები ფარავდა იატაკს. შენობა, ჩანს, დამხრობილი იყო ჩრდილოეთიდან სამხრეთი-საკენ. გათხარა ჩრდილო, უკანა მხარე, დანარჩენი ფერდობის ჩაქცევისას განადგურებულია. შენობას შესასვლელი სამხრეთი, ფერდობის მხრიდან ჰქონდა. იატაკი — თიხის, კარგად მოტკეპნილი. შემონახული უკანა კედლის გასწვრივ გამართული იყო თარისებრი მცირე შემაღლება, რომლის ბოლოები, ნაწილობრივ, გვერდის კედლების გასწვრივაც გადიოდა. შენობის შემონახული ჩრდილო-დასავლეთი კუთხე მორჩვალებული იყო. ოთახის ღერძის ხაზზე, კედლიდან 1,5 მ დაშორებით, ამოღებული იყო დედაბოძის ორმო, რომლის გვერდები ქვეთ იყო გამაგრებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა კედლის გახშვრივი შემაღლება. მასზე ჯგუფ-ჯგუფად ეწყო თიხის ჭურჭელი — ერთი მოზრდილი დოქტორის და მის ირგვლივ სამი თუ ოთხი პატივული გამოყვანილი თიხის სასმისი. სულ იყო 6 ასეთი ჯგუფი. სამ-სამი დოკტორის ჭურჭელი იდო ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, დედაბომსა და შემაღლებას შორის იატავზე.

შეკვეთა აზრით, გათხრილი შენობა სრულიად ანალოგიური ჩანს ქვაცხელების C1 ფენისა და ამდენად, იგი ძვ. წ. III ათასწ. დამდეგსა და პირველ ნახევარს მიაკუთვნეს (შატბერაშვილი, ცემოვნიშვილი, 1973, გვ. 61—62).

შემდგომი კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ადრებრინჯაოს ხანის ფენა მთელ ბორცვზე ვრცელდება.

ზემოხსენებული სამი კულტურულ-ქრონოლოგიური ფენის გარდა, 1988 წელს ციხიაგორაზე გამოვლინდა შუაბრინჯაოს ხანის ფენაც, რომელიც წარმოდგენილია მცირე ზომის ყორლანული სამარხებით (ცახელიშვილი, 1990).

ციხიაგორის ყველაზე მნიშვნელოვან ფენად ანტიკური ხანის ფენა მიჩნეული. მისი სიმძლავრე 3,5 მ აღემატება. ამ ფენას ეკუთვნის უნიკალური სატაძრო კომპლექსი, რომელიც ძვ. წ. IV—III საუკუნეებით თარიღდება. სატაძრო კომპლექსი გორის თითქმის, მთელ თხემს იყავებს, მასში შედის ოვით ტაძარი და მასთან დაკავშირებული სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები — მარანი, ბეღელი, წისქვილი, სათონე და სხვა. სატაძრო კომპლექსი შემოზღუდულია გალავნით (ცემოვნიშვილი, 1990, გვ. 169—171).

როგორც აღვნიშნეთ, სატაძრო კომპლექსი თავისი მნიშვნელობით უნიკალურია. ამიტომ მიმდინარეობს მისი რესტავრაცია. შესაბამისად, აღრეული ფენების შესწავლა ხერხდება მხოლოდ გორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, რომელიც გათხრებამდე იყო დაზიანებული და ტაძრის დროინდელი რამე მნიშვნელოვანი ნაგებობები არ აღმოჩენილა.

1986—1989 წლებში ჩვენ მიერ შესწავლილი იქნა ციხიაგორის ადრებრინჯაოს ხანის ფენა. წინამდებარე ნაშრომი ასახავს ამ მუშაობის შედეგებს და მიზნად ისახავს მოპოვებული მასალების ფართო სამეცნიერო მიმკერვაში შეყვანას.

ადრებრინჯაოს ხანის ფენის შესასწავლად გათხრილი ფართობი 300 კვ. მ აღემატება.

ციხიაგორა, მიმდებარე ტერიტორიით, დაყოფილია სექტორები, 100×100 მ-ზე, ჩვენი გათხრები მიმდინარებულია XXVI სექტორში. სექტორები დაყოფილია კვადრატებად 4×4 მ-ზე.



დონიაზის და ფენიაზის აღწერილობა

ანტიკური ხანის ფენების ქვეშ. რომელთა სიმძლავრე 3,5 მ აღემა-ტება, 0,5—0,7 მ სისქის გვიანბრინჯაოს ხანის ფენა გაითხარა, რომლის ქვეშ გამოვლინდა 0,3 მ სისქის ღია ნაცრისფერი დანალექი, სტერი-ლური ფენა. ეს სტერილური ფენა, ადრე და გვიანბრინჯაოს ხანის ფენებს შორის შეიქმნა მაშინ, როდესაც ბორცვი მიტოვებული იყო და საცხოვრებლად არ გამოიყენებოდა. ამვე დანალექ ფენაზე გამართუ-ლი იყო შუაბრინჯაოს ხანის გვიანდელი ეტაპის ყორლანული სამარ-ხები (ტ. II).

დანალექი ფენის ქვეშ აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის ფენა, 1 მ სი-მძლავრის, რომელშიც ორი დონე გამოიყოფა A და B. დონე A ორ ნასახლარ ფენას შეიცავს, დონე B — სამ ნასახლარ ფენას (ტ. II).

მიუხედავად ფენებს შორის არსებული კავშირისა, ყოველი მათ-განის მასალაში შეინიშნება ზოგიერთი თავისებურება, რომელიც სა-განგებოდ აღნიშნული იქნება გამოყოფილი ფენების დახასიათებისას. ფენების აღწერას შევუდგებით ზევიდან ქვევით*.

A დონე

ეს დონე თითქმის მთლიანად განადგურებული იყო გვიანდელი ორმოებით და გვიანბრინჯაოს ხანის შენობების საძირკვლებით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ ფართობზე 80-ზე მეტი სამე-ტურნეო ორმო გამოვლინდა. ორმოები სხვადასხვა ზომისაა, ღიამეტ-რით 1—1,7 მ, ზოგიერთის სიღრმე 2 მ აღწევს, ხშირად ჭრიან ერთ-მანეთს. ამ ორმოების უმრავლესობა ანტიკურ და გვიანბრინჯაოს ხა-ნას მიეკუთვნება. ბევრი მათგანი გრუნტამდე არის დაყვანილი და ადრებრინჯაოს ხანის ფენას ძლიერ აზიანებს.

A დონე. გათხრილი ფართობის ჩრდილოეთ ნაწილში არის შე-მორჩენილი მე-15, მე-40, 41-ე, 42-ე კვადრატებში, ამ დონის სიმძლავ-

* ჩახაზები შესრულებულია მ. ყარაშვილის მიერ. მასალა ჩახატა დ. ფირალი-შეილმა.

რე საშუალოდ 30—40 სმ უდრის. იგი ორ ნასახლარ ფენას შეიცავს.
ამ დონეს მიეკუთვნება აგრეთვე 13 ორმო (ტ. III).

A1 ფენა. უშუალოდ დანალეჭი ფენის ქვეშ (ტ. III). 
ში გამოვლინდა შენობის ნაშთი. გაიშმინდა იატაკი 1,8 მ, მრავალჯერ არის მოლესილი ყვითელი ფერის ნამჯანარევი თიხით. ჩრდილოეთ მხარეს ნაგებობა გაუთხრელ ფართობში შედის. დასავლეთ და სამხრეთ მხარეს შენობა დაზიანებულია გვიანდელი ორმოებით. აღმოსავლეთ მხარეს გამოვლინდა კედელი, თიხის, სიგრძე 1,2 მ, სიგანე 15 სმ, სიმაღლე 15—20 სმ. იატაკი მომრგვალებული კუთხით უერთდება კედელს. კედელი, როვორც ჩანს, თიხატეკნილი ან ალიზისა. არც სარების, არც წნევლის კვალი არ ეტყობა. იატაკს დახრა აქვს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. სათავსოს კედლიდან 40 სმ დაშორებით, იატაკზე დაძერწილია გამოუწვავი თიხის როვლი, გარე ღიამეტრი 35 სმ, შიდა 10 სმ, სიმაღლე 1—3 სმ. აღმოსავლეთი მხარე უფრო მაღალია. ცეცხლის კვალი არ ეტყობა (ტ. IV₁, V₁). იატაკზე in situ აღმოჩნდა დიდი ჭურჭლის ნატეხები, შავპრიალა, ვარდისფერ-სარჩულიანი, დიდი ნახევარსფერული ყურებით: მის გვერდზე ორი პატარა ქილა, მთელი (ერთი მათვანი ობსიდანის დიდ ნუკლეუსზე იყო დაპირქვავებული) და ერთი წელში გამოყვანილი პატარა სასმისი (ტ. LV).

41-ე—42-ე კვადრატებში გამოვლინდა მეორე შენობის ნაშთი. იატაკი, რომელიც ყვითელი ფერის ნამჯანარევი თიხითაა მოლესილი. მისი სისქე 5—6 სმ შეაღენდა, იგი მრავალჯერ არის მოლესილი. ნა-ჯებობის ზომების და გეგმარების გარკვევა არ ხერხდება. იატაკი მო-ფენილი იყო კერამიკის ნატეხებით (ტ. LVI—LVII). 41 კვადრატში, № 28 ორმოს პირას დაფიქსირდა კერის ფრაგმენტები, რომელიც ძლი-ერ იყო დამტვრეული (ტ. III, LVIII).

ფენას ცეცხლის კვალი არ ეტყობა. არც დიდი ნგრევის ნიშნებია. ამ ფენის შენობები მიტოვებული ჩანს.

A2 ფენა. მისი სიმძლავრე 15—20 სმ შეაღენს. ასევე ფრაგმენ-ტულად დაფიქსირდა მე-40-ე, 41-ე კვადრატებში., გაიშმინდა საკ-მაოდ დიდი თიხატეკნილი მოედანი, რომელიც წვრილი რიყის ქვების შემზადებაზე არის გამართული. მოედანზე კერამიკის რამდენიმე გრო-ვა დაფიქსირდა (ტ. LIII—LIV). მოედანი მოლესილი იყო ყვითელი ფერის ნამჯანარევი თიხით. მასაც არ ეტყობოდა ცეცხლის კვალი.

ამავე ფენას ეკუთვნის დაუღენელი დანიშნულების, საშუალო ზომის რიცის ქვებისაგან შემდგარი ქვაყრილი 89, 90 კვადრატებში და ნაცროვანი ფენა 116 კვადრატში.

ა დონეს მიეკუთხება, როგორც თავისი სტრატიგრაფიული მდგრადი სალით, ორმოები №№ 4, 5, 11, 15, 18, 19, 62, 68, 69, 77, 78, 79, 81.

ამ ორმოებში ორი ჯგუფი გამოიყოფა.

პირველი ჯგუფი — ორმოები №№ 4, 11, 15, 18, 19, 62, 68. მათი დიამეტრი 0,8—1 ს, სიღრმე 0,6—0,8 მ. კედლები სწორი, ცილინდრული მოყვანილობისა აქვთ. ორმოები ამოვსებული იყო მოზრდილი ქვებით, ნაცრით, მცირე ჩაოდენობით ობსიდიანის უსახო ანატკეცებით და კერამიკის მცირერიცხოვანი ნატეხებით, რომელთა ზედაპირი დაფარული იყო სხვადასხვა მხარეს უსისტემოდ მიმართული სავარცხლისებური ზოლებით და შავპრიალა, თხელკეციანი ჭურჭლების ფრაგმენტებით (ტ. LXVII_{1, 3}, 4, 5, 6; LXIX_{2, 3}).

მეორე ჯგუფი — ორმოები №№ 5, 69, 77, 78, 79, 81. მათი დიამეტრი 1,2—1,7 მ, სიღრმე 1,3—1,6 მ. ფორმით ზარისებური, ძირისკენ გაფართოებული. ორმოებს ძირზე 10—15 სმ ნაცრის ფენა ჰქონდათ და მთელ სიმაღლეზე ნაცროვანი შერები შეიმჩნეოდა. ზოგიერთ მათგანს ფსკერზე გაურკვეველი ფორმის დანახერწები ჰქონდათ, გამოუწვავი თიხით გაკეთებული, რომლის დაფიქსირება ვერ მოხერხდა. ამ ჯგუფის ორმოებში მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა აღმოჩნდა (ტ. LXI—LXVII; LXVIII_{1, 2}; LXIX₁).

სტრატიგრაფიულად, პირველი ჯგუფი ორმოებისა უფრო გვიანდელია, რაღაც, ზოგ შემთხვევაში, ისინი ჭრიან A₁ ფენის იატკეცებს. მაგრამ მათ A დონეს ვაკუთვნებთ, რაღაც ისინი სტერილური ფენის შექმნამდეა ჩაჭრილები.

მეორე ჯგუფის ორმოები A დონის ნასახლარ ფენებს ეკუთვნიან, სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მათი ნაწილი ცოტა უფრო აღრეა გამართული, იმ მცირე ქრონოლოგიური წყვეტილის დროს, რომელიც არსებობს A და B დონეებს შორის. ყველა შემთხვევაში ორმოები ჭრიან B დონის სამიერ ნასახლარ ფენას.

А დონის ორმოები, ჩვენი აზრით, მიეკუთხება არა სამეურნეო, არამედ სარიტუალო ორმოებს. ეს მოსაზრება უფრო ნათლად დასტურდება ორმოებში აღმოჩენილი ნივთიერი მასალის ანალიზის დროს.



A დონის ქვეშ, გათხრილი ფართობის მთელ სივრცეში აღმოჩნდა და ახალი დონე, რომელიც სამ ნასახლარ ფენას შეიცავს. უკავშირდები ერ გამოყოფილია როგორც B დონე. ეს დონე გამოეყოფა ზედა A დონეს თხელი ნაცროვანი ფენით და ალაგ-ალაგ შეიმჩნევა 2—3 სმ სისქის ნაცრისფერი დანალექი ფენა, რაც გვაფიქრებინებს ამ ორ დონეს. შორის არსებულ მცირე ქრონოლოგიური წყვეტილის არსებობას. B დონის ქვედა ნასახლარი ფენა უშუალოდ განამარხებულ ჰუმუსს აღევს. ამ დონის სიმძლავრე საშუალოდ 60—70 სმ უდრის.

B₁ ფენა. ამ ფენის სიმძლავრე, ყველაზე უკეთ შემორჩენილ, გათხრილი ფართობის სამხრეთ ნაწილში, საშუალოდ 25 სმ უდრის. 90, 91, 115, 116 კვადრატებში გამოვლენილია რამდენიმე შენობის ნაშთი (ტ. VI).

115-ე, 116-ე კვადრატებში გაიწმინდა ნაგებობის იატაკი, 5×4 მ, 7 სმ სისქის, მოლესილი ყვითელი ფერის წმინდა თიხით, რომლის ცენტრში მრგვალი, შვერილებიანი, 1 მ დიამეტრის, კერა იყო ჩაღმული; კერა ქვებით და ნაცრით იყო მოვესებული, მისი ერთი მოტეხილი შვერილი საკმაოდ ღრმად, ქვებს შორის აღმოჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს კერა ამოქოლეს. კერა ძლიერ იყო დაზიანებული ანტიკური ხანის ორმოთი (ტ. V₂). კერის ჩრდილო-დასავლეთით, 0,5 მ დაშორებით, იატაკში ჩაღმული იყო ჯამისებური ჭურჭელი (ტ. XLVII ვ). იატაკი დასავლეთიდან იფარგლებოდა ქვის კედლით, რომლის სიგრძე 4 მ, სიგანე 0,7 მ, სიმაღლე 0,3 მ-ია. ხოლო ჩრდილოეთიდან მას უერთდებოდა ალიზით ნაგები კედელი, რომლის შერჩენილი სიგრძეა 1,6 მ, სიგანე 0,4 მ, სიმაღლე 0,15 მ. ეს ორი კედელი შენობის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს კრავს. როგორც ჩანს, შენობა მართკუთხა ფორმის იყო, 5×4 მ. შესასვლელი სამხრეთიდან უნდა ჰქონოდა.

ამ შენობის ჩრდილოეთ კედელს უშუალოდ უკავშირდებოდა კიდევ ორი სათავსო. 90 კვადრატში, ალიზის კედლის ჩრდილოეთით, დაფიქსირდა მასთან დაკავშირებული თიხატკეპნილი იატაკი, რომელზეც დიდი ზომის ჭურჭლების გვერდები იყო დალაგებული (ტ. XLIII). ხოლო 91 კვადრატში გაითხარა პატარა, როგორც ჩანს, სამეურნეო დანიშნულების, სათავსო. იგი მართკუთხა ფორმისა — 2,8×2 მ. შერჩენილი ჰქონდა კედლები ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ მხარეს. კედლების სიგანე 0,3 მ, სიმაღლე 10—15 სმ. ჩრდილოეთი კედე-

ლი ბრტყელი რიყის ქვებით იყო ნაგები, დანარჩენი კედლები თიხა-ტქებინილია. ამ სათავსოს იატაკი 10 სმ-ით დაბალია ძირითადი შენობის იატაკის დონეზე. იატაკზე აღმოჩნდა ერთი დიდი ჭურჭლების ნაშთები ვების გროვა.

უნდა აღინიშნოს, რომ B₁ ფენის შენობების ნაშთებს ცეცხლის კვალი არ ეტყობათ, ხოლო მათი იატაკები მოლესილია უშუალოდ B₂ ფენის ბათქაშებზე.

B₁-ფენას მიეკუთვნება № 17 სარიტუალო ორმო. ორმოს დია-მეტრი 1,2 მ, სიღრმე 1,7 მ. ზარისებური ფორმისაა.

ორმოს ძირი 20 სმ სისქის წმინდა ნაცრის ფენით იყო მოტკეპ-ნილი. მთელ სიმაღლეზე ორმოს მოუყვებოდა ნაცრით მოტკეპნილი შეები 8—10 სმ სისქის. სულ 7 შეების დაღასტურდა. შეებს შორის მანძილი 15—20 სმ-ია. შეებზე საგანგებოდ იყო დალაგებული რო-გორც მთელი ჭურჭლები, ისე ჭურჭლის ნატეხები და სხვა ნივთიერი მასალა. ზოგ შემთხვევაში, ერთი ჭურჭლის ნატეხები სხვადასხვა შეე-ებზე ელაგა (ტ. XLIX—LII).

აგრეთვე B₁ ფენას მიეკუთვნება 66-ე კვადრატში გამოვლენილი, იატაკზე დაძერწილი გამოუწვევით თიხის რგოლი, 1,1 მ ღიამეტრის. რგოლის შიდა კედლებს ცეცხლის სუსტი კვალი ეტყობა. იგი ამოვ-სებული იყო წმინდა ნაცრით. რგოლს დასავლეთის მხრიდან გამარ-თული ჰქონდა, ბრტყელი ქვებისაგან შედგენილი პატარა ბაქანი, რაც შესაძლოა საკურთხევლის ნაშთი იყოს.

B₂ ფენა. ციხიაგორაზე გამოვლენილი ნასახლარებიდან განსაკუ-თრებით მყაფიოდ ჩანს ხანძრისაგან განადგურებული ნასახლარი, რო-მელიც მოქცეული გვაქვს B დონის მეორე ფენაში. ხანძარმა დაან-გრია შენობები, მაგრამ, ამასთანავე, გამოწვა მისი ნაწილები, თიხა-აგურად აქცია და ხე ნახშირად, ნანგრევების სქელი ფენის ქვეშ ხელ-უხლებლადაა დაკონსერვებული შენობები და მათში მოქცეული ნაშ-თები. სწორედ ამან მოგვცა საშუალება გავრჩევულიყავით ამ ფენის ნა-გებობათა გეგმაში, კონსტრუქციებში, დეტალებში და დაგეგმარების პრინციპებში.

ფენა მდებარეობს უშუალოდ B₁ ფენის ქვეშ. იგი გამოვლენილია ჩვენ მიერ გათხრილ მთელ ფართობზე, შესწავლილია სამი შენობის ნაშთი (ტ. VII).

№ 1 შენობა მდებარეობს განათხარი ფართობის ჩრდილო-დასავ-ლეთ ნაწილში, მე-14, მე-15, 39-ე, 40-ე, 64-ე, 65-ე კვადრატებში (ტ. VIII—XVII). იგი წარმოადგენს ორთახიან, სარ-ლასტზე თიხით

მოლესილ ნაგებობას, 66 კვ მ ფართით, ფასადით სამხრეთისაკენ ორი ენტირებულს.

ნაგებობა მთლიანად დაფარული იყო 20—30 სმ სისქეზე მიშადე-
ქცეული და გადამწვარი აგურისფერი, ზოგან ღია-წითელი ფერის თი-
ნის კედლის ნანგრევებით. განსაკუთრებით კარგად ჩანს ჭრივანი ფე-
ნობის ჩრდილოეთის, აღმოსავლეთის და სამხრეთის კედლები, რომ-
ლებიც გადმოწლილი იყო ოთახებში. აქ თოვქმის უძრავად იდო კედ-
ლის მოზრდილი ნაწილები, წვრილი პარალელურად დალაგებული წნე-
ლების ანაბეჭდით. გვხვდებოდა აგრეთვე წნელშემოხვეული სარის.
ანაბეჭდიანი ნატეხები.

შენობის კედლის სისქე 10—25 სმ უდრიდა და მასში მწკრივად
იყო ჩასმული მრგვალგანივევეთიანი სარები; ამჟამად მათგან გადარ-
ჩენილია ფოსოები. ზოგიერთ მათგანში ჩარჩენილი იყო ნახშირად ქცე-
ული სარის ძირები. ფოსოების, ე. ი. სარების, თავდაპირველი დიამეტ-
რი 5—7 სმ უდრიდა, ხოლო მათ შორის მანძილი 16—18 სმ. ფოსოს
სიღრმე 20—25 სმ აღწევდა. ზოგიერთი სარი ჩათლილი იყო საგან-
გებოდ და ოთხახნაგა მოყვანილობა ჰქონდა მიცემული; სარის ძი-
რების ირგვლივ შერჩენილი იყო მათზე შემოწნული წვრილი წნელე-
ბის ანაბეჭდი. სარებისა და ლასტისაგან დაწნული ხის კარკასი ორივე
მხრიდან შელესილი იყო თიხის რამდენიმე ფენით, რომელთაგან გა-
რეთ ფენა უფრო წმინდა სტრუქტურითა და ოხელი ნალესობით გამო-
ირჩევა. შენობის კედლები შემორჩენილი იყო 15—20 სმ სიმალეზე;
კედლების თავდაპირველი საერთო სიმალე 2,5 მ-ზე მეტი უნდა ვი-
ვარაუდოთ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათი გადმოწლილი
ნანგრევები შენობის ცენტრამდე აღწევდა. კედლების შელესილობა
მომრგვალებით გადადიოდა იატაკის შელესილობის ზედა ფენაში. კედ-
ლის ძირი გარედან გამგრებული იყო თიხნარი მიწით.

შენობის იატაკი წარმოადგენდა მრავალშრიან, 10—12 სმ სისქის
მტკიცე ნალესობას.

№ 1 შენობის ცენტრალური სათავსო წარმოადგენს ოთხუთხა,
ოლონდ ძლიერ დამრგვალებულკუთხებიან ოთახს, ზომით 7×6 მ.
ოთახის ცენტრში, იატაკში ჩაჭრილი იყო მართკუთხა ფორმის დედა-
ბობის ორმო, ორმოს ზომება 30×20 სმ; სიმალე 40 სმ; ორმო გარ-
შემოწყობილი იყო რიყის ქვებით. ორმოდან სამხრეთით 15 სმ და-
შორებით, იატაკში ჩალესილი იყო თიხის, 92 სმ დიამეტრის, მრგვალ-
შეერილებიანი კერა (ტ. VIII, XII, XIII), ორიენტირებული შესას-
ვლელისაკენ. კერას ირგვლივ შემოუყვება 10 სმ სიგანის დაბალი

ლარი. შიდა მხარეს კერას მიძერწილი აქვს ოთხი ღიღი და ერთი პატარა, ცენტრისკენ მიმართული და ოდნავ ბოლოაშეული, შევრილი. მანძილი შესასვლელისკენ მიქცეულ წყვილ შეერილს უზრუნველყოფა დიდია, ვიდრე დანარჩენს შორის; მეტუთე შეერილი მუშატზეჭრაშესას პირდაპირე მხარეს, პატარა შეერილზე ორივე მხარეს ჩაღრმავებაა, რომლებიც თვალებს უნდა გამოხატავდეს. კერა, რომლის სიღრმე 25 სმ-ია, სანახევროდ ამოვსებულია ნაცრითა და წვრილფეხა საქონლის (ცხვრის) დამწვარი ძვლებით. კერის ზედაპირი გაპრიალებულია, ძლიერ დამსკლარია და მუქი მოყავისფრო შეფერილობა აქვს.

კერასა და საბორე ორმოს შორის, იატაკზე ამოტვიფრულია გასხივისნებული წრე, რაც მზის ან სხვა სოლარული ნიშნის გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს. იგი დაზიანებულია ზედა ფენის ბოძის ორმოს მიერ.

ბოძის ორმოს ჩრდილო-დასავლეთით, 1 მ დაშორებით, კერამიკის გროვის ჭვეშ აღმოჩნდა იატაკზე ამოტვიფრული გაურკვეველი ხასიათის გამოსახულება და ჭურჭლის ჩასაღვეველი 10 სმ დამეტრის ფოსო.

შენობის ცენტრალური სათავსოს უკანა, ე. ი. ჩრდილოეთი კედლის გასწვრივ გამართულია 10 სმ სიმაღლისა და 60 სმ სიგანის შემაღლება, რომლის ბოლოები, ნაწილობრივ, გვერდით კედლების გასწვრივაც გადის, რის გამოც მისი ნაპირი ტალისებურად უხვევს. შემაღლება წვრილი კენჭებისა და თიხის მასით არის მოტკეპნილი. ამ შემაღლების შევსებაში შეგვხვდა დამტვრეული სტაციონარული კერის ფრაგმენტები.

შემაღლებაზე შერჩენილი იყო გაკრიალებამდე მოლესილი ზედაპირი, რაც შესაძლებელია საგანგებოდ მოტკეპნისა და გამოწვის შედეგი იყოს, ნაგებობის იატაკზე მსგავსი რამ არ ყოფილი შემჩნეული, თუმცა მისი ზედაპირი საკმაოდ კარგად იყო თხელ ფენად მოტკეპნილი. შემაღლების ნაპირსა და კედლის ძირში გავლებული ყოფილა 5 სმ სიგანის წითელი სალებავის ზოლი, რომელიც ალაგ-ალაგ იყო შემორჩენილი.

შემაღლების შემორჩენილ მონაკვეთზე, რომლის სიგრძე 2 მ უდრის, დაფიქსირდა ერთი ნაცარგროვა. ნაცარგროვას დაახლოებით წაკვეთილი კონუსის მოყვანილობა ჰქონდა, 40 სმ დამეტრის. ზემოდან ის მოლესილია თიხის მეტად თხელი ფენით, წრიულად, ისე, რომ შუაგული ნალესობით დაფარული არ არის; შელესილობა შელებილია ინტენსიური წითელი ფერით. მასთან დაწყობილი იყო დაპირქვევე-

შეული საში ჰატარა სასმისი (ტ. IV. XI), ხოლო თვით შემაღლებას და იატაკზე, მათ ახლოს აღმოჩნდა ათ თიხის ჭურჭელი (ტ. XXIV—XXV). ერთ მათგანში (ტ. XXVI₁) აღმოჩნდა ძვლისგან დამზადებული ქვერა რამდენალური, მრავალგანივცვეთიანი, 8 სმ სიგრძის განკუთხული (ტ. XXXIII₁); მეორეში (ტ. XXIV₃) კი ბრტყელი, ყუნწიანი, 21 სმ სიგრძის ბრინჯაოს სატევარი (ტ. XXXIII₁).

№ 1 შენობის ცენტრალურ სათავსოს სამხრეთიდან მიშენებული აქვს ტრაპეციის ფორმის, ზომით 6X5 მ, სათავსო, მომრგვალებული კუთხეებით. ამ სათავსოს იატაკი 10 სმ-ით დაბალია ცენტრალური სათავსოს იატაკზე და უკავშირდება მას 10 სმ სიმაღლის თიხატკეპნილი საფეხურით. სათავსოს აქვს ორი შემაღლება, აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლების გასწვრივ (ტ. VIII).

აღმოსავლეთი შემაღლება 50 სმ სიგანისა და 7 სმ სიმაღლისაა. იგი ძლიერ არის დაზიანებული ზედა ფენების ორმოებით. შემაღლების გადარჩენილ ნაწილზე აღმოჩნდა ორი ნაცარგროვა, 30 სმ დია-
98 მეტრის. ისინი ერთმანეთისაგან დაშორებული არიან 30 სმ-ით. თითო-
ეულ ნაცარგროვასთან, ერთმანეთის გვერდით დაპირქვავებული იყო
ო ორ-ორი ჰატარა სასმისი. მათ შორის ჩადგმული იყო ბაღია. შემაღლე-
ბაზე მრავლად აღმოჩნდა დანახშირებული მარცვლეული (ხორბალი
და ქერი), კაუის ნამგლის ჩასართები, სამი ცალი, რომელთაგან ერთი
ნამგლი იყვრება (ტ. X₂).

შემაღლებასთან, სათავსოს იატაკზე აღმოჩნდა კერამიკის დიდი გროვა. ამ გროვაში იყო ათამდე ქოთანი და ტოლჩა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი ორნამენტირებული ჭურჭელი (ტ. XXVI), რომელშიც იყო კაუის ყუნწიანი ისრისპირი და ნამგლის ჩასართი (ტ. XXXIII_{3, 4}), რეის ნატეხი და ჰატარა, მრგვალი, შავი რიყის ქვა თეთრი თვალით. ჭურჭელი აღმოჩნდა როგორც იატაკზე, ისე იატაკი-დან საქმაოდ მაღლა, კედლის ნანგრევებში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ნაწილი ჭურჭლისა კედელს გადმოყვა ნგრევის დროს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კედელს ხის თარო (ან თაროები) გასდევდა, რომელზეც ჭურჭელი იყო დალაგებული. აღმოსავლეთ შემაღლებას სამხრეთ კედელთან ჰქონდა გაგრძელება, რომელზეც დიდი დერგი დაფიქსირდა. ალაგების შემდეგ გაირკვა, რომ დერგი ჩადგმული იყო საგანგებოდ გაკეთებულ ფოსოში (ტ. XVI).

დასავლეთი კედლის შემაღლება თითქმის მთლიანად იყო გადარჩენილი. შემაღლების სიგანე 50 სმ-ია, სიმაღლე 8—10 სმ. სამხრეთ

კედელთან აქვს გაგრძელება; რომლის სიმაღლეა 6—8 სმ. მასზე ორი წლის
შურქლის ჩასადგმელი ფრსო იყო გაკეთებული, ერთში დღი დევგო
იყო ჩადგმული (ტ. VIII, X.).

დასავლეთ შემაღლებაზე აღმოჩნდა ლარნაკის ტიპის ნუთი ჭრის
შელი, რომლის ქუსლი შემაღლებაზეა მოლესილი. ნაცარგოვები, რომ
მელიც გვხვდება ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შემაღლებებზე დასა
ერთოდ ცნობილია მტკვარ-არაქსის კულტურის, ნამოსახლარებიდან,
შარმოადგენს ახეთი ლარნაკის ტიპის ჭურქლის ქუსლს. ქუსლზე და
ძერწილია ზედა ნაწილი, რომლის კედლები თხელი, სუსტად გამომ-
წვდის. თიხით და ნაცრით არის ნაძერწი. კედლები შედგებოდა 3—4
მმ სისქის. წმინდა თიხის შრისაგან, რომელთა შორის ახეთივე სისქის
წმინდა ნაცრის ორი შერ იყო. ჭურქელი, როგორც ჩანს, გამოუწვევდა
იყო, ხაგანგებოდ ნაძერწი რაღაც რიტუალის ჩასატარებლად. მხოლოდ
ხანძარმა, რომელმაც გაანალგურა შენობა, ოდნავ გამოწვა ისინი და
გაამაგრა, რამაც მათი დაფიქსირების საშუალება მოგვცა. დიამეტრი ამ
ჭურქლისა 50 სმ, სიმაღლე გადარჩენილი იყო 10—15 სმ-ზე. ჭურ-
ჭელში დაფიქსირდა მარცვლეული, ხორბალი და ქერი. შემაღლებაზე
უხვად მიმობნეული მარცვლეული, როგორც ჩანს, ამ ჭურქლიდან იყო
გადმოყრილი. ჭურქელი შეღებილია წითლად, განსაკუთრებით ინ-
ტენსიური ფერით კი ქუსლებია შეღებილი. მათთან იყო დაპირქვევე-
ბული პატარა სასმისები: ჩრდილოეთიდან მოყოლებული — პირველ-
თან — 3, მეორესთან — 3, მესამესთან — 2; მეოთხესთან — 4, მეხუ-
თესთან — 1 (ტ. XIII₂, XIV, XV₁). მოლესილ ჭურქელს შორის ჩა-
დგმული იყო კერამიკა — ქონები, ბაზიკი, საინტერესოა, რომ ამ
შემაღლებაზე აღმოჩნდა დიდი, გვერდამოღებული, სტაციონარული,
ტაფისებური ჭურქლის ნახევარი, ხოლო მეორე ნახევარი ამ ჭურ-
ჭლისა, ამავე შენობის ცენტრალური ოთხის ჩრდილოეთ შემაღლე-
ბაზე იღო (ტ. XXVIII₁).

ამ შემაღლებაზეც აღმოჩნდა კაუის ნამგლის ჩასართები, სამი ცა-
ლი, რაც ერთ ნამგალს კრაგს.

სათავსოს იატაკზე, დასავლეთი შემაღლების სამხრეთ ნაწილთან,
ჭურქლის ჩასადგმელი სამი ფოსოა გაკეთებული. ორ მათგანში ჭურ-
ჭელი იყო ჩადგმული. ამ სათავსოში სულ აღმოჩნდა ორმოცამდე დიდი
და მომცრო ზომის თიხის ჭურქელი (ტ. XXVI—XXXIII). იატაკზე,
ისევე როგორც ძირითად სათავსოში, ამოტვიფრული იყო გამოსახუ-
ლებები. ერთ-ერთი გამოსახულება დასავლეთ თაროსთან სვასტიკას
მოგვაგონებს.

№ 1 შენობაში ბათქაშების სიმრავლე მიგვითითებს საკმაოდ მაღალ კედლებზე. ზოგ ადგილას დაფიქსირდა კედლის შიდა შელეიი-ლობა, რომელსაც წითელი ზოლების კვალი ემჩნეოდა. ურთვევული შენობის ორივე სათავსოში, იატაკის ღონეზე და ბათქაშების ფიქსირდა საშუალო ზომის ბრტყელი ფილაქები, რომლებიც აშკარად ზემოდან არის ჩაცვენილი ნაგებობის ნგრევის დროს (ტ. IX). შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ბრტყელი ქვები გადახურვის კონსტრუქციაში რაღაც ფუნქციას ასრულებდნენ.

იატაკი და შემაღლებები შენობაში საგანგებოდ იყო მრავალჯერ მოლესილი წმინდა თიხით. ასეთი განახლების კვალი 17 დავითვალეთ. იატაკი შავი იყო (შებოლლილი), შესაძლოა, იგი ხანძრის შედეგად შეიბოლა, მაგრამ უფრო მართებულია ვივარაუდოთ, რომ იატაკი საგანგებოდ იყო შებოლლილი, რადგან 17-ვე განახლებას ზემოდან შავი ფერი ჰქონდა.

№ 1 შენობას შესასვლელი სამხრეთიდან ჰქონდა. შენობის სამხრეთი კედლის სატლასტი უწყვეტია, ამრიგად, შესასვლელი გადასაბიჯებელი იყო. სამხრეთ კედლელთან მიშენებული ჰქონდა 1 მ სიგანის დერეფანი, რომლის 15—20 სმ სიგანის კედლები იგივე წესითაა ნაგები, როგორც შენობის. დერეფანში შესასვლელი აღმოსავლეთის შეჩიდანაა. დერეფანში, შენობის სამხრეთ კედლელთან, ქვებზე გადებული იყო ხის მსხვილი ძელი, რომელიც საფეხურის დანიშნულებას ასრულებდა (ტ. XV₂).

№ 1 შენობა აგებულია საკმაოდ მძლავრ, 25—30 სმ თიხის მოედაზე, რომელიც საგანგებოდა მომზადებული. მის ქვეშ, შავი განამახხებული ჰქონდასის ფენა დევს.

89-ე კვადრატში გაითხარა სამეურნეო ნაგებობის ნაშთი. ფართობზე — 4×4 მ — დაფიქსირდა თიხით მოლესილი იატაკი, რომელზეც 10 სმ სისქის მარცვლეულის ფენა აღმოჩნდა. ზევიდან ბათქაშის სქელი ფენა გადადიოდა. ნაგებობის ფორმა გაურკვეველია, იგი ან წრებული ფორმისა უნდა ყოფილიყო, ან მართულთხა, ძლიერ მომრგვალებული კუთხეებით.

№ 2 შენობა გაითხარა 115-ე 116-ე 140-ე, 141-ე კვადრატებში. იგი ორი სათავსოსაგან შედგება (ტ. VII, XX). შენობის კედლების სიგანე 20 სმ, კედლები შემორჩენილია 10—15 სმ სიმაღლეზე. ნაგებია ფაცხისებურად, წნელით და ორმხრივ შელესილია თიხით, მთელი შენობა დაფარული იყო ჩამონგრეული კედლების ბათქაშე-

ბის მძლავრი ფენით. ბათქაშებს კარგად ეტყობოდა სარლატის კვალი.

შენობის იატაკი საგანგებოდა მოლესილი წმინდა თიხით.

შენობის ძირითადი სათავსო ოთხეუთხა — 6×6 მ ^{ფოტოზე}, ძლიერ მომრგვალებული კუთხეებით და კედლებით. შენობის იატაკი სათავსოს გამყოფი ჩრდილოეთი კედელი აქვს სწორი.

№ 2 შენობის ძირითად სათავსოს ცენტრში გამართული იყო იატაკში ჩადგმული, წრიული სტაციონარული კერა. კერის მოაჯირი შოლესილია იატაკზე. მისი დიამეტრია 90 სმ, სიღრმე 25 სმ, შიდა მხარეს დაძერწილი აქვს ოთხი შვერილი (ტ. XVIII). კერაში აღმოჩნდა წმინდა ნაცარი.

კერის სამხრეთით, 50 სმ-ში კი, დედაბოძის ნაშთი, გათლილი, მართკუთხა (15×10 სმ) ფორმისაა.

კერისა და ბოძის ირგვლივ, იატაკზე, დაფიქსირდა შვიდი გათლილი ძელის ნაშთი. ძელები ოთხეუთხაა, 10×10 სმ. ძელები რადიალურად იყო განლაგებული და როგორც ჩანს, გადახურვის კონსტრუქციის შეადგენდნენ (ტ. XX). ხანძრის დროს ჭერ გადახურვა ჩამოიჩნდა, ხოლო შემდეგ კედლები გადმოიქცა.

ძირითადი სათავსოს უკანა, სამხრეთ კედელს მიუყვებოდა შემაღლება, თიხისაგან გაკეთებული, 10 სმ სიმაღლის. გადარჩა შემაღლების მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი, რადგან სამხრეთი კედელი და თარო ბორცვის ფერდზე იყო და ჩაირეცხა. შემაღლებაზე აღმოჩნდა კაჟის ნამგლის ჩასართები, კერამიკის ნატეხები და ორი გადასატანი კერის ფრაგმენტები (ტ. XXXVIII).

სათავსოს იატაკზე აღმოჩნდა რამდენიმე თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და აღმოსავლეთ კედელთან — დიდი რაოდენობით მარცვლეული (ტ. XXXIV—XXXV).

მეორე სათავსო, № 2 შენობის წინა ოთახს წარმოადგენს. იგი მარტკუთხა ფორმისაა — $5,5 \times 3,2$ მ. აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ კედლებს შემოუყვება შემაღლებები, სიგანე 40 სმ, სიმაღლე 10 სმ. მავე სიმაღლისაა პატარა, 80×60 სმ თარო ან საფეხური, გაკეთებული ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში.

კედელში, რომელიც ორ სათავსოს ყოფს, დატოვებულია ღიობი, 70 სმ სიგანის, რომელიც აკავშირებს ამ ორ სათავსოს.

ამ სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა თიხის ორი ჭურჭლი, თიხისაგან დამზადებული ხარის პატარა ქანდაკება და სამი სხვადასხვა ზომის ნამგალი. დაფიქსირდა თვით ხის ბულები,

რომლებშიც ჩამაგრებული იყო კაჟის ჩასართები (ტ. XXXVI—
XXVII).

№ 2 შენობას შესასვლელი ჩრდილოეთიდან ჰქონდა მუკარებული

ნორჩურის მიერებს № 1 შენობას, მხოლოდ № 1 შენობა უფრო მღიდოული ჩანს ინვენტარის მხრივ.

გეგმარებით, ეს ნაგებობები შესასვლელით ერთმანეთის პირის-
პირ არაან მიმართულნი.

№ 3 შენობის ფრაგმენტი გაითხარა 41-ე, 42-ე კვადრატებში. გამოვლინდა სამხრეთი კედელი 4 მ სიგრძისა და 20 სმ სიგანის და აღმოსავლეთი კედელი 90 სმ სიგრძის და 30 სმ სიგანის. ეს კედელი გაუთხრელ ფართობში შედის. კედლები შემორჩენილი იყო 20—25 სმ სიმაღლეზე. ნაგები იყო სარლასტით და ორმხრივ შელესილი თიხით. შენობა დამწვარი იყო. ბათქაშების ქვეშ აღმოჩნდა თიხით მოლესილი იატაკი, რომელზეც წმინდა ნაცრის სქელი ფენა დაფიქსირდა. 41-ე კვადრატში, ნაგებობის დასავლეთ ნაწილში, კედლიდან 10 სმ დაშორებით, აღმოჩნდა იატაკზე დაძერწილი თიხის რგოლი, 35 სმ ღიამეტ-რის, რგოლის კედლების სისქეა 2—3 სმ, სიმაღლე 3—4 სმ. რგოლის შიდა ნაწილი ჩაღრმავებული იყო და შევსებული ნაცრით (ტ. VII).

შენობის იატაკზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

შენობის წინა სივრცე კარგად იყო მოტკეპნილი თიხით.

ამავე ნასახლარ B2 ფენას მიეკუთვნება 65-ე, 66-ე, 67-ე კვადრა-
ტებში გამოვლენილი, W—O მიმართულებით გამავალი გზა ან ბილი-
კი, რომელიც 7,5 მ სიგრძეზე დაფიქსირდა და რომლის სიგანეა 1,2 მ. ბილიკი დაწყობილი იყო დიდი ბრტყელი რიყის ქვებისაგან და გადა-
ლესილი იყო თიხის 3—4 სმ სისქის ფენით. თიხის ზედაპირი გამურუ-
ლი იყო, როგორც ჩანს, იმ ხანძრის შედეგად, რომელმაც ამ ფენის
შენობები გაანადგურა. ბილიკი 10—15 სმ-ით მაღალია საერთო დო-
ნებე.

ბილიკი თითქოს მიემართება № 1 შენობის შესასვლელისკენ, ხო-
ლო № 2 და № 3 შენობების შესასვლელები ამ ბილიკისკენ არის
მიმართული (ტ. VII).

B3 ფენა. დაფიქსირდა 41-ე, 42-ე, 66-ე, 67-ე კვადრატებში. გაითხა-
რა მართულთხა ფორმის შენობის ნაშთი, $5,5 \times 5,5$ მ მომრგვალებული
კუთხეებით. შეჩრჩენილი იყო დასავლეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლე-
თი კედლების ნაშთები (ტ. XXI). კედლების სისქე 20 სმ. დასავლეთ
კედლებს მიუყვებოდა შემაღლება, სიგანე 60 სმ, სიმაღლე 7 სმ. შემა-

ლლება მთლიანად დაფარული იყო კერამიკის ნატეხებით. შენობის ისტო-
კი მოლესილი იყო თიხით. შემაღლებიდან აღმოსავლეთით, 1,3 მ მან-
ძილზე აღმოჩნდა დედაბოძის ორმო, მართკუთხა ფორმის **მარტივი**,
სილრე 60 სმ. შენობა დაუწვავი იყო.

გიგანტური გარემონტი

B₃ ფენას უკუთვნის აგრეთვე 89-ე კვადრატში დაფიქსირებული
იატაკის ფრაგმენტი და მასში ჩაღმული სტაციონარული კერა, რო-
მელრც ძლიერ დაზიანებულია გვიანდელი ორმოებით. კერა 50 სმ დია-
მეტრისაა, უშვერილო, რომელსაც იატაკზე უჩვეულოდ ფართო, 9 სმ
ბორდური ჰქონდა მოლესილი. ბორდური ღრმა რელიეფური დარებით
შემკული და წითლად შეღებილი იყო.

B₃ ფენა უშუალოდ ადევს განამარხებული ჰუმუსის ფენას! მისი სი-
შძლავრე 15—20 სმ, იგი ციხიაგორის უძველესი ნამოსახლარი ფენაა,
ძლიერ დაზიანებულია B₂ ფენის მიერ, რადგან ამ ფენის დიდი შენო-
ბისათვის მზადებოდა საძირკვლად თიხის მოელნები, რომლებიც ჰუ-
მუსამდე იყო დაყვანილი.

II. ნივთიერი მასალა

B დონეზე მოპოვებული ნივთიერი მასალა

B დონე მდიდარია ნივთიერი მასალით, რომლის უმრავლესობას
კერამიკა შეადგენს. იგი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ, იშვიათი გა-
მონაკლისის გარდა, მოპოვებულია *in situ*, შენობებში და მათ გა-
რეთ, განსაკუთრებით B₂ ფენაში, რომლის ნასახლარიც განადგურე-
ბული იყო ხანძრისაგან, რის გამოც ის ხელუხლებლად დაკონსერვდა.
განსხვავებული მდგომარეობაა B₁ და B₃ ფენებში, რომლებიც, ჭერ-
ებრით, ნახანძრალი არ ყოფილა და გარდა ამისა, შემორჩენილია და
გათხრილი შედარებით მცირე ფართობზე.

B დონეზე მოპოვებული მასალა განიხილება ფენების მიხედვით,
ქვევიდან ზევით.

B₃ ფენა (ტ. XXII—XXIII)

კერამიკა

B₃ ფენაში კერამიკული მასალა მცირერიცხოვანი და ფრაგმენ-
ტულია; ეს იმით აისწება, რომ სსენებული ფენა მიყვლეულია შე-

დარებით მცირე ფართობზე და ისიც ძლიერ დაზიანებული სახით ში-
ლქედავად სიმცირისა, მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია. კარგიც უ-
ლი ჭურჭელი აქ შედარებით საშუალო ზომებისა და მეტად დიდობრი-
ცირებული ფორმებისა ჩანს. არის გრაფიულად ორმატერიული
ნატეხები და, აგრეთვე, ერთი მოხატული კარამიკული ნატეხი. კერა-
მიკაში, ძირითადად, გვაქვს შავად, ყავისფრად ან ნაცრისფრად გამომ-
წვარი, ვარდისფერ ან ნაცრისფერსარჩულიანი ცალები. ჭურჭელი ნა-
ძერწია ხელით, წმინდა თიხისაგან; გამოიჩინევა საშუალო სისქით, ან
თხელი კედლებით და ფორმების სიმეტრიულობით.

დერგის ტიპის ჭურჭელი წარმოდგენილია მენისკისებრი ხერე-
ლიანი, სფეროიდულ-თავაწეულყურიანი ფრაგმენტებით (ტ. XXII₂;
XXIII₁₇) და ძირებით (ტ. XXIII₁₈, 24). ამ ტიპის ჭურჭელი შავად არის
გამომწვარი, კარგად გაკრიალებული, ვარდისფერ სარჩულზე.

ქოთნები ვიწროყელიანი, წარმოდგენილია ყელის ფრაგმენტის მო-
ხატულობის კვალით (ტ. XXIII₁). ოვით ჭურჭელი გამომწვარია მო-
ნაცრისფრო-რუხი ფერით, ხოლო ყელის ძირზე შავი საღებავით შე-
მოვლებული ყოფილა ზოლისებრი სარტყელი. აგრეთვე მენისკისებრი
ხერელიანი, სფეროიდულ-თავაწეულყურიანი ფრაგმენტით (ტ. XXIII₇),
რომელსაც ყურის თავზე ღარი აქვს შემოვლებული. ეს ღარი მთელ
ჭურჭელს შემოუყვებოდა.

ორყურა და ცალყურა პირფართო მოზრდილი ქოთნები და ცალყურა
კოჭები წარმოდგენილია ყურების ფრაგმენტებით (ტ. XXII₃, 4, 6, 9, 10;
XXIII₄, 6). ჭურჭელი გამომწვარია ყავისფრად ან ვარდისფრად, კარ-
გად გაკრიალებული, ღია ფერის სარჩულზე. პირსა და მხარზე მიძერ-
წილია ზურგშიბორიანი ყურები.

სამნაწილადტანიანი ჭურჭლები წარმოდგენილია საშუალო ზომის
ქოთნებით (ტ. XXII₅, 7) და სასმისით (XXIII₃). ორი მათგანი შეუძ-
არის გამომწვარი და კარგად გაკრიალებული, ხოლო ერთი ფრაგმენ-
ტი (ტ. XXII₅) ყავისფრად გამომწვარი, ვარდისფერ სარჩულზე; შემ-
ჭულია გრაფიული ორნამენტით. ორნამენტი შესრულებულია მკაფი-
ოდ გავლებული, საკმაოდ ღრმა, თავისუფალი ხაზებით. ჭურჭლის
კორპუსზე სამზოლიანი ტეხილი ხაზებით მიღებულია სამკუთხედები,
რომელებშიც გრაფიული ნიშნებია ჩახაზული. ეს ფრაგმენტი ანალო-
გიურია B₂ ფენაში მოპოვებული ხელადისა (ტ. XXVI), რომელსაც
იგივე ორნამენტი ამკობს.

ბადიის ტიპის ჭურჭელი წარმოდგენილია სამტოტა ყურის ფრაგ-
მენტით (ტ. XXIII₈).

ჯამები (ტ. XXIII₁₁, 16, 20, 22) ვარდისფრად ან ნაცროსფრად ვა-
მომწვარი ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი.

სასმისები (ტ. XXIII₁₃, 14) მკვეთრად პროფილირებული ჰიტოაზ-
თო, ყელგამოყვანილი, კონუსურძირიანი და შეღრეკილფრინია; ნა-
ძერშია ტლანქად, არათანაბარი სისქით. სასმისების ზედაპირი ხაგაზ-
გებოდა გაკრიალებული, იმ დროს, როდესაც შიგნითა პირი ტლანქად
და სახელდასახელოდ არის მოსწორებული. ერთი სასმისი (ტ. XXIII₁₅)
ტიპიური ხასმისებისაგან გამოიჩინება ბრტყელი ძირითა და ცალი ყუ-
რით, იგი პატარა ტოლქას წარმოადგენს.

ფენაში გვხვდება მომცრო ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები, თხელ-
კეციანი, უსარჩულო, შავად გამომწვარი და საგანგებოდ გაკრიალე-
ბული. ეს ფრაგმენტები ძალზე წმინდაა და ფაქიზად გრავირებული,
ორნამენტირებულია ნაკაწრი ხაზებით, გვხვდება მარტივი, ტეხილ-
ხაზოვანი სახე, ორ ან სამზოლიანი ტეხილი ხაზი, ან ორი ასეთი ტე-
ხილი ხაზის კომბინაციისაგან მიღებული რომბები (ტ. XXIII₉, 10).
არის უფრო რთული კომპოზიციაც (ტ. XXIII₂).

კერამიკულ ნაწარმს მიეკუთვნება აგრეთვე თიხის მრგვალი სარ-
ქველის ფრაგმენტი (ტ. XXII₁), შავკრიალა, ვარდისფერ სარჩულზე,
შუაგულჩნექილი, წამახული კიდით და გადასატანი შვერილიანი კე-
რის წითლად გამომწვარი ფრაგმენტი (ტ. XXIII₅).

B₂ ფენა (ტ. XXIV—XLII)

კერამიკა

B₂ ნასახლარის კერამიკა წარმოადგენს ერთ დიდ კომპლექსს,
რომლის შემადგენელი ჯგუფები ცალკეული შენობების სამეურნეო
და სარიტუალო ჭურჭელს ახსიათებს. მისი ნაწილი მთელი ცალებით
არის წარმოდგენილი და ნაძერშია ხელით, დახვეწილად, ფენებად,
განსხვავებული სისქისა და სტრუქტურის თიხისაგან. გვხვდება როგორც
სქელკედლიანი, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან ნაძერში ჭურჭელი,
ისე თხელკედლიანი, წმინდა სტრუქტურის თიხის ნაწარმი.

ჭურჭლის ზედაპირი უმთავრესად გაპრიალებულია, ზოგჯერ შიგ-
ნიდანაც. გვხვდება გაუპრიალებელი ცალებიც. მცირე გამონაკლისის
გარდა, ჭურჭელს აქვს შავი, მოყავისფრო ან წითელი შეფერილობა;
არის ვარდისფრად გამომწვარი და შავკრიალა ცალები. ძირითადად
ვარდისფერ ან ნაცრისფერ სარჩულზე. უნდა გვითვალისწინოთ, რომ

კერამიკის უმრავლესობა ძლიერ ცეცხლშია ნამყოფი და შეფერილობა, მთლიანად ან ნაწილობრივ, შეცვლილი აქვს.

ჭურჭლის შესამკობად ფართოდ გამოყენებულია გრაფიკული სა-
ხეები, უმთავრესად ამოკაჭრული, აგრეთვე არის ჩაღარული არსებუ-
ლი ორნამენტი. გვხვდება სხვადასხვა სახის რელიფური დანაძერწე-
ბიც.

ფორმების თვალსაზრისით კერამიკა მეტად მრავალფეროვანია—
დერგები. შენობებში გადარჩენილია უმეტესად ამ დიდი ჭურ-
ჭლების ძირები, ჩაღმული საგანგებოდ მომზადებულ ფოსოებში. სა-
მეურნეო ორმობში აღმოჩნდა დერგის ზედა ნაწილი (ტ. XLII₆). ჭურ-
ჭელი ნაძერწია ფენებად, ტლანქად; ზედპირი შავად გაპრიალებული
აქვს, ხოლო სარჩული — ვარდისფერი. დერგი გამოირჩევა გადაშლილი
პირითა და ფართო ყელით, განერი კორპუსით. მოპოვებული ძირე-
ბის ანალოგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მას მკვეთრად შევიწროე-
ბული, კონუსური მოყვანილობის ქვემო ნაწილი და პატარა ბრტყელი
ძირი უნდა ჰქონდა. მხარზე ორი მსხვილი ყური აქვს მიძერწილი.

ქოთხები, მოზრდილი, პირფართო, ცალყურა და ორყურა
(ტ. XXV₂; XXIX₂; XXX_{1, 3}; XXXIV₃; XLII₁). გაშლილი და განიერი
ყელ-პირით, გამობერილი წიბოიანი მუცლით ან სამნაწილადტანიანი,
ვიწრო ბრტყელი ძირით. ყურები მიძერწილია პირსა და ყელზე. ზე-
დაპირი გამომწვარი აქვს ყავისფრად ან წითლად, ვარდისფერ ან შავ-
სარჩულზე.

ქოთანი, ვიწროყელიანი, ცალყურა, მოპოვებულია B₂ ფენის № 1
შენობაში (ტ. XXV₁), ახასიათებს არამკვეთრი სამნაწილადიანი ტანი,
მაღალი და ძლიერ გმოყვანილი ყელი, ფართოდ გადაშლილი პირით;
მსხვილი, ვიწროხერელიანი ყური დაძერწილია მხარზე. ჭურჭელი გა-
მომწვარია ვარდისფრად, უსარჩულოდ და „თხუპნია“ კეცი აქვს.

ხელადის ტიპის ჭურჭლებს ახასიათებს საკმაოდ მკვეთრად გამო-
ყოფილი სამნაწილადი კორპუსი, გამოყვანილი, მხრისკენ გაფართოე-
ბული განიერი ყელი, გადაშლილი პირით. მაღალი, ლენტური ტიპის
ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე. ერთს (ტ. XXVI) მხარზე შე-
მოვლუბული აქვს სამი, ვიწრო ღარისავან შემდგარი ზოლი და მის
ქვეშ, ჭურჭლის ირგვლივ კორპუსზე სამხაზოვანი ამოკაჭრული ტეხი-
ლი ზოლებით შექმნილია სამკუთხედები, რომლებშიც ჩახაზულია სხვა-
დასხვა გრაფიკული ნიშნები. ეს ნიშნები ერთმანეთს არ იმეორებენ
და უეჭველად, რაღაც აზრობრივი დატვირთვა ჰქონდათ. მეორე ამ
ტიპის ხელადა პატარა ზომისაა და უორნამენტო (ტ. XXXII₂).

ორი ცალი ვმ ხელადებისა (ტ. XVIII₂, 3) გამოიჩინევა დანარჩენი მტკვარარაქსული ნაწარმისაგან კეცითა და ზედაპირის დამუშავების ხარსხით. ორივეს კარგად გამოყვანილი, მხრისკენ გაფართობული წარმატების მკვეთრი წებო, გამოძრილი მუცელი, ვიწრო ძირი და ოდნავ მედოვ-კნილი ფუძე აქვს. მოზრდილი ლენტური ტიპის ყური მიძერწილია ყელ-სა და მხარზე. შედარებით სქელკედლიანია, გამომწვარი შავად, ორ ფენად, ივივე ფერის სარჩულზე და ზედაპირი კარგად აქვთ გაპრია-ლებული.

ბაღიები ცალყურა და ორყურა. გვხვდება მაღალი და დაბალი ცალყურა ბაღიები (ტ. XXIV_{1, 2}; XXXIII₇; XXXIX_{5, 6, 7}; XL₃). მათ აქვთ ფართოდ გადაშლილი პირი, გამოყვანილი ყელი, კონუსურად შევიწროებული ძირი და ბრტყელი ფუძე. ყური მიძერწილია პირსა და მუცელს შორის. თითქმის ყველა ყავისფრად არის გამომწვარი და გა-პრიალებული, ხოლო შიდაპირი შავი და საგანგებოდ გაკრიალებული აქვთ. არის ვარდისფრად გამომწვარი ცალები.

ცალყურა ბაღიების ცალკე ჯგუფს შეადგენენ ტალისებურად გვერდშეზენექილი ცალები, სამტოტა ყურით (ტ. XXV₁; XXXIX_{1, 2, 3}). გამომწვარია შავად ან ვარდისფრად, ერთ ფენად, გაუპრიალებელია. ამავე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ფრაგმენტი პირმოყრილი ცა-ლისა ნახევარსფერული ყურით (ტ. XXVII₁), გამომწვარი ვარდის-ფრად, გაუპრიალებელი.

ორყურა ბაღიები B₂ ფენაში დიდი ზომებით ხასიათდება. № 1 შენობაში აღმოჩენილი ცალები (ტ. XXIV_{3, 4}) გამოიჩინევა ძლიერ გა-დაშლილი ფართო პირით, გამოყვანილი ყელით, დაბალი, ოდნავ შე-მრგვალებული ტანით, კონუსურად შევიწროებული ძირით და ორნავ შედრეკილი ფუძით. მოზრდილი ყურები კორპუსზეა მიძერწილი. ზე-დაპირი და შიდაპირი კარგადაა გაპრიალებული, ზედაპირი ყავისფრად, შიდაპირი — შავად. № 2 შენობაში აღმოჩენილი ამ ტიპის ჭურჭელი შავად არის გამომწვარი და კარგად გაპრიალებული, ნაცრისფერ სარ-ჩულზე (ტ. XXVI_{1, 6}). მომცრო ზომის ჭურჭელი (ტ. XXVI₁) გამო-კვეთილი სამწილადი ფორმისაა, მკვეთრად გამოყოფილი ყელით, რო-მელსაც შუაში ღარი გასდევს, ფართო გადაშლილი პირით, კორპუსზე დაძერწილია ორი ნახევარსფერული ცრუყური, ყურების თავზე, პი-რის კიდეზე პატარა შვერილები აქვს. ჭურჭლის ირგვლივ, კორპუსზე შემოუყვება ორნამენტი — გრაფიკული (ნაკაწრი). ტეხილხაზოვანი სახე, ერთ მხარეს სამხზოვანი, რიტმულად გამეორებული სახე ქმნის

სამკუთხედებს, ხოლო მეორე მხარეს ასეთივე ტეხილი ხაზების გამ-
ბინაციისაგან მიღებულია. ორმძები.

კოჭობები სამნაწილადტანიან (ტ. XXVII₃; XXIX₁; XL_{8, 10};
XL_{1, 4}) ამ ფენისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ჭურჭლი ჭურჭლი ჭურჭლი
წარმოადგენს. მათ აქვთ განიერი, გამოყანილი ყელი, გადაშლილი,
წამატული პირით; მკვეთრად გამოწეული მუცელი და მკვეთრად შე-
ვიწროებული ძირი ოდნავ შედრეკილი ფუძით. ზურგწიბოიანი და
ოვალურგანივკვეთიანი ყურები პირსა და მხარზეა მიძერწილი. ორ-
ვორც წესი, ყველა ამ ტიპის ჭურჭლი შემკულია ძალზე წმინდა და
ფაქიზი ჩალარულ-ამობურცული და გრავირებული (ჭდეური ან ნაკა-
ჭრი) ორნამენტით. ხშირად ვხვდებით ჭურჭლის მხარზე ღარებით შე-
ქმნილ სარტყელს ან ვიწრო ფრიზის სახით დატანილ გრავირებულ
ორნამენტს, რომლის შემავსებელ ელემენტებს წარმოადგენს ბაზისე-
ბური შტრიხები, ჟუნქტირიანი გეომეტრიული ფიგურები — სამკუ-
თხედები, უჯრედები, და ა. შ. ხოლო ზოგჯერ ასეთი ფრიზის თუ
სარტყლის ქვემოთ ჩამოშვებულია ვოლუტებიანი მეანდრები, შევრო-
ნები, შესრულებული ჩალარულ-ამობურცული ორნამენტით.
ტოლჩები ძირითადად წარმოდგენილია ფართოყელიანი, ვიწრო-
ძირიანი ცალებით (ტ. XXXI₂; XXXII₃; XXXV₂; XL₉; XL₁₇). მათ
ახასიათებს დაბალი ყელი, გამოწეული მუცელი და ვიწრო ძირი.
ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. ტოლჩები გამომწვარია შავად
ან ყავისფრად — ვარდისფერ სარჩულზე და ვარდისფრად. ვეხვდება
ჭრილხაზოვანი ორნამენტი (ტ. XXXII₃; XL₉; XL₁₇). საკმაოდ ღრმა
ღარებით შექმნილი სარტყელი მხარზე და მის ქვეშ კორპუსზე, ასე-
თივე ღარებით შექმნილი ტეხილხაზოვანი სახეები. არის ნაკაჭრი ორ-
ნამენტიც (ტ. XXXV₂).

განსხვავებული იერისაა ორი ტოლჩა, აღმოჩენილი № 2 შენობა-
ში; ერთს ახასიათებს ფართო ძირი (ტ. XXXIV₁); ხოლო მეორეს გა-
მოყვანილი ყელი, წამახული პირით, დაბალი გამობერილი კორპუსი
და ვერცხლის ძირი. ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე (ტ. XXXIV₂).
გამომწვარია შავად, კარგად გაკრიალებული, შავსავე ფერის სარ-
ჩულზე.

ჯამები, პირმოყრილი (ტ. XXXIX₈), თხელ და სქელგადლიანები
(ტ. XL_{15, 16}), ძირითადად გამომწვარია ვარდისფრად და გაუპრია-
ლებელია.

სასმისები ძირითადად შავპრიალა, სქელგადლიანი და ერთი ტიპი-
საა, თუმცა მათ შორის ზოგიერთი განსხვავება შეინიშნება ზომასა და

მოყვანილობაში, უმეტესობა ცალებისა ყელგამოყვანილი, მკეთრად გაფართოებულ მუცლიანი და კონუსური მოყვანილობის შედრეკილ-ძირიანია (ტ. XXXI; XXXIII₅, 6). სასმისების ზედაპირი უარწმუნდობელი გარიალებულია იმ დროს, როდესაც შიგნითა პირი ტლის და სა- ხელდახელოდ არის მოსწორებული.

ყურადღებას იქცევს № 1 შენობაში აღმოჩენილი დიდი ზომის, 80 სმ დიამეტრის, გვერდამოღებული ტაფისებური სარიტუალო ჭურჭელი (ტ. XXXVIII₁). როგორც ჩანს, ჭურჭელი სტაციონარულად დამაგრებული უნდა ყოფილიყო იატაკზე, რადგან ძირი გამოუწვავი აქვს, ხოლო ვერტიკალური კედლები სუსტად გამომწვარია ნაცრისფრად. გვხვდება ასეთივე ტიპის ჭურჭლის ქუსლიანი ძირისა და ვერტიკალური კედლის ფრაგმენტები (ტ. XL₉, 12).

აგრეთვე № 1 შენობის შემაღლებებზე აღმოჩნდა საგანგებოდ მოლესილი ლარნაკის ტიპის სტაციონარული სარიტუალო ჭურჭელი, რომლის ძირს ანუ ქუსლს წარმოადგენს ე. წ. „ნაცარგროვა“. წმინდა ნაცარი ზევიდან მოლესილია წმინდა თიხის თხელი ფენით და შელებილია წითლად. მასზე დაძერწილია ჯამისებური ჭურჭელი, რომლის კედლები ამოყვანილია წმინდა თიხის თხელი ფენებით (4—5 ფენა), მათ შორის თხელი ნაცარგროვანი შრებებით. ზედაპირი შელებილია წითლად, შიგნით მარცვლეული იყო ჩაყრილი (ტ. XIV, XVI₁). ეს ჭურჭლები გამოუწვავია, მათ საგანგებოდ აკეთებდნენ რაღაც რიტუალის ჩასატარებლად. ციხიაგორაზე დაფიქსირდა ეს ლარნაკისებური ჭურჭელი მხოლოდ იმის წყალობით, რომ B₂ ფენის შენობები ძლიერი ხანძრითაა განადგურებული და ცეცხლმა ოდნავ გამოწვა და გამაგრა ისინი.

მრგვალი სარქველი თიხის, შავად გამომწვარი, გაპრიალებული, რელიეფური ღარებით შემცული ზედაპირით (ტ. XL₁₀).

B₂ ფენისთვის დამახასიათებელი გრავირებული და ჩაღარულ-ამბურცული ორნამენტის გარდა, გვხვდება თხელკეციანი შავ-პრიალა ჭურჭლების ფრაგმენტები, რომლებსაც რელიეფური ორნამენტი აქვთ. კარგად პროფილირებული პორიზონტალური შვერილი (ტ. XXVII₂); პატარა ჯამის გვერდზე ორი ჩაჩვლეტილი კოპი (ტ. XL₇); და პატარა ჭურჭელი ღრმა კონკურებით გოფრირებული კორპუსით (ტ. XL₅).

კერები. კერამიკულ ნაწარმს წარმოადგენს აგრეთვე შენობათა მთავარი ოთახის იატაკში ჩალესილი დიდი ზომის მრგვალი, შვერი-

ლეგმისანი კერები; ასეთი კერები ფენაში აღმოჩენილია 2 (ტ. XII, XIII; XVIII; LXX). კერები ნაძერწია იატაუში ამოთხრილ ორგზებ-ში და ადგილზევეა გამომწვარი; ამიტომაა, რომ მათ მხრული უტჰებ-შიგნითა ზედაპირი და პროფილირებული ფართო ნატერი ჯაჩინით რომელიც ოდნავ არის აცილებული იატაუს დონეს. კერები ნაძერწია მსვილმარცვლოვანი თიხისაგან, რომელსაც შერეული აქვს ბზე და წვრილი კენჭის ნამტვრევები. ზედაპირი სუფთადაა მოლესილი წმინდა თიხით და გაყრიალებულია. კერებს ემჩნევა ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი, რაც კეცის გადაწვაში გამოიხატება, მაგრამ, ამას-თანავე, შებოლვის კვალი მათზე არ ჩანს.

გარდა სტაციონარული კერებისა, ამ ფენაში ნაპოვნია მცირე ზო-მის გადასატანი, ასეთივე ტიპის შვერილიანი კერები, რომლებსაც ჯა-მისებური მოყვანილობა აქვთ ძირზე ნახვრეტით (ტ. XXXVIII₁, 3; 2; XL₁; XLI₁₁, 13; XLI₅). კერები გამომწვარია წითლად ან მოყვითალოდ.

ამ ფენაში, № 2 შენობაში, მოპოვებულია ზოომორფული, თიხის-გან ნაძერწი ფიგურა — ხარის გამოსახულება (ტ. XXXVI₂; LXXI₁; LXXVII).

ლ ი თ ო ნ ი

ლითონის ნაწარმი ამ ფენაში მხოლოდ ერთია მოპოვებული. № 1 შენობაში აღმოჩნდა 21 სმ სიგრძის ბრტყელი, ბრინჯაოსყუნწიანი სა-ტევარი (ტ. XXXII₁; LXXVII), იმდენად კოროზირებული, რომ ლი-თონის ანალიზის გაკეთება არ ხერხდება.

ქვის ნაწარმი

ქვის ინდუსტრია საკმაოდ დაწინაურებული ჩანს, იარაღის დასა-მზადებლად გამოყენებულია დაბალხარისხოვანი მოყავისფრო კაურ, რომლიდანაც გაკეთებულია ნამგლის ჩასართები და ისრისპირები. ნამ-გლის ჩასართები ტრაპეციული მოყვანილობისაა და საქმაო სიდიდით გამოირჩევა, 6×3 სმ. ისინი დამუშავებულია ორმხრივი რეტუშით და მათ ნაპირს ემჩნევა მუშაობის კვალი. თითოეული ნამგალი შედგე-ბოდა სამი ან ოთხი ასეთი ჩასართებისაგან (ტ. XXXII₄; XXXVI₃, 4, 5; XXXVII, LXVII). ნამგლის ჩასართების სიდიდე შიდა ქართლის ქეგ-ლებისთვისაა ღამახასიათებელი.

ამ ფენის № 1 შენობაში მოპოვებულია კაურის ორი, ყუნწიანი ის-რისპირი (ტ. XXXIII₂, 3; LXXVIII).

ზემოხსენებულს გარდა, მოპოვებულია ჩვეულებრივი ტიპის ხელუ
საფეხვაის ნავისებრი ზედა ქვები და მოზრული ქვედა ქვები, სამაც
ყის ქვები, სფეროიდული სასრესი ქვები, და სხვა.

ერთვარები

გიგანტობა

კლის ნაკეთობა

წევნის № 1 შენობაში აღმოჩეულია ერთი ქვლის ისრისწვერის
სისტემისამიდული მოყვანილობის, გრძელი, მრგვალი გათლილი
პირითა და ყუნწით (ტ. XXXI; LXXVIII).

B1 ფენა (ტ. XLIII—LII)

კერამიკა

B1 ფენაში კერამიკული მასალა მრავალრიცხვანი, მაგრამ უმე-
ტესწილად ფრაგმენტულია. ეს იმით აიხსნება, რომ სენებული ფენა;
როგორც ჩანს, მიტოვებული იყო მოსახლეობის მიერ, თანაც იგი
ძლიერ დაზიანებულია ზედა ფენების სამეურნეო ორმოებით. ფენას
აგრეთვე მიეკუთვნება № 17 სარიტუალო ორმოს მასალა (ტ. XLIX—
LII), რომლის ნაწილი მთელი ცალებით არის ჭარმოდგენილი. კერა-
მიკა ნაძერწია ხელით, დახვეწილად, ფენებად, განსხვავებული სისქი-
სა და სტრუქტურის თიხისაგან; გვხვდება როგორც სქელკედლიანი,
მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. ნაძერწი ჭურჭელი, ისე თხელკედ-
ლიანი, ჭმინდა სტრუქტურის თიხის ნაწარმი. ჭურჭლის ზედაპირი
უმთავრესად გაპრიალებულია, ზოგჯერ შიგნიდანაც. არის გაუპრია-
ლებელი ცალებიც. მცირე გამონაკლისის გარდა, ჭურჭელს აქვს შავი,
მოყაფისფრო, ან წითელი შეფერილობა, ძირითადად ვარდისფერ ან
ნაცრისფერ სარჩულზე. არის ვარდისფრად გამომწვარი და შავკრიალა
ცალები.

ჭურჭლის შესამკობად ფართოდ გამოყენებულია გრაფიკული სა-
ხეები, უმთავრესად ამოკაჭრული. აგრეთვე არის ჩაღარულ-ამობურ-
ცული და რელიეფური ორნამენტი.

დერგები. სქელკედლიანი, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან ნაძერ-
წი ფენა-ფენა. გამომწვარი შავიად, ყავისფრად, ან წითლად, ვარდის-
ფერ სარჩულზე (ტ. XLIII₁, 3, 2, 6, 7, 8, 9; XLV₁₂), კარგად გაპრიალე-
ბული ზედაპირით. მათ ახასიათებთ გამოყვანილი ყელი, ფართოდ გა-
ბული ზედაპირით. მათ ახასიათებთ გამოყვანილი ყელი, ფართოდ გა-

ცლიდან შირზე გვთასკვლის ადგილას. მათ არ ახასიათებთ ყურები ინ-
სამე სახის ორნამეტტი. მხოლოდ ერთი დერგია შემკული ორნამენტით
და კორპუსზე. მიძერწოლია მასიური ყური (ტ. XLIII₆, 7). მხატვაში შემ-
მოყვება ორი ლარით შექმნილი სარტყელი, ხოლო მის ჭვერი კორ-
პუსზე, ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით შესრულებული რელი-
ფური მეონდრები.

ქოთნები. მოზრდილი, პირფართო, შირიტი და წარმოჭვენი-
ლია ყურების ფრაგმენტებით (ტ. XLIV₆, 7; 17, 21, 22; XLV₂; XLVI₂, 3; 4;
XLVII₄, 13, 14; L₂, 7, 9; L₁ 3, 4, 7). ყურები ზურგწიბოიანი, ლენტური, მი-
ძერწოლია პირსა და ყელზე ან პირსა და მხარზე. ჭურჭელი გამომწვა-
რია ყვისფრად ან წითლად, გაპრიალებულია, ვარდისფერ ან ნაცრის-
ფერ სარჩულზე.

ქოთნები, ვიწროყელიანი, წარმოდა უნილია ყელის ფრაგმენტებით
და მენისკისებრხვრელიანი მასიური. ყურებით, რომლებიც ჭურჭლის
კორპუსზეა მიძერწილი (ტ. XI₁, 9, 14, 19; XLVII₆, 11). ჭურჭელი გამო-
მწვარია ვარდისფრად ან ნაცრისფერისფრად, გაპრიალებულია.

სამნაშილადტანი. თე უყურო ქოთნები (ტ. XLVIII₁; L₁). მათ ახა-
სიათებს მაღალი, რდნავ გამოყვანილი ყელი, დაბალი, შვერტრად გამო-
ბერილი მუცელი და ვიწრო ძირი. გამომწვარია შავად, ვარდისფერ,
სარტყელზე და მეჭანიშნავად გაკრიალებული.

ჭულისებრი ფორმის ჭურჭელი წარმოდგენილია ფრაგმენტებით
(ტ. XLIV₁₅, 16; XLV₄, 5). ზომის მიუხედავად, ქილისებურ ჭურჭლებს
ახასიათებს ლდნავ გადაშლილი, ხშირად შესქელებული პირი, რომე-
ლიც, უშუალოდ ან ძალზე დაბალი ყელით გადაღის კორპუსზე. კორ-
პუსის ზედა ნაწილზე, ძირითადად პირსა და კორპუსზე, მიძერწილია
მრგვალი ან ლენტური ფორმის ყურები. ერთს (ტ. XLIV₁₅) ზემოდან
ფოსო ქვეს. ჭურჭელი გამომწვარია მოყავისფროდ ან ნაცრისფრად;
ქეცში არაორგანული მინარევების სიჭარბის გამო, ზედაპირი უსწორ-
მასწოროა, ხაოიანი.

ბაღიები, ცალყურა, მაღალი და დაბალი (ტ. XLIV₂₀; XLVI₈, 9;
XLIX₁, 2, 3; L₆; LII₇, 8). მათ აქვთ ფართოდ გადაშლილი პირი, გამო-
ყვანილი ყელი, კონუსურად შევიწროებული ძირი და ბრტყელი ფუქე.
ყური მიძერწილია პირსა და მუცელს შორის. თითქმის ყველა ყავის-
ფრად არის გამომწვარი და გაპრიალებული, ხოლო შიდაპირი შავი
ქვეს და საგანგებოდ გაკრიალებული. დაბალი ბაღიები, სარიტუალო
ორმოდან (ტ. L₆; LII₇, 8) გამოირჩევა პატარა ზომებით.

გვერდშეზნექილი ბადიები წარმოდგენილია სამტკობა ყურით (ტ. LI), გამომწვარი მოყვითალო ფერით, ერთ ფენად და ანგობორებული. ბადის ტიპის ჭურჭელს მიეკუთვნება აგრეთვე პირმოწყვილი ჭურჭელი ნახევარსფერული ყურით (ტ. XLIX). მთელი ცალი აღმოჩნდა სარიტუალო ორმოში. მას მორგვალებული კორპუსი და ბრტყელი ძირი აქვს, კორპუსზე მიძერწილია ყური. გამომწვარია ვარდისფრად, გაუპრიალებელი, ყელთან წითელი ფერის სალებავის კვალი ემჩნევა. ასეთივე ჭურჭლის ფრაგმენტები მოპოვებულია ფენაშიც (ტ. XLVII₉).

კოჭობები, სამნაშილდატანიანი, განიერი, გამოყვანილი ყელით, გადაშლილი, წამახული პირით, გამოწეული მუცლით, მკვეთრი გარდატეხის ხაზით ყელიდან მუცელზე გადასვლის აღვილას, კონუსურად ჟევიწროებული პირით; ყური მიძერწილია პირსა და ყელზე (ტ. XLIV₁₁) გამომწვარი ყავისფრად ვარდისფერ სარჩულზე, გაპრალებული. ვეგვდება ორნამენტირებული ფრაგმენტებიც; ჭურჭლის მხარზე ღარებით შექმნილია სარტყელი და მის ქვემოთ, კორპუსზე ჩამოშვებულია მეანდრები, შესრულებული ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით (ტ. XLVII_{2, 3}). ფრაგმენტები ძირითადად შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი.

ტოლჩები წარმოდგენილია ჭურჭლის ფრაგმენტებით, ძირითადად შავპრიალა, ნაცრისფერ სარჩულზე. არის ამ ტიპის ჭურჭლისოთვის დამახსიათებელი ოვალურგანიუკვეთიანი, ზურგწიბოანი ყურის ფრაგმენტი (ტ. XLVII₅); ძირის ფრაგმენტი ფაქიზი გრავირებული ორნამენტით (ტ. XLVII₈).

В 1 ფენაში ვეგვდება ამ ტიპის ჭურჭლის განსხვავებული ფორმები. შავპრიალა ტოლჩის ფრაგმენტი (ტ. XLVII₇), ოღნავ გადაშლილი ფართო პირით, რომელიც უშუალოდ კორპუსზე გადადის. კორპუსი თითქმის სწორი აქვს, მკვეთრად შევიწროებული ძირით. ჭურჭელი შემკულია გრავირებული, ნაკაწრი ორნამენტით. ზედა ნაწილში შემოუყვება სარტყელი, რომლის ქვეშ განლაგებულია ტეხილხაზოვანი სახე.

ჯამები, გამოყვანილი ყელით, გადაშლილი პირით, გამოწეული მუცლით, ვიწრო ძირით და ოღნავ შეღრეკილი ფუძით (ტ. XLIV_{12; L₅, 8}). ჯამები გამომწვარია მუქ ყავისფრად ან შავად და გაპრიალებულია. შიდაპირი აქვთ შავი და კარგად გაპრიალებული. ერთი ცალი სარიტუალო ორმოდან (ტ. L₈) შემკულია გრავირებული და რელიეფური ორნამენტით. მხარზე შემოუყვება სამხაზოვანი სარტყელი, რომლის ქვეშ კორპუსზე ასევე ნაკაწრი ტეხილხაზოვანი სახეა — სამხა-

ზოგიცი ზოლით შექმნილია სამკუთხედები. მხარზე მას მიძერწილი აქვს რელიეფური, შუაში ჩაზნექილი პორიზონტალური შევრილი.

სამისები, შავპრიალა, სქელკედლიანი, ყელგამოყვანულ, მიმდევად არის რაღ გაფართოებულ მუცლიანი და კონუსური მოყვანილებრის შეცრუხისა კილმირიანია; მათ შორის განსხვავება შეინიშნება ზომასა და მოყვანილობაში (ტ. L₃, 4; LI₂).

B₁ ფენაში მოპოვებულ მასალაში გამოიყოფა ერთი ჯგუფი ორნამენტირებული კერამიკის ფრაგმენტებისა, რომელიც მცირე ზომის ჭურჭელს ეკუთვნის. ფრაგმენტულობის გამო ვერ ხერხდება ამ ჭურჭლის ფორმების აღდგენა. ერთი მათგანი (ტ. XLVII₁) პატარა სამნაწილადგრანიან ჭურჭელს ეკუთვნის. გამომწვარია ყავისფრად, შავი შიდაპირით, ყელზე შემოუყვება ხაზოვან-წერტილოვანი ორნამენტით შესრულებული ფრიზი. ყველა დანარჩენი ფრაგმენტი ამ ჯგუფისა, შავპრიალა, ერთ ფენად გამომწვარი, თხელკედლიანი, შემკული ფაქიზად შესრულებული გრავირებული ორნამენტით (ტ. XLIII₅; XLIV₃; XLVI₅, 6), ძირითადად პატარა სამნაწილადგრანიან ჭურჭელს ეკუთვნის; და ღარული ორნამენტით შემკული ფრაგმენტები (ტ. XLIV₂, 10; LII₁), ისინი გამოირჩევან ზედაპირის გაპრიალების განსაკუთრებით მაღალი ღონით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ჭურჭლის კედლის უსახო ფრაგმენტები, რომელსაც სხვადასხვა მხარეს უსისტემოდ მიმართული სავარცხლისკვალისებური ზოლებით დაფარული ზედაპირი აქვთ (ტ. XLVI₂₇). ჭურჭელი გამომწვარია მოყვაისფრო-რუს ფერად.

ტაფისებური, გვერდამორდარული სტაციონარული ჭურჭელი ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი (ტ. XLV₈; XLVI₇). გამომწვარია ნაცრისფრად ან ყვითლად, კედლის ფრაგმენტს გასდევს ვიწრო რელიეფური, პორიზონტალური დანაძერწი.

სარქველები თიხის, მრგვალი (ტ. XLIV₁, 3; XLVI₁), ერთი ტიპის, მხოლოდ სხვადასხვა ზომის. შავპრიალა, შუაგულჩაზნექილი.

სადგარი, ჭურჭლის ყელის ფორმის (ტ. XLV₇), სქელკედლიანი, გამომწვარი ვარდისფრად, გაუპრიალებელი.

კერები. კერამიკულ ნაწარმს წარმოადგენს აგრეთვე ფენაში აღმოჩენილი შენობის ცენტრში, იატაკში ჩალესილი დიდი ზომის მრგვალი, შევრილებიანი კერა (ტ. V₂; VI). კერა ნაძერწია იატაკში ამოთხრილ ორმოში და ადგილზევეა გამომწვარი; ამიტომაა, რომ მას მხოლოდ ერთი, შიგნითა ზედაპირი და პროფილირებული ფართო ნაპირი გააჩნია, რომელიც ოდნავ არის აცილებული იატაკის დონეს. კერა ძლი-

ერ დაზიანებული იყო გვიანდელი ორმოთი და შერჩენილი ჰქონდა 3 შვერილი. B₂ ფენის ანალოგიებით და შერჩენილი შვერილების ვანლაგების მიხედვით, მას ოთხი შვერილი უნდა ჰქონდა. კერა ნაძერწია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, რომელსაც შერეულოვას ჰქონდა წვრილი კენჭის ნამტვრევები. ზედაპირი სუფთადაა მოტიული სტანდარტული თიხით და გაპრიალებულია. კერას ემჩნევა ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი, რაც კეცის გადაწვაში გამოიხატება.

გარდა სტაციონარული კერისა, B₁ ფენაში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შედარებით მცირე ზომის, გადასატანი, ასეთივე ტიპის შვერილიანი კერების ფრაგმენტები (ტ. XLV_{1, 2, 3}; XLVII_{10, 18, 19}; XLVIII_{2, 4, 5}). სარიტუალო ორმოში, ძირზე, აღმოჩნდა ერთი სტაციონარული კერის შვერილი და ორი გადასატანი კერების შვერილები (ტ. L_{1, 9, 10}). გადასატანი კერები სხვადასხვა ზომისაა, ჯამისებური მოყვანილობა აქვთ, ძირზე ნახვრეტით (ტ. XLVIII₄). კერები გამომწვარია ვარდისფრად ან მოყვითალოდ, ზოგი ყავისფრადაა ანგობირებული, ხშირად შვერილებს წითელი სალებავის კვალი ემჩნევათ. გადასატანი კერის გარე ზედაპირზე გვხვდება ღარული ორნამენტული (ტ. XLVII₁₀). გადასატანი კერის უმარტივეს ფორმას უნდა წარმოადგენდეს სტაციონარულ კერასთან, იატავში საგანგებოდ გაკეთებულ ფოსოში ჩადგმული ჯამისებური ჭურჭელი (ტ. XLVIII₃). იგი ნაძერწია მსხვილმარცვლოვანი თიხით, ვარდისფრად გამომწვარი შიდაპირი პირთან წითელი საღებავით აქვს შეღებილი.

ქვის ნაწარმი

B₁ ფენის ქვის ნაწარმი წარმოდგენილია ძირითადად № 17 სარიტუალო ორმოს ძირზე მოპოვებული მასალით (LII_{6, 9, 10}). აქ აღმოჩნდა მოყავისფრო კაუისაგან დამზადებული ნამგლის ჩასართი, ორმხრივი რეტუშით. აგრეთვე მოზრდილი ხელსაფქვავის ნავისებრი ქვა და სანაყის ქვა.

ქვლის ნაკეთობა

№ 17 სარიტუალო ორმოში აღმოჩნდა ერთი ძვლის ისრისწვერი. ბიპირამიდული მოყვანილობის, წახნაგოვანი პირითა და ყუნწით (ტ. LII₄), ისრისწვერი დაუმთავრებელის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს აღმოჩნდა ლულოვანი ძვლის ნატეხისაგან დამზადებული სახვრეტი და საგანგებოდ გადახერხილი რქის წვერი (ტ. LII_{3, 5}).



А დონე მდიდარია ნივთიერი მასალით, მიუხედავად მის ფარგლენის და მის გარენას. იყო ძალიანებული და შემორჩენილია და გარენა მის დარებით. მცირე ფართობზე, მასალის უმრავლესობას კერამიკა შეადგენს. იგი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოპოვებულია *in situ* შენობათა იატაკების ფრაგმენტებზე და მათ გარეთ. აგრეთვე ამ დონეს მიეკუთვნება 13 ორმოსი მასალა, თითოეული მათგანი თავისებურ დახურულ კომპლექსს წარმოადგენს.

А დონე შეიცავს ორ ნასახლარ ფენას. ქვედა A₂ ფენა, რომელიც მცირე ფართობზე გამოვლენილი და მცირერიცხვან მასალის შეიცავს — თიხატკეპნილ იატაკზე (ტ. LIII) და მასთან დაკავშირებულ ფენაში (ტ. LIV). ზედა, A₁ ფენის მასალა: თიხატკეპნილ იატაკებზე (ტ. LV—LIX) და მათთან დაკავშირებულ ფენაში (ტ. LX) ორმოების მასალა — 81 ორმოსი (ტ. LXI—LXII), № 77 ორმოსი (ტ. LXIII), № 78 ორმოსი (ტ. LXIV—LXVII), № 79 ორმოსი (ტ. LXVIII₁), № 69 ორმოსი (ტ. LXVIII₂), № 19 ორმოსი (ტ. LXVIII₃), № 18 ორმოსი (ტ. LXVIII₄), № 68 ორმოსი (ტ. LXVIII₅), № 4 ორმოსი (ტ. LXVIII₆), № 5 ორმოსი (ტ. LXIX₁), № 15 ორმოსი (ტ. LXIX₂), № 11 ორმოსი (ტ. LXIX₃);

მიუხედავად კერამიკის მრავალფეროვნებისა და იმ შესამჩნევი ზოგიერთი სხვაობისა, რომელიც ჩანს ნასახლარის იატაკებზე გამოვლენილ მასალებსა და ორმოებში მოპოვებულ მასალებს შორის, და თვით ამ ორმოების მასალების ზოგჯერ თავისებური სხვაობისა, ჩვენ მიგვაჩნია, რომ A დონის მასალა ერთიან კომპლექსს წარმოადგენს და განხილული იქნება ერთად.

დერგები. სქელკედლაანი, შსხვილმარცვლოვანი თიხისაგან ნაძერწი ფენა-ფენა. გამომწვარი შავად, ვარდისფერ სარჩულზე. გაპრიალებული ზედაპირით. მათ ახასიათებთ მხრისკენ გაფართოებული გამოყვანილი ყელი, ფართოდ გადაშლილი პირით, მკვეთრი გარდატეხის ხაზი ყელიდან მხარზე გადასვლის ადგილის, გამობერილი კორპუსი და ვიწრო ძირი. A₁ ფენაში აღმოჩენილ დერგებს ქვთ, ერთ შემთხვევაში (ტ. LV₇), ყელის ძირზე დაძერწილი ორი მასიური ნახევარსფერული ყური, მეორე შემთხვევაში (ტ. LV₁) — მუცელზე მიძერწილი ორი მომცრო ყური. განსხვავებული ფორმის დერგი აღმოჩნდა ამავე დონის

№ 78 ორმოში. ისიც შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანია. გამოირჩება დაბალი ყელით და კვერცხისებრი ფორმის ტანით (ტ. LXIV₂). დერგის ტიპის ჭურჭელს მიეკუთვნება მასიური ყურების ფრაგ- მენტები; ნახევარსფერული (ტ. LXI₁₂), ზოგჯერ ჭურჭელისა (ტ. LIII₄), და მენისკისებრხვრელიანი, რომელიც ხშირად ჭურჭლის კადელშივეა ჩაძერწილი (ტ. LXIV₃, 4).

მკვეთრად გამოირჩევა ამავე ღონეში მოპოვებული დერგის ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტ. LIV₄, 6, 8), სქელედლიანი, ნაცრისფრად გამომწვარი, მოგლუვებული ყელით, გადაშლილი, შესქელებული პი- რით და ხაოიანი ზედაპირით, რომელიც მიღებულია ჭურჭლის კორ- პუსის თხიერი თიხით საგანებოდ შელესვის შედეგად. კორპუსზე და- ძერწილია პორიზონტალური, რელიეფური, ჩანაჭდევებიანი ზოლები (ტ. LIV₆, 8).

ქოთნები, მოზრდილი, პირფართო, ძირითადად წარმოდგენილია ჭურჭლის ყურების ფრაგმენტებით (ტ. LIII₆, 7; LIV₁₂, 13; LXVI₅, 9). ყურები ზურგწიბოიანია, ლენტური, მიძერწილი პირსა და ყელზე, ან პირსა და მხარზე. ჭურჭელი გამომწვარია წითლად ან ვარდისფრად, ღია ფერის სარჩულზე. გაპრიალებულია.

ქოთნები, ვიწროყელიანი, წარმოდგენილია ყელის ფრაგმენტებით (ტ. LIII₁₃; LXI₁₅; LXV₁). ჭურჭლები გამომწვარია ვარდისფრად, ნა- ცრისფრად, ან შავპრიალა ვარდისფერ სარჩულზე. ამ ტიპის ჭურჭელს მიეკუთვნება მენისკისებრხვრელიანი მასიური ყურები (ტ. LIII₂), მიძერწილი ჭურჭლის კორპუსზე.

გამოირჩევა ცალყურა, მსხლისებრი ფორმის მოზრდილი ხელადის ფრაგმენტი (ტ. LX₉). ყველაზე საფეხურისებრი გადასვლით ყელიდან კორპუსზე, მასიური ყურით, მიძერწილი პირსა და მხარზე. ჭურჭელი თხელკეციანია, შავად გამომწვარი, შავპრიალა ზედაპირით. კორპუსზე აქვს ღარული ორნამენტით შესრულებული სახეები.

აგრეთვე პირფართო, დაბალყელიანი ჭურჭლის ფრაგმენტი (ტ. LX₁₀). მას აქვს დაბალი, მხრისკენ გაფართოებული, კარგად გამო- ყვანილი ყელი, გადაშლილი პირით, მკვეთრი გარდატეხის ხაზით ყე- ლიდან კორპუსზე გადასვლის ადგილას, გამობერილი მუცელი და შევი- წროებული ძირი. მხარზე მას პატარა, ნახევარსფერული ყური აქვს მიძერწილი. ჭურჭელი თხელკეციანია, შავად გამომწვარი, კარგად გა- პრიალებული ზედაპირით, ყელის ძირში, გრავირებული ორნამენტით შესრულებული, დამტრიხული სამკუთხედების სარტყელი გასდევს, ხოლო კორპუსზე, ჭრილხაზოვანი ზოლებით შესრულებული შევრო-

ნები. ოგივე ტიპის და მსგავსი ორნამენტით შემკულია № 81 ორმოში აღმოჩენილი ჭურჭლის ფრაგმენტი (ტ. LXII₄), მხოლოდ ორნამენტი მოლიანად შესრულებულია გრავირებული, ნაკაწრი ხაზებზე მოვარდის ფრაგმენტით.

სამაწილადტანიანი ქოთხები, მომცრო ზომის უყურებული ჭურჭლის (ტ. LIII₁; LVII_{2, 6}; LIX₁; LXVII₄), მაღალი, ოდნავ გამოყვანილი ყელით, გადაშლილი პირით, მკვეთრად გამობერილი, ხშირად შესქელებული მუცლით და ვიწრო ძირით. თხელეეციანი, გამომწვარი შავად, ერთ ფენად, კარგად გაპრიალებული ზედაპირით. ამავე ჯგუფს მიეცა თვენიბა მსხლისებრი ფორმის მომცრო ჭურჭლების ფრაგმენტები (ტ. LX₁; LXVI₂).

ყველა ამ მომცრო ჭურჭელს ახასიათებს ძალზე წმინდა და ფაქტი, გრავირებული (ცდეული ან ნაკაწრი) ხაზებით ორნამენტირება. ძირითად გრაფიკულ ორნამენტულ სტილს წარმოადგენს ხაზოვანი, ხშირად ხაზოვან-წერტილოვანი შესრულება პირიზონტალური სარტყლისა და ფრიზის (დაშტრიხული საკუთხედების მწყრივი, დაშტრიხული ფრიზი) და ხაზოვანი შევრონები ან სხვადასხვა ელემენტებით შევსებული ლენტების შევრონები. ერთ შემთხვევაში (ტ. LVII₆), გრავირებულ ორნამენტთან ერთად, გვაქვს კორპუსზე მიძერწილი რელიეფური პირიზონტალური შევრილი, დაყოფილი ნაჭდევებით.

რელიეფური ორნამენტი — ჭურჭლის მხარზე ერთმანეთის გვერდით მიძერწილი სამი ვერტიკალური შევრილი — ახასიათებს № 81 ორმოში აღმოჩენილ ქოთხის ფრაგმენტს (ტ. LXII₄). მას მოგლუვებული ყელი და ხაზიანი, თხიერი თიხით საგანგებოდ შელესილი კორპუსი აქვს. მსგავსი რელიეფურდანაძერწებიანი ფრაგმენტი A₁ ფენაშიც გვხვდება (ტ. LVII₄).

სამაწილადტანიანი ქოთხების განსხვავებულ სახეობას წარმოადგენს A₁ ფენაში მოპოვებული ცალების ფრაგმენტები (ტ. LIX_{6, 9}). მთა აქვთ ფართო, გამოყვანილი ყელი, გადაშლილი პირით, მკვეთრი გარდატეხის ხაზი ყელიდან კორპუსზე გადასვლის ადგილს და ცილინდრული ფორმის კორპუსი, რომელიც, ანალოგებით თუ ვიმსჯელებთ, კონტუსურად შევიწროებული ძირით მთავრდებოდა. ჭურჭლები გამომწვარია გარდაისფრად და ზედაპირზე მოწითალო ფერის ანგობის კვალი ემჩნევათ.

იგრევთვე, ცალკე ჯგუფად გამოიყოფა სფერულტანიანი ქოთხები, მთა დაბალი, ცილინდრული, ზოგჯერ შესქელებული ყელი, ოდნავ გადაშლილი პირითა და სფერული ფორმის კორპუსი ახასიათებთ. A₁ ფურნაში მოპოვებულია მრმცრო ჭურჭლის ფრაგმენტი, სქელკედლიანი,

ვარდისფრად გამომწვარი, ზედაპირზე წითელი ანგობის კვალით (ტ. LIX₆). ამავე ფენაშია ნაცრისფრად გამომწვარი მოზრდილი ქათნის ფრაგმენტი (ტ. LIX₇), მოგლუვებული ყელით და უსისტემოდ დალარული კორპუსით. № 18 ორმოში აღმოჩენილ ამ ტეჭალის მიერ მოვალეობის მიხედვით (ტ. LXVIII₄) ასევე მოგლუვებული ყელი, მხარზე ორი დარბაზის ნაჭლევები და უსისტემოდ დალარულზოლებიანი ზედაპირი აქვთ.

ცალკე უნდა აღინიშნოს №11 ორმოში აღმოჩენილი მოცრო, თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტი (ტ. LXIX₃), მას აქვს მკვეთრად გადაშლილი პირი და გარდატეხის ხაზი ყელიდან კორპუსზე გადასვლის ადგილას. კორპუსს მიუყვებიან ვერტიკალური რელიეფური ზოლები, ზედა ნაწილში კი აქვს ჩაღრმავება, ფოსო. ჭურჭელი გამომწვარია შავიდ და ზედაპირის გაპრიალება ლითონის ბზინვარებამდე არის მიყვანილი.

ქილისებრი ფორმის ჭურჭლებს მიეკუთვნება ნაცრისფრად, მოშავოდ, ან მოყავისფროდ გამომწვარი ჭურჭლები და ჭურჭლის ფრაგმენტები, რაც დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი A ღონის მასალაში. ზომის მიუხედავად, ქილისებრ ჭურჭლებს ახასიათებს ოდნავ გადაშლილი, ხშირად შესქელებული პირი, რომელიც უშუალოდ ან დაბალი ყელით გადადის კორპუსზე. აქვთ განიერი და ბრტყელი ძირი. კორპუსის ზედა ნაწილზე მიძერწილია მრგვალი, ლენტური და სხვა ფორმის ყურები, არის უყურო ცალებიც. ორნამენტი მხარზე, პირის პარალელურად შემოუყვება ჭურჭელს, ესაა რელიეფური, ჩანაჭდევებიანი ან დაკეჭნილი ზოლი ან შვერილი.

ციხიაგორის A ღონის ქილისებრი ფორმის ჭურჭლის ორი გვეფი გამოიყოფა — გლუვზედაპირიანი (ტ. LIII₈; LXI_{5, 7, 9}; LXIII_{2, 3}; LXV_{6, 7}; LXVIII₁ და სხვა) და ხაოიანი, თხიერი თიხით შელესილი ზედაპირით (ტ. LVII₇; LXV_{2, 3, 5}; LXIX₁; და სხვა).

ქილები, მოგლუვებული ზედაპირით, ზოგჯერ გაპრიალებულიყაა. მიუხედავად ამისა, კეცში არაორგანული მინარევების სიჭარბის გამო, ზედაპირი უსწორმასწოროა, მრგვალი ან ლენტური ფორმის ყურები მიძერწილია ყელსა და მხარზე (ტ. LIII₈; LXI₇; LXIII_{2, 3}; LXVIII₁), ზოგჯერ ასიმეტრიულად (ტ. LXIII₃), ან პირსა და მხარზე (ტ. LX₈; LXI_{5, 9}; LXIV_{2, 5}; LXVI_{7, 8, 14}). № 78 ორმოში აღმოჩენილი ქილისებრი ფორმის ჭურჭლების ყურებს ზედა ნაწილში ფოსო აქვთ (ტ. LXVI_{7, 14}), ასეთივე ფოსო გაკეთებულია № 79 ორმოს ერთ-ერთი ქილის კორპუსზე მიძერწილი ცრუყურის ზედა ნაწილში (ტ. LXVIII₁). ორნამენტი წარმოდგენილია პორიზონტალური, რელიეფური, ჩანაჭდევ-

ვებიანი ან დაკუჭნილი ზოლებით და შვერილებით (ტ. LXII₂, 5; LXXV₆; LXVIII₁).

ქილისებრ, თხიერი თიხით შელესილ ზედაპირიან ჭურჭელის მიზნებით გლუვებული ყელი და ხაოზანი კორპუსი აქვთ. ყელიდან კორპუსზე გადასვლის ადგილას ხშირად დაძერწილია ჰორიზონტალური, ჩელიეფური, ჩანაჭდევებიანი ან დაკუჭნილი ზოლი (ტ. LVII₇; LXII₃; LXIX₁), ან ჩანაჭდევებიანი შვერილი (ტ. LXV₅).

ბადიები, A დონეზე სხვადასხვა ტიპისაა მოპოვებული. ძირითადად ამ ტიპის ჭურჭელი ფრაგმენტებითა წარმოდგენილი. არის ყავის-ფრად გამომწვარი, დაბალი, ცალყურა ბადიების ფრაგმენტები (ტ. LIII₁₂; LVII₃), პირსა და მუცელზე მიძერწილი ყურით. ამ ტიპის ბადიები დამახასიათებელია A₁ და A₂ ფენისთვის.

სრულიად განსხვავებული ტიპისაა ორმოებში აღმოჩენილი ბადიები. № 78 ორმოში აღმოჩნდა დიდი ზომის, მაღალი, სქელედლიანი ჭურჭელი (ტ. LXVII₅). მას კონუსურად შევიწროებული კორპუსი და ბრტყელი ძირი აქვს. კორპუსის ზედა ნაწილზე მიძერწილია მასიური ლენტური ყური. სამწუხაროდ, ორმოში ჭურჭლის მხოლოდ ნახევარი იყო, ამიტომ შესაძლოა მას მეორე ყურიც ჰქონდა. ჭურჭელი გამომწვარია ყავისფრად, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გარეთა პირი შავადაა გაპრიალებული. ამ ტიპის, მომურო ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები გვხვდება № 81 ორმოს მასალებში (ტ. LXI₄, 6). მათ უფრო ნახევარსფერული მოყვანილობის ყურები ახასიათებთ. გამომწვარია ვარჯისფრად და გაუპრიალებელია.

კოჭობის ტიპის ჭურჭელი A დონეში წარმოდგენილია მცირელიცხვანი ფრაგმენტებით და ერთი მთელი ცალით № 78 ორმოში (ტ. LXVI₁₁). კოჭობი სამაწილადტანანი, განიერი, გამოყვანილი ყელით, გადაშლილი პირით, მკვეთრად გამოწეული მუცლით, კონუსურად შევიწროებული ძირით და პატარა, ბრტყელი ფუძით. ნახევარსფერული ყური მიძერწილია ყელსა და მხარზე. ჭურჭელი გამომწვარია ყავისფრად, ზედაპირი მოგლუვებულია, გაუპრიალებელი. კოჭობს ღარული ორნამენტით შესრულებული სახეები ამკობს. ყელიდან მუცელზე გადასვლის ადგილას გასდევს ორი ღარისგან შემდგარი ზოლი, რომლის ზემოთ — ყელზე და ქვემოთ — კორპუსზე, ყურის მოპირდაპირე მხარეს დატანილია გეომეტრიული სახეები, მეანდრები და სხვა. ორნამენტი დატანილია სველ თიხაზე, სახელდახელოდ, ამ არის მოსწორებული.

ტოლჩები სხვადასხვა ტიპისაა, ძირითადად წარმოდგენილია ფოგ-მენტების სახით. მომცრო ზომის მთელი ჭურჭელი A₁ ფენაშია აღმოჩენილი (ტ. LIX₃). მას გამოყვანილი ყელი, გადაშლილი პირზე გამობერილი მუცელი და ვიწრო ძირი აქვს, მხარზე მიძერულია მინის კისებრნევრელიანი პატარა ყური. ჭურჭელი გამომწვარია ყავისფრად, ზედაპირი გაპრიალებულია, ხოლო შიდაპირი სახელდახელოდაა მოსწორებული.

№ 81 ორმოში აღმოჩნდა გაპრიალებული, მოყვითალო ფერის ტოლჩა (ტ. LXI₂), დაბალი, ფართო ყელით, გადაშლილი პირით, მკვეთრი ხაზით ყელიდან მუცელზე გადასვლის ადგილას, მომრგვალებული კორპუსით. ყური მიძერწილია პირსა და მხარზე. ტოლჩა შემკულია ჭრილხაზოვანი ორნამენტით. ყელიდან კორპუსზე გადასვლის ადგილას სარტყელია შექმნილი, რომელზეც ჯგუფ-ჯგუფად დაშტრიხებული სამკუთხედებია განლაგებული, ხოლო სარტყლის ქვეშ, კორპუსზე ჩამოშვებულია შეკრონები, სხვა გეომეტრიული სახეები.

განსხვავებული ტიპის მოზრდილ ტოლჩას უნდა ეკუთვნოდეს № 78 ორმოში მოპოვებული ჭურჭლის ფრაგმენტი (ტ. LXVI₁). მას სწორი, ცილინდრული ტანი და მკვეთრად შევიწროებული ძირი აქვს; ჭურჭელი გამომწვარია ყავისფრად და მოგლუვებული ზედაპირი აქვს, იგი შემკულია ჭრილხაზოვანი ორნამენტით.

ჯამები სხვადასხვა ტიპისაა; მოზრდილი, კონუსური მოყვინილობის, ბრტყელი ძირით (ტ. LIV₁₅), გამომწვარი ვარდისფრად, მოგლუვებული ზედაპირით. ამ ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტის A₁ ფენიდან (ტ. LVII₅) შესქელებული პირი და ზედაპირზე ხაზოვან-წერტილოვანი ორნამენტით შესრულებული სახეები აქვს.

მომცრო ზომის პროფილირებული ჯამები (ტ. LIV₉) გამოყვანილი ყელით, გადაშლილი პირით, გამომწეული მუცლით და ვიწრო ძირით ხასიათდებიან. ყურადღებას იყრობს № 78 ორმოში აღმოჩენილი ასეთი ტიპის ჭურჭლის ფრაგმენტი (ტ. LXVII₂), მკვეთრად პროფილირებული, საფეხურისებრი გადასვლით ყელიდან მუცელზე და მუცლიდან ძირზე. ჭურჭელი ყავისფრალაა გამომწვარი და შიდა და გარე პირი კარგადაა გაპრიალებული. ყელზე და მუცელზე აქვს ფაქიზი, გრავირებული ორნამენტით შესრულებული სახეები; ყელზე დაშტრიხებული სამკუთხედები, ხოლო კორპუსზე — ფართო ზოლებით შექმნილი შევრონები ზედ დაშტრიხებული სამკუთხედებით.

ჯამების განსხვავებულ ტიპს მიეკუთვნება მოზრდილი, სქელყედლიანი, პირმოყრილი, სფერულტანიანი ჭურჭლის ფრაგმენტი (ტ. LX₅),

ვარდისფრად გამომწვარი და ანგობირებული; და ცილინდრულტანიანი მომრვალებული ძირით ფრაგმენტი ჭურჭლისა (ტ. LXII₁₀), ყავი-ფრად გამომწვარი, მოგლუვებული, ჭრილხაზოვანი ორნამენტულტანი ჭული ზედაპირით.

გიგანტური ჭურჭლები

სასმისები, შავპრიალა, სქელკედლანი, ყელგამოყვანილი, მცველ-რად გაფართოებულ მუცლიანი და კონუსური მოყვანილობის შედრე-კილძირიანია. მათ შორის განსხვავება შეინიშნება ზომასა და მოყვანი-ლობაში (ტ. LV₅; LIX_{4, 5}; LXIII₅). ერთი სასმისის ფრაგმენტზე (ტ. LXVI₄) რელიეფური, წრიული დანახერწია და ამ სასმისის ზედაპი-რი უფრო კარგადაა გაპრიალებული, ვიდრე სხვა ცალებისა.

სასმისებს მიეკუთვნება აგრეთვე A₁ ფენაში მოპოვებული ფართო-ყელიანი და ფართოძირიანი, ქილისებრი ფორმის ჭურჭელი (ტ. LV_{4, 6})-ისევე გამომწვარი და გაპრიალებული შავად, როგორც დანარჩენი სას-მისები.

A დონეზე მოპოვებულ მასალაში გამოიყოფა ერთი ჯგუფი ორ-ნამენტირებული კერამიკის ფრაგმენტებისა, რომლებიც მცირე ზომის ჭურჭელს ეკუთვნის. ფრაგმენტულობის გამო, ვერ ხერხდება ამ ჭურ-ჭლების ფორმების აღდგენა. ამ ჯგუფის ყველა ჭურჭლის ფრაგმენტი თხელკედლიანი, შავპრიალა, შემკული ფაქიზად შესრულებული გრა-ვირებული (ტ. LIV_{2, 3}), ან ღარული, ჭრილხაზოვანი ორნამენტით (ტ. LIV₁₀; LXII_{7, 10}; LXIII_{6, 7, 11}; LXVIII₃). ამ ჯგუფის ჭურჭლების ფრაგმენტების უმრავლესობა გამოირჩევა ზედაპირის გაპრიალების განსაკუთრებით მაღალი დონით.

ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ორმოებში აღმოჩენილი ჭურჭლის კედ-ლის უსახო ფრაგმენტები, რომლებსაც სხვადასხვა მხარეს უსისტემოდ მიმართული საგარცხლისკვალისებრი, დაღარულზოლებიანი ზედაპირი აქვთ (ტ. LXII₆; LXVIII_{3, 5, 6}; LXIX_{2, 3}).

სხვა კერამიკული ფრაგმენტებიდან აღსანიშნავია A₂ ფენაში მო-პოვებული ჭურჭლის ყელის ფრაგმენტი ზედ დაძერწილი პატარა ნა-ხევარსფერული ცრუყურით (ტ. LIII₁₁); გაურკვეველი დანიშნულების შავპრიალა კერამიკის ფრაგმენტი (ტ. LIV₅), რომელიც, აღბათ, ჭურჭ-ლის ქუსლს უნდა წარმოადგენდეს; აგრეთვე ჭურჭლის სწორი კედ-ლის ფრაგმენტი, ორივე მხარეს ჰორიზონტალური, რელიეფური დანა-ძერწით და პირზე პატარა, წვეტიანი შვერილით (ტ. LIV₇), ვარდის-ფრად გამომწვარი, მოგლუვებული ზედაპირით. შესაძლოა დიდი ტაფი-სებური ჭურჭლის კედლის ფრაგმენტია.

ტაფისებური, გვერდმოლარული, სტაციონარული და გადასატანი სხვადასხვა ზომის ჭურჭელი მრავალრიცხვოვანი ფრაგმენტებით შექმნა და გადასატანი წარმოდგენილი როგორც ფენაში, ისე ორმოებში (ტ. LXII₁, 15, 16, 18; LXIII₁₀; LXIV₁; LXVI_{10, 11, 12, 13}). ხშირად ამ ჭურჭლის კედლებზე სხვადასხვა სახის რელიეფური დანახერწებია გაკეთებული. ერთ შემთხვევაში (ტ. LXII₁) ჭურჭლის კედლელი შეზნექილია და მასზე რელიეფული ჩანაცდევებიანი ზოლია მიძერწილი. ტაფისებური ჭურჭლების კედლები კარგად არის გამომწვარი ვარდისფრად, ნაცრისფრად ან ყვითლად, ზედაპირი მოგლუვებულია, ზოგჯერ, არაორგანული მინარევების სიჭარბის გამო, ზედაპირი უსწორმასწოროა.

კერები. კერამიკულ ნაწარმს წარმოადგენს აგრეთვე A დონეში მოპოვებული მრავალრიცხვოვანი ფრაგმენტები მრგვალი, შვერილებიანი კერებისა, სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის; ძირითადად წარმოდგენილია კერების შვერილები; თითქმის ყველა ორმოს მასალაში გვხვდება ერთი ან რამდენიმე ასეთი შვერილი, გვხვდება როგორც სტაციონარული კერების მოზრდილი შვერილები (ტ. LXI₁₄; LXII₁₄; LXVII₃), ისე გადასატანი კერების მომცრო ზომის შვერილები (ტ. LIII₅; LIV_{1, 14}; LXI₁₃; LXII₁₇; LXV₄; LXVI_{3, 6}). გადასატანი კერების შვერილები, ხშირ შემთხვევაში, წითლადაა შეღებილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იძყრობს A₁ ფენის ერთ-ერთი იატაკის ფრაგმენტზე აღმოჩენილი მრგვალი, სტაციონარული, შვერილებიანი კერა (ტ. LVIII). იგი ძლიერ დაზიანებული იყო და მისი აღდგენა არ ხერხდება. კერა ჩადგმული იყო იატაკში ამოთხრილ ორმოში. მას კარგად გამომწვარი, ცილინდრული მოყვანილობის, ნაპირისკენ გაფართოებული კედლები აქვს. ძირი არ გააჩნია, კერის პროფილირებული, ფართო, ნაწილი აცილებული იყო იატაკის ღონეს. შიგნითა მხრიდან კერას სამი შვერილი ჰქონდა მიძერწილი, ერთი მოზრდილი და ორი შედარებით მომცრო, რომლებსაც ორ-ორი „თვალისებრი“ ჩატრმავება აქვთ. კერის დაზიანების გამო, ძნელია ამ შვერილების ურთიერთგანლაგების ზუსტად დადგენა, ისე ჩანდა, რომ კერის ერთ მხარეს ორი, მომცრო „თვალებიანი“ შვერილი იყო მიძერწილი, ხოლო მათ მოპირდაპირე მხარეს — მოზრდილი შვერილი. კერა ნაძერწია მსხვილმარცვლოვანი თხისაგან, გამომწვარია მოხარდისფრო-მოყვითალოდ. პროფილირებული ფართო ზედა ნაწილი, შიდაპირი და შვერილები სუფთადაა მოლესილი წმინდა თხით და გაპრიალებულია. კერას არ ემჩნევა ცეცხლის ხანგრძლივი მოქმედების კვალი, მიუხედავად იმისა, რომ იგი წმინდა ნაცრით იყო ამოვსებული.

კერამიკულ ნაწარმს აგრეთვე მიეკუთვნება გაურკვეველი დანერნულების, კონცენტრი მოყვანილობის მცირე ზომის ჭურჭელი, რომლის ფრაგმენტები № 81 ორმოში აღმოჩნდა (ტ. LXI₁). იგი უკუკუდლანია, ყავისფრად არის გამომწვარი და სუსტად ზედაპირგა გადარჩენილ ფრაგმენტებზე მას აქვს სამი პატარა ნახვრეტი, ზონარის გასაყრელი, ორი კიდეზე და ერთი კონცენტრის წვერთან, კიდეზე ნახვრეტი ისეა განლაგებული, რომ უნდა ვივარაუდოთ, მესამე ნახვრეტიც ჰქონდა სიმეტრიისთვის, რადგან, როგორც ჩანს, ჩამოსაყიდი იყო. კონცენტრის გარე ზედაპირზე, ხაზოვან-წერტილოვანი ორნამენტით დატანილია სხვადასხვა სახეები. ეს სახეები ისეა განლაგებული, რომ რჩება შთაბეჭდილება, მათ რაღაც აზრობრივი დატვირთვა უნდა ჰქონოდათ.

A დონეზე 'მოპოვებულია' ერთი თიხის ბორბლის მოდელი (ტ. LXII), შავად გამომწვარი, მოგლუვებული ზედაპირით, და ცეცხლგამძლე თიხისაგან დამზადებული, ვარდისფრად გამომწვარი, ცულის ჩამოსასხმელი ყალიბის ფრაგმენტი (ტ. LXII₂).

A დონის № 77 ორმოში აღმოჩნდა ერთი ანტროპომორფული (მამაკაცის) ფიგურა (ტ. LXIII₁; LXIII₂; LXXXIV). მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან გამოძერწილია 5,5 სმ სიმაღლის და 3 სმ ღიამეტრის მორგვალებული ფიგურა, რომელსაც ზედა ნაწილი შევიწროებული აქვს და ფიგურის თავია გადმოცემული. კარგად ჩანს ცხვირი და ჩაღრმავებებით გაკეთებული თვალები. კარგად გამოყოფილი ხელები მოხრილია და მკერდზეა მიკრული. ფიგურა გამომწვარია ვარდისფრად და კარგად მოსწორებული ზედაპირი აქვს.

ძვლის ნივთები

A დონეში მოპოვებულია ერთი ბორბლის ფორმის გახვრეტილი კვირისტავი (ტ. LXIX) № 5 ორმოში და სოკოსებრი კვირისტავის ფრაგმენტი (ტ. LIX₂).

III. ციხიაგორის ნამოსახლარი

ზემოაღწერილი მასალა ზოგიერთი განზოგადების საშუალებას იძლევა ნამოსახლარის ცხოვრების შესახებ. აღრებრინჯაოს ხანის B და A დონეები, თავისი 5 ნასახლარი ფენით, როგორც ქვემოთ შევეცდებით ნათელვყოთ, შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის ერთგვა-

რი განვითარების მაჩვენებელია. მიუხედავად იმისა, რომ B და A დღნებს შორის სხვაობა არსებობს, ისინი ერთ, მტკვარ-არაქსის კულ-ტურას მიეკუთვნებიან და ზოგადად ნამოსახლარის ცხოვრებულის დასხვა საფეხურის შესახებ შეიძლება მსჯელობა. ამ უზრუნველყოფა ბით გავარკვით ნასახლარის ცხოვრების ყველაზე მეტად ტიპიური თავისებურებანი და განვითარების საერთო სურათი. მაგრამ, ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ ეს მსჯელობა ემყარება ნაკლოვან მასალას, ვინაიდან გათხრილია ძეგლის მხოლოდ მცირე ნაწილი, დაახლოებით ერთი მეათედი.

* * *

ციხიაგორის ნასახლარი გაშენებულია საგანგებოდ შერჩეულ ბურებრივ ბორცვზე, მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, ხელსაყრელ ადგილას. ბორცვის მთელ ფართობზე დადასტურდა მტკვარ-არაქსის კულტურის ფენის არსებობა. შესწავლილია შედარებით მცირე ფართობი — 300 კვ. მ ბორცვის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სადაც ხუთი ნასახლარი ფენა დადასტურდა, რაც არ გამორიცხავს შესაძლებლობას, ბორცვის სხვა ნაწილებში უფრო ადრეული ნასახლარი ფენების არსებობისა, თუ იგი ერთდროულად არ იყო დასახლებული.

რაც შეეხება ხუთ შესწავლილ ნასახლარ ფენას, ისინი, B₂ ფენის გარდა, საკმაოდ მწირ ინფორმაციას გვაძლევენ შენობების ტიპებსა და დაგეგმარების პრიციპებზე. მიუხედავად ამისა, კარგად ჩანს, რომ ნასახლარი ფენების შენობები, თავისი გეგმარებით, არც ერთ შემთხვევაში არ იმურრებენ სხვა ფენების შენობების გეგმარებას, ე. ი. ხუთივე ფენაში ნასახლარის გეგმარება იცვლებოდა.

იცვლება აგრეთვე მშენებლობის ტექნიკა, ქვედა, B₃ და B₂ ფენების შენობები სარლასტით არის ნაგები და ორმხრივ შელესილია თიხით. B₁ ფენაში შენობის კედლები ნაგებია რიყის ქვით და ალიზით, ხოლო A₂ და A₁ ფენების შენობები წარმოდგენილია თიხატკეპნილი იატკებით და A₁ ფენაში თიხატკეპნილი კედლის ფრაგმენტით.

სარლასტით, ორმხრივ შელესილი თიხით, შენობების კედლების აგება, რაც ციხიაგორის B₃ და B₂ ფენებისათვის არის დამახასიათებელი, შილა ქართლის რეგიონში მტკვარ-არაქსის კულტურის ძირითადი სამშენებლო ტრადიციაა (ჭავახიშვილი, 1973, გვ. 113—149). ხიზანაანთ გორის D დონისთვის უკვე დამახასიათებელია მრგვალი ფორმის შენობები, წნული, თიხით შელესილი კედლებით, ბრტყელი, ბანური

გაღსხურვით (კიკვიძე, 1972, გვ. 44). ზედა C და B დონეებისთვის ლამბასიათებული შენობა განსხვავებული ტიპისაა, იგი მოგრძოა, კუთხეებშორმრგვალებული, ორმხრივშელესილი, მოწნული ბრტყელი, ბანური გადახურვით. ამ სახის შენობა, როგორც ჩანს, შეიძლება ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებული საფეხურის გარკვეულ სტადიაზე ჩნდება და ამიერიდან აქ იგი ნაგებობის წამყვანი ტიპი ხდება (ჯაფარიძე, 1976, გვ. 97). ხიზანაანთ გორაზე თითქოს შეინიშნება კიდევ ამ ტიპის შენობის ჩამოყალიბების პროცესი (კიკვიძე, 1972, გვ. 46).

შიდა ქართლის ნამოსახლარების, განსაკუთრებით კარგად შესწავლილი ქვაცხელების ნასახლარის C და B დონეების, ფენებში გათხრილი შენობები (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962, ტ. VI—XXII) სავსებით ჩამოყალიბებული და გარკვეული ტიპისაა. მათ გეგმას უკვე განვლილი აქვს განვითარების ხანგრძლივი გზა და მიღწეულია მყარ მდგომარეობამდე. ზოგიერთი არქაული თავისებურების მიუხედავად (მომტკვალებული კუთხეები, ერთი მთავარი საყრდენი სვეტი — „დედა ბოძი“, გადახურვის ძელების სიმრგვალე, წნულ-ლასტის გამოყენება), შენობებს ახასიათებს ორნაწილედობა, ოთხკუთხედი მოყვანილობა, ბრტყელი, ცენტრალურსარქმლიანი ბანური გადახურვა, დერეფანი და რთული კონსტრუქციული ნაწილები (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962, გვ. 45).

ციხიაგორის B₂ ფენის ნასახლარი (ტ. VII) გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ სოფლის დაგეგმარებასა და შენობების ტიპზე. დაგეგმარების დროს მხედველობაშია მიღებული აქ გაბატონებული ქარები, რომლებიც ქრის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და პირუკუ, ამიტომ შენობები ორიენტირებულია ან ჩრდილოეთით, ან სამხრეთით.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად გაითხარა მხოლოდ ორი ნაგებობა და ერთი ნაწილობრივ, შესაძლებლად მიგვაჩნია ვივარაულოთ, რომ შენობები ნასახლარზე განლაგებული იყო უბნებად, შეჯგუფებული გამორჩეულ ნაგებობასთან. ასეთი ნაგებობა უნდა იყოს № 1 შენობა. ამას გვაფიქრებინებს მისი გამორჩეულად მდიდრული ინტერიერი, დერეფანი, რომელიც ორ დანარჩენ შენობას არა აქვს და ის, რომ ბილიკი, რომელიც ნასახლარზე გადიოდა, მიემართება სწორედ № 1 შენობის შესასვლელისაკენ, იმ დროს, როდესაც № 2 და № 3 შენობები 5—6 მეტრით დაშორებული არიან ბილიკს და მას გაჰყურებენ.

თვითონ შენობები წარმოადგენენ დიდ, 70 კვ. მეტრამდე ფართის, ორითახიან ნაგებობას; მოგრძო, კუთხეებმომრგვალებული, ორმხრივ-შელესილი მოწნული კედლებით, ბრტყელი გადახურვით, ცენტრალური ოთახის ცენტრში საყრდენი სვეტით და მის წინ, იატკუში ჩატარების შემდეგ მრგვალი შვერილებიანი კერით.

შენობის აგება ხდებოდა გარკვეული წესით: მზადდებოდა შენობის საფუძველი — კენჭისა და თიხის 20 სმ სისქის ჰორიზონტალური ფენა — ბაქანი; იგება კედლის კარჯასი — სარებზე ღამაგრებული ლასტი და იდგმება საყრდენი სვეტი; მის შემდეგ თიხით ფენა-ფენა-ილესება იატკი და კედლები ორივე მხრივ და კეთდება ბრტყელი, ერდოიანი გადახურვა.

როგორც ი. კიკვიძე აღნიშნავდა, თუ საერთო აქვს შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებზე გავრცელებულ საცხოვრებელი ნაგებობების ტიპებს ერთმანეთთან, ეს კონსტრუქციული ერთიანობა კედლების სარ-ლასტით აგება, ღედაბომზე დაყრდნობილი ბრტყელი ერდოიანი ბანური გადახურვა და ოთახის ცენტრში სტაციონარული შვერილებიანი კერის მოწყობა (კიკვიძე, 1972, გვ. 46).

ციხიაგორის B₂ ფენის შენობები განსაკუთრებულ სიახლოეს იჩენენ ქვაცხელების B₁ ფენის შენობებთან (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962, ტ. VI—VIII) და როგორც ჩანს, მათ განვითარებას წარმოადგენენ. ციხიაგორის შენობები უფრო დიდი ზომებით გამოიჩინებიან; ვიწრო დერეფანი შენობის წინ დამახასიათებელი ქვაცხელების ნაგებობისთვის, იზრდება და ციხიაგორაზე უკვე მეორე ოთახად იქცევა; ამავე დროს, პრინციპულად, კონსტრუქცია და შენობის ტიპი არ იცვლება, ხდება ბუნებრივი განვითარება.

გეგმარებაშიც შეინიშნება განსხვავება. თუ შიდა ქართლის სხვა მტკვარარაქსულ ნასახლარებზე დადასტურდა საერთო გეგმარების პრინციპი — ეს არის სოფლის მჭიდრო დასახლება, შენობებს შორის ჰაერის ცირკულაციისთვის განსაზღვრული არის დაცვა და სხვა (კიკვიძე, 1972, გვ. 44); და მართლაც, ქვაცხელების შენობები საქმიოდ მჭიდროდ არის განლაგებული (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962, ტ. IV); ციხიაგორის შენობების განლაგება უფრო გაშლილია, შენობებს შორის მანძილი 5—7 მეტრს აღწევს და მათი დაგეგმარება უფრო მოწესრიგებულ შთაბეჭდილებას ტოვებს; ესეც, აღბათ, შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარების დაგეგმარების პრინციპების შემდგომი განვითარების მაჩვენებელია.

B₁ ფენაში გათხრილია მხოლოდ ერთი შენობის ნაშთი, უკანა კერძო დელზე მიღვმული პატარა სათავსოებით (ტ. VI), ამიტომ გეგმარებაზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ შენობა შესასვლელით ჩრდილო ჩანს, ორიენტირებული იყო სამხრეთით, ე. ი. მუდმივი ქარების საწინააღმდეგო დარღვევის მიზანით. მაგრამ მაგრამ იყო მუდმივი ქარების სამხრეთით, ე. ი. მკვეთრად იცვლება მშენებლობის ტრადიცია. მართლია, როის ქვეშ და ალიზის გამოყენება მშენებლობაში არ არის უცხოური შიდა ქართლის. მტკვარ-არაქსის ნამოსახლარებზე, მაგრამ იქ ისინი მხოლოდ დამხმარე ფუნქციას ასრულებენ სარლასტით ნაგებ შენობებში (ჯავახიშვილი, ღლონგტი, 1962, გვ. 45). ციხიაგორის B₁ ფენაში კი, სარლასტით მშენებლობა, რომლის ბრწყინვალე ნიმუშებს B₂ ფენის შენობები წარმოადგენენ, საერთოდ არ ჩანს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ B₂ ფენა ძლიერი ხანძრით არის განადგურებული, ხოლო B₁ ფენის შენობის იატაკი უშუალოდ B₂ ფენის ნაგრევ ბათქაშებზეა. გამართული, სამშენებლო ტრადიციის შეცვლა, ალბათ, მოსახლეობის შეცვლით იყო განცირობებული.

B₁ ნასახლარ ფენას ციხიაგორაზე განვითარება არ ჰქონია, იგორ მიტოვებული ჩანს, დაახლოებით ერთი საუკუნის მანძილზე ნასახლარი წყვეტის თავის. არსებობას, შემდგომ კი კვლავ იწყებს ფუნქციონირებას და იქმნება A დონის ორი ნასახლარი ფენა.

A₂ ფენაში მხოლოდ კენჭნარევი თიხატკეპნილი იატაკების ფრაგმენტებია დაფიქსირებული, ხოლო A₁ ფენაში (ტ. III), სტაციონარული კერის ირგვლივ დაფიქსირებული თიხატკეპნილი იატაკის მიხედვით თუ ვიმსჯელეთ, ნასახლარი ფენა მოზრდილი ნაგებობებისგან შედგებოდა. სამწუხაოდ, მათი ფორმა გაურკვეველია. სამშენებლო მასალად თიხაა გამოყენებული. ზადასტურდა თიხატკეპნილი კედლის ფრაგმენტი (ტ. IV₁). შესაძლებელია, ალიზიც გამოიყენებოდა.

A₁ ფენის ნასახლარი მიტოვებული ჩანს და ციხიაგორის მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი წყვეტის თავის არსებობას.

* * *

ციხიაგორის ნამოსახლარის ნივთიერი მასალის უმრავლესობას კერამიკა შეადგენს, მეტად მრავალფეროვანი, როგორც ჭურჭლის ფორმებით, ისე ორნამენტულით. უნდა ალინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის განვითარების

შესახებ არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული. დამაჯერებლად გამოიყუნება პერიოდიზმის ის სემა, რომელიც შემუშავებულია სტრატეგიული მონაცემების, ფორმისა და ორნამენტის მარტივიდან რთულისაკენ ევოლუციის, წინარე, მომდევნო და მეზობელ კულტურებთან. შენიშნული კავშირების გათვალისწინების საფუძველზე და სკოცუფტინი, 1941, გვ. 115—116; ჯაფარიძე, 1961, 1976; ორჯონიკიძე 1983; გვ. 90).

აღნიშნულის შესაბამისად, მტკვარ-არაქსის კულტურაში რამდენიმე საფეხურია გამოყოფილი. აღრეულს მიეკუთვნება ე. წ. დიდუბეკივეთის რიგის ძეგლები, რომლისთვისაც დამახასიათებელია მარტივი ფორმის თიხის ჭურჭლები ცილინდრული ყელით, მომრგვალებული ან კერცხისებრი ტანით და ნახევარსფერული მოყვანილობის ყურებით. გამომწვარი მორუხო-მოყვითალო-მოყავისფროდ. შემკობილია მარტივი ნაკაშრი სახეებით, ფოსოებით, კოპებით, წყვილი ირიბი რელიეფური ზოლებით და სხვა, განსაკუთრებით დამახასიათებელია რელიეფური ორმაგი სპირალის, ე. წ. „სათვალისებრი“ სპირალის მოტივი.

მომდევნო საფეხურის ჭურჭლები ძირითადი უკვე შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა ჩანს. ჭურჭლის ტანი ბიკონუსურ ფორმას იღებს, მრავალფეროვანი ხდება ყურის მოყვანილობა, მისი მიძერწვის მანერა. გარკვეული ცვლილებები ორნამენტსაც დაეტყო — რელიეფური „სათვალისებრი“ სპირალი ახლა ორმაგი სპირალის ვარიანტებითა წარმოდგენილი; ნაკაშრითა და რელიეფით გამოყვანილი ზომორდული, გეომეტრიული და სხვა სახის ორნამენტი შედარებით გართულებულია.

კიდევ უფრო გართულებულია ბოლო პერიოდის ორნამენტი. რელიეფური, ჩალარულ-ამობურცული, გრავირებული-ნაკაშრი ან ნაჭდევი და სხვა ხერხებით შესრულებული. კვლავ გვხვდება სპირალური, ზომორდული და გეომეტრიული მოტივები, რომელიც ახლა უფრო მრავალფეროვანია და ჭურჭლის მთელ ტანს შემოუყვება. წამყვანი ჩანს ჭურჭლის სამნაშილადი ფორმა, თუმცა ასებობას განავრძობს მომრგვალებული და ბიკონუსურტანიანი ჭურჭლებიც (ორჯონიკიძე, 1983, გვ. 90).

ციხიაგორის ნამოსახლარის B დონის კერამიკა ბოლო, მესამე პერიოდის გუეფს მიეკუთვნება. აქ წამყვანი ჩანს ჭურჭლის სამნაშილადი ფორმა, გრავირებული, ძირითადად ნაკაშრი, ხაზებით ორნამენტირება, რომელიც ხშირად შერწყმულია პლასტიკურ, ჩალარულ-ამობურცულ

ორნამენტთან, განსაკუთრებით მომცრო ზომის ჭურჭლებზე, ორნამენტაციის ძირითადი მოტივებია — გეომეტრიული სახეები და მასთან შერწყმული სპირალური.

B ღონის სამივე ნასახლარი ფენის კერამიკა ძირითადად მორიგეობული როვანია, განსაკუთრებით ქვედა, B₂ და B₃ ფენების გასაკლაუნირებლივ კომპლექსს წარმოადგენს. მისი უმრავლესობა მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტისათვის დამახასიათებელი ფორმებით არის წარმოდგენილი (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962, ტ. IV; კიკვიძე, 1972) და მათ განვითარებას უნდა ასახავდეს. შიდა ქართლში შესწავლილი ნამოსახლარებიდან, ციხიაგორის ქვედა ფენების მასალასთან შველაზე მეტ საერთოს პოულობს ქვაცხელების ნასახლარის მასალები*.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ტრადიციული ფორმის შიდაქართლი მტკვარარაქსული კერამიკა, რომელიც ციხიაგორაზე არის წარმოდგენილი — პირფართო, ორყურა და ცალყურა ქოთნები, ვიწროყელიანი, ცალყურა ქოთნები, მაღალი და დაბალი ცალყურა ბადიები, წელში გამოყვანილი სასმისები და სხვა.

პირფართო, ორყურა და ცალყურა მოზრდილი, და ვიწროყელიანი. ცალყურა ქოთნები მრავლად არის წარმოდგენილი ქვაცხელების ნამოსახლარის C დონეში (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962, ტ. IV. 392—407). მათ ტანის ბიკონუსური მოყვანილობა ახასიათებთ, ხოლო ციხიაგორაზე ამ ტიპის ჭურჭელი უფრო არამკეთრი, სამწილადი მოყვანილობისაა, წიბო აქვს არა მუცულზე, არამედ მუცლიდან ძირზე გადასვლის ადგილას. ამ ტიპის ჭურჭელი, როგორც ქვაცხელებზე, ისე ციხიაგორაზე, უორნამენტოა, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

მაღალი და დაბალი ცალყურა ბადიები ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ჭურჭლის ფორმაა შიდა ქართლის კერამიკულ კომპლექსში, თანაც იგი თითქმის არ იცვლის ფორმას თავისი ხანგრძლივი

* სამცენირო ლიტერატურაში შიდა ქართლის ორი ძეგლის — ქვაცხელების და ხიზანანთ გორის C და B ღონები და მათი ნასახლარი ფენები სინქრონულადაა მიჩნეული, რაც გაუმძრთლებლად მიგვაჩნია. ჩვენ ვეთანხმებით ა. ორჯონიშვილის აზრის, რომ კულტურული ერთოანობის მიუხედავად, მათ შორის გარევეული ქრონოლოგიური სხვაობა ჩანს (ორჯონიშვილი, 1983, გვ. 108). ხიზანანთ გორა რამდენადმე არქაულ შთაბეჭდილებას ტოვებს, მისი C და B ღონის კერამიკა ბიკონუსური უორმისა და უორნამენტო, როცა ქვაცხელების ამავე ღონების ჭურჭლები შემცირდა მოგვიანო ხანისათვის დამახასიათებელი ნაკაშრი რონამენტით, ხოლო ქვაცხელების B ღონებზე ჩნდება ხიზანანთ გორისთვის საერთოდ უცნობი სამნაწილადტანიანი ჭურჭლები და B₁ ფენაში ჩალარულ-ამობურცული ორნამენტი.

არსებობის მანძილზე. წარმოდგენილია ქვაცხელების C და B დონეები (ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962, ტ. IV, 368—375, 119—121, 130—132) — საჩერის სამარხებში (ჯაფარიძე, 1961, ტ. XXI_{2, 4, 5}), ბეჭთა-შენის ციკლოპური სიმაგრის ქვედა ფენაში (კუფტინი, 1941, გვ. 146, სურ. 124) და სხვა.

გვერდშეზნებილი ბადიები სამტოტა ყურით არ არის ფართოდ გავრცელებული; ასეთი ტიპის ჭურჭელი, მხოლოდ ნახევარსფერული ყურით, არის აღმოჩენილი ხიზანანთ გორის D ფენაში (კიკვიძე, 1972, ტ. XXVI₈, სურ. 197) და ოზნში (უორუკეშვილი, გოგაძე, 1974, ტ. 18). მოთ უფრო საინტერესოა, რომ ამ ტიპის ჭურჭელი სამტოტა ყურით, ციხიაგორის გარდა, გვხვდება ქვაცხელების B₁ ფენაში (ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962, ტ. IV, 175, 176).

მაგრამ რაც ყველაზე უფრო აახლოვებს ციხიაგორის ქვედა ფენებს ქვაცხელების ზედა B₁ ფენასთან, ეს არის ჭურჭლის სამნაშილადი ფორმა (ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962, ტ. IV, 139—144, 146—150) და ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტით ჭურჭლის შემკობა (ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962, ტ. IV, 138).

ჯერ კიდევ ბ. კუფტინი აღნიშნავდა, რომ ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტი დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სამხრეთი რეგიონებისათვის (კუფტინი, 1941, გვ. 116). ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტი და სამნაშილადი ფორმა ჭურჭლისა მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთული ვარიანტის, არარატის ველის ძეგლების ყველაზე დამახასიათებელ ნიშნადაა მიჩნეული (ჯაფარიძე, 1976, გვ. 124).

მეტად თავისებურია არარატის ველის ნამოსახლარებზე გამოვლენილი თიხის ჭურჭელი. მისთვის უპირატესად დამახასიათებელია შავპრიალა კერამიკა ღია სარჩულზე და სამნაშილადი ფორმა ჭურჭლისა. ამ კერამიკული კომპლექსის განვითარება თავისებური გზით წავიდა და იგი საგრძნობლად განსხვავდება შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებულ საფეხურზე ჩამოყალიბებული ჭურჭლის ფორმისაგან, რომლისთვისაც ძირითადად წიბომუცლიანი მოხაზულობაა დამახასიათებელი (ჯაფარიძე, 1976, გვ. 124). სხვაობა ჩანს არა მარტო ჭურჭლის ფორმაში, არამედ მისი შემკობის ხასიათშიც. არარატის ველისა და მისი მეზობელი მხარის ძეგლებისთვის დამახასიათებელია ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტი, რომელიც ძირითადად ჭურჭლის წინა მხარეზეა მოთავსებული. ორნამენტი უპირატესად გეომეტრიული ხასიათისაა, სადაც სპირალს აგრეთვე ერთ-

ერთი წამყვანი ოლი უკავია. გვხვდება ჩაღარული, გრავირებული და სხვა ტიპის ორნამენტიც, საღაც წამყვანი ისევ გეომეტრიული მოტივებია (ხანჩალიანი, 1976, გვ. 108).

არარატის ველის ძეგლებისათვის — შრეშ-ბლური, გრავირებული და ქიულ-თაფა და სხვა (სარდარიანი, 1967) დამახასიათებელია ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტი, გრავირებული ნაკლებადაა გამოყენებული. შენგავითში, პირიქით, უფრო ხშირია გრავირებული ორნამენტი, ზოგჯერ რელიეფურთან კომბინაციაში. აქ, განსაკუთრებით გვიანდელ საფეხურზე, დიდ განვითარებას აღწევს გეომეტრიული სახეები, გრავირებული ორნამენტისა (ხანჩალიანი, 1976, ტაბ. XIII).

უნდა აღინიშნოს, რომ არარატის ველზე წარმოდგენილი მტკვარ-არაქსის კულტურის ვარიანტი ფართო გავრცელებას პოლობს. ამ კულტურის აყვავების ხანის უფრო მოგვიანო საფეხურზე იგი მოიცავს მთლიანად დღევანდელი სომხეთის მთიანეთსა და მის მომიჯნავე ოლქებს, პირველ რიგში, აღმოსავლეთ ანატოლიას (ჯაფარიძე, 1976, გვ. 141). მისი გავლენის ქვეშ ექცევა ქვემო ქართლი, განსაკუთრებით მისი ვაკე. აქ, შულავერის მიღამოებში, შესწავლილ ნამოსახლარებზე — ყაითმაზი და „დანგრეული გორა“ — აღმოჩნდა შესანიშნავი კერამიკა, რომელიც ძალიან ახლოს დგას უფრო სამხრეთით, არარატის ველზე გავრცელებულ თხის ჭურჭელთან როგორც ფორმით, ისე შემკობის ხასიათით (ლლონტი, 1975, გვ. 135—136). ასეთივე კერამიკა აღმოჩენილია აგრეთვე შულავერი II ნამოსახლარზე (კუშნარიოვა, ჩუბინიშვილი, 1970, გვ. 160, სურ. 53).

ქვემო ქართლის მომიჯნავე, თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაც, როგორც ჩანს, მტკვარ-არაქსის კულტურის სამხრეთდასავლური, არარატის ველის ვარიანტის სფეროში ექცევა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ყაზახის რაიონში მდებარე ბაბადერვიშის ბორცვის შესწავლისას. აქ აღმოჩენილი კერამიკა მსგავსებას ავლენს შენგავითის ტიპის ძეგლებთან, განსაკუთრებით შემკობის ხასიათის მიხედვით. აქაც გვხვდება მსგავსი გრავირებული, ჩაღარულ-ამობურცული და აგრეთვე კომბინირებული, ორივე სახის შერწყმის შედეგად მიღებული ორნამენტი (ისმაილოვი, 1978). თრიალეთში, მსგავსი ორნამენტით შემკული კერამიკა მოპოვებულია ბეშთაშენის ციკლოპური სიმაგრის ქვედა ფენის III კომპლექსში (კუფტინი, 1941, ტაბ. CXX; უორუკიაშვილი, გოგაძე, 1974, ტაბ. 34. 214).

შიდა ქართლში ეს სამხრეთული გავლენა ქვაცხელების B დონის პერიოდში გამოჩნდა, რაც როგორც აღვნიშნავდით, გამოიხატა ჭურჭ-

ლის ფორმის სამნაშილადი მოყვანილობის და ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტის გამოჩენით. მაგრამ მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა-ქართლური ვარიანტი იმდენად ჩამოყალიბებული სახისა და სამხრეთულ გავლენას არ გამოუწვევია მკვეთრი ცვლილებების ჩატარების წესში, არქიტექტურაში და მშენებლობის ტექნიკაში, ნივთიერი მასალის ძირითად კამპონენტებში. მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა-ქართლური ვარიანტი, გამდიღრებული ამ კულტურის გავრცელების სამხრეთი რეგიონებიდან მოსული იმპულსებით, განვითარების ახალ საფეხურზე აღის, რაც აისახა ციხიაგორის B₂ ფენის მასალებში. ეს ეხება როგორც არქიტექტურას, რაც უკვე აღინიშნა, ასევე კერამიკას. თუ ქვაცხელების B₁ ფენში სამნაშილადი ფორმა ჭურჭლებისა ჯერ კიდევ არამკვეთრი მოყვანილობით ხასიათდება და ძირითადად მომცრო ზომის ჭურჭლებითაა წარმოდგენილი, ციხიაგორის B₃ და განსაკუთრებით B₂ ნასახლარი ფენების კერამიკაში საკმაოდ მკვეთრად გამოყოფილი სამნაშილადი ფორმა ჭურჭლებისა უკვე წამყვან ტიპს წარმოადგენს. აქ გვხვდება მომცრო ზომის ჭურჭლები (ტ. XVII₃; X L₁₀ და სხვა), რომლებიც ფორმითა და განსაკუთრებით ორნამენტის ხასიათით — გრავირებული სარტყელი და მასთან ერთად პლასტიკური, ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტი — სიახლოეს იჩენს არარატის ველის შენგავითის ტიპის ძეგლებთან, განსაკუთრებით ე. წ. კიროვკანის ჯგუფთან (ხანჩალიანი, 1976, გვ. 110, ტაბ. XI—XII) და ქვემო ქართლის ნამოსახლარებთან ყაითმაზი და „დანგრეული გორა“ (ლლონტი, 1975, გვ. 135—136), მაგრამ უმეტესობა კერამიკისა ტრადიციული შიდა-ქართლური ჭურჭლის ფორმების განვითარებას წარმოადგენს, შემცულს ასეთივე ტრადიციული გრავირებული, ძირითადად ნაკაშრი, ორნამენტით.

ქვაცხელების B დონის კერამიკის განხილვისას მკვლევრები აღნიშნავდნენ, რომ ჭურჭლის საერთო იერი, და განსაკუთრებით აბრისი, უკვე მოგვავნებს აღრებრინჯაოს ხანის, კერძოდ, თრიალეთის, ყორალანული სამარხების ჭურჭლებს. ამ შთაბეჭდილებას კიდევ მეტად აძლიერებს ჭურჭლის კორპუსზე ირგვლივ დაჭდეული გორმეტრიული სახეები, რომლებიც ძირითადად ერთი სქემით არის გაკეთებული — ყელისა და მუცლის შეერთების აღვილას შემოვლებული რამდენიმე კონცენტრული ხაზი და მის ქვეშ ტეხილხაზოვანი სახე. ორნამენტი საკმაოდ მკვეთრია და რიტმული, მაგრამ დამოუკიდებელი ელემენტებიც გააჩნია. ორნამენტაციის ამ თავისებურებებით B დონის ჭურ-

ჭელი განირჩევა ქვაცხელების C დონის ორნამენტირებული ჭურჭელებისგან და განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს B1 ფენის მასალებში (ჯავა-ხეშვილი, ღლონტი, 1962, გვ. 35). მტკვარ-არაქსის კულტურის გრძელი კულ ორნამენტის წამყვანი აღგილი უკავია აღრეული ყორლანების თანამენტაციაში, მათ შორის გარკვეული საერთო სტილი შეიძინება (გოგაძე, 1972, გვ. 22).

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ციხიაგორის B2 ფენის № 1 შენობაში აღმოჩენილი ხელადები და ტოლჩები. ამ ტიპის ჭურჭელი დამახასიათებელია აღრეული ყორლანული სამარტებისთვის. მაგალითად, ხელადა (ტ. XXVI), თავისი მოყვანილობით, ძალიან ახლოს დგას თრიალეთის XIII და XIX ყორლანებში აღმოჩენილ ხელადებთან (კუფტინი, 1941, გვ. 105, სურ. 112, 113). ოღონდ, ყორლანებში აღმოჩენილი ხელადები უფრო განვითარებული იერისაა, უფრო მკვეთრად გამოყოფილი სამარტილადი ტანით და რთული ორნამენტით. იგივე შეიძლება ითქვას იმ ტიპის ტოლჩებზე (ტაბ. XXXII₃), რომელიც ციხიაგორაზეა წარმოდგენილი და ტიპოლოგიურად ახლოს დგას თრიალეთის აღრეული ყორლანებისთვის დამახასიათებელ ტოლჩებთან, ისეთებთან, როგორიც XXIV ყორლანშია აღმოჩენილი (კუფტინი, 1941, გვ. 105, სურ. 114).

თრიალეთის აღრეულ ყორლანებში გამოყოფენ ერთ ჯგუფს, რომელიც თავისი კერამიკის ფორმებითა და ორნამენტაციით სიახლოვეს იჩენს მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან — ყორლანები IV, XIII, XIX, XXIV (ჯავახიშვილი, 1973, გვ. 264, გოგაძე, 1972). ჩვენი აზრით, სწორედ ციხიაგორის B2 ფენის დროინდელი კერამიკული ფორმები წარმოადგენენ ამ ყორლანული კერამიკის შესატყვევისს.

როგორც მასალის აღწერის დროს აღვნიშნავდით, იმავე B2 ფენის № 1 შენობაში გამოიჩინება ორი ხელადა (ტაბ. XXVIII₂, 3), რომელიც ფორმით და ზედაპირის დამუშავების ხარისხით განსხვავდება დანარჩენი მტკვარარაქსული ნაწარმისაგან. ამ ტიპის ხელადებს შეიძლება დავუკავშიროთ საჩერის ყორლანების ნაჩერქეზევის 1955 წელს გათხრილი № 2 სამარხის ხელადა (ჯაფარიძე, 1961, ტაბ. XIV₆), რომელიც უუაღადანებულ ცულთან და ყუნწიან სატევართან ერთად არის წარმოდგენილი. ო. ჯაფარიძე ამ სამარხს აღრეულ ჯგუფს მიაკუთვნებს, მაგრამ უფრო მეტ სიახლოვეს ეს ხელადები მარტყოფის № 1 ყორლანში აღმოჩენილ ჭურჭელთან პოულობენ (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1980, ტაბ. IX₁; ჯაფარიძე, 1991, გვ. 138, სურ. 42). მათ საკმაოდ ჩამოყალიბებული ფორმები ახასიათებთ; კეცით და

ზედაპირის დამუშავებით ისინი მარტყოფის აღრეული ყორლაწების კერამიკასთან მეტ საერთო ნიშნებს პოულობენ, ვიდრე მათთან ერთად ოლმოჩენილ დანარჩენ კერამიკასთან; როგორც ჩანს, ციხიაგლირის მტკვარარაქშული ნასახლარის B₂ ფენის არსებობის საფაში, უკიდან ერთად თანაარსებობს ყორლანული კულტურის მარტყოფული ფრანგის ძეგლები.

ციხიაგლირის ნამოსახლარის B₁ ფენის კერამიკაში, თუმცა ძირითადი ფორმები ჭურჭლისა და ორნამენტაციის ხასიათი არ იცვლება, მაინც შეინიშნება მთელი რიგი განსხვავებული ნიშნებისა, რომელიც არ გვხვდება ქვედა, B₂ და B₃ ფენებში. ორნამენტაციაში ჭარბობს ჭრილხაზოვანი და გრავირებული ორნამენტი. გვხვდება გრავირებული, ნაკლევი, ხაზოვან-წერტილოვანი ორნამენტით შესრულებული ფრიზი ჭურჭლის ყელზე (ტაბ. XLVII₁), რომელიც ძალიან გავს ბაბადერვიშზე ცნობილ ორნამენტს (კუშნარიოვა, ჩუბინიშვილი, 1970, სურ. 44, 126). აქვე ჩნდება გრავირებული, ნაკაჭრი იორნამენტით შესრულებული სარტყელი ჭურჭლის ყელზე, მასზე დატანილი დაშტრიხებული ზომის, დაბალი, პროფილირებული ჯამები (ტაბ. XLIV₁₂; L₅, 8). ამ ტიპის ჭურჭელი მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების უფრო სამხრეთი რეგიონებისათვის, აღმოსავლეთ ანატოლიის ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი (ბარნეი, 1958, გვ. 189, 197), რომლებსაც ჩ. ბარნეი აღრებრინჯაოს II პერიოდს აკუთვნებს.

ჩალარულ-ამობურცული ორნამენტი გვხვდება არა მარტო მომცრო ზომის ჭურჭელზე (ტ. XLVII₃), არამედ ღიღი ზომის ღერგებზეც (ტ. XLIII₆). მსგავსი ორნამენტი გვხვდება აღმოსავლეთ ანატოლიაში, ივდირის ველის ნამოსახლარ იაიცში (ბარნეი, 1958, გვ. 191); აგრეთვე დერგები, ზოგჯერ რთული რელიეფური სახეებით, ცნობილია ქარაზიდან (კოშაი, ტურფან, 1959, გვ. 412—413). ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი ღიღი ზომის უორნამენტო ღერგები, მსგავსი B₁ ფენაში წარმოდგენილი ცალებისა (ტ. XLIII_{1, 2, 3}).

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კერამიკის მცირერიცხვანი ჯუფუფი, აღმოჩენილი B₁ ფენაში, რომელიც არ არის დამახასიათებელი მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკისთვის და ქვედა ფენებში არ გვხვდება. ეს არის ქილისებური ფორმის ჭურჭელი (ტ. XLIV_{15, 16}; XLV_{4, 5}), რომელსაც გაუპრიალებელი, ხაოიანი ზედაპირი აქვს, ზოგ შემთხვევაში, სავარცხლისკვალისებური, უსისტემოდ დაღარულზო-

ლებიანი ზედაპირით (ტ. XLVII₁₇). ასეთი კერამიკა ბერკულდების ნა-
მოსახლარის ბედენური ფენისთვისაა დამახასიათებელი (ოლონტი,
ნემსაძე, ჯავახიშვილი, 1986, გვ. 39—40, სურ. 2) და ბულტული კულ-
ტურის მარტყოფის № 3 ყორლანის ძირითად სამარხის დალიქისადა
(ჯაფარიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1986, გვ. 34, სურ. 5). ბედენურ
კულტურას უნდა ეკუთვნონდეს, აგრეთვე, ამ ფენაში აღმოჩენილი
თხელკედლიანი, შავპრიალა ტოლჩის ფრაგმენტი (ტ. XLVII₇) და მო-
ცრო ზომის ჭურჭლის ცილინდრული ყელის ფრაგმენტი (ტ. XLIV₁₀),
რომელიც ზედაპირის გაპრიალების განსაკუთრებულად მაღალი დონით
გამოიჩინა.

როვორც ჩანს, ციხიაგორის B₁ ნასახლარი ფენის არსებობის ხანა-
ში, მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლის ვარიანტის განვითარე-
ბის სტაბილური ხასიათი ირღვევა, რაც გამოიხატა მშენებლობის ტრა-
დიციის შეცვლით და მატერიალურ კულტურაში ახალი ნიშნების გამო-
ჩენით. თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა, B₂ ფენა, ძლიერი ხანძრით
არის განადგურებული, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ეს ცვლილებები
მშვიდობიანი გზით არ უნდა მომხდარიყო; მაგრამ ისე ჩანს, რომ ეს
ცვლილებები უფრო მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელ ტომთა
შიგნით მიმდინარე პროცესებმა განაპირობა, შესაძლოა, მათმა გადაად-
გილებამ აღმოსავლეთ ანატოლიის ტერიტორიიდან ჩრდილოეთით, ში-
და ქართლის რეგიონამდე. ხოლო ციხიაგორის B₁ ფენაში ისეთი კერა-
მიკის გამოჩენა, რომელიც ბედენურ კულტურას ახასიათებს, მეტყვე-
ლებს იმაზე, რომ ამ ფენის არსებობის ხანაში, შიდა ქართლში გამო-
ჩენას იწყებს ბედენური კულტურა და კონტაქტში შედის მტკვარ-
არაქსის კულტურასთან.

ციხიაგორის B₁ ფენის ნასახლარს გაგრძელება არ ჰქონია, იგი
მოსახლეობას მიუტოვებია. ცხოვრება ბორცვზე წყდება, რის შედეგა-
დაც შეიქმნა 3—4 სმ სისქის სტერილური ფენა. ეს წყვეტილი ერთ
სუკუნეზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელებულიყო, რომლის შემდეგ
ციხიაგორის ბორცვი კვლავ დასახლებული ჩანს მტკვარ-არაქსული კულ-
ტურის მატარებელი ტომებით და იქმნება ნასახლარის A დონე, ორი
ნასახლარი ფენითა და სარიტუალო ორმოებით.

ციხიაგორის A დონის მასალები საგრძნობლად განსხვავდება ქვე-
და, B დონის მასალებისაგან. პირველ რიგში ეს ეხება კერამიკის სა-
ერთო იერს. A დონის ტიპიური მტკვარარაქსული კერამიკა, რომელიც
იმ დონეში მოპოვებული ჭურჭლის საერთო რაოდენობის 60—70%-ს
შეადგენს, ზედაპირის გაპრიალების გაცილებით უფრო დაბალი დო-

ნით ხასიათდება, ვიდრე B დონის კერამიკა, ძირითადად, განსაუთ-რებით A₁ ფენაში — შავად არის გამომწვარი ვარდისფერ-სარჩეული უორნამენტით და ზოგჯერ მასიური, ნახევარსფერული ყუშრებით (ტ. LV₇) და ხშირად უფრო არქაულ შთაბეჭდილებას ტოკებს; ვიღრე ამაზე მისი სტრატიგრაფიული მონაცემები და თანმხლები მასალა მე-ტყველებს.

მიუხედავად იმისა, რომ შეიმჩნევა გარკვეული განსხვავება A₂ (ტ. LIII—LIV) და A₁ (ტ. LV—LX) ფენების მასალებს შორის, ძირითადი ნიშნებით შესაძლებელია მათი ერთად განხილვა.

ორმოები, ორმლებიც A დონეს მიეკუთვნებიან, ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფში ერთიანდებიან ორმოები №№ 19, 18, 68, 4 (ტ. LXVIII_{3, 4, 5, 6}) და №№ 15, 11 (ტ. LXIX_{2, 3}). მათ აერთიანებთ: ცილინდრული მოყვანილობა, შევსების ერთგვაროვნება, სტრატიგრა-ფიული მდგომარეობა. დაფიქსირდა, რომ ამ ჯგუფის ორმოებს ჩა-ჭრილი აქვთ A₁ ფენა, ე. ი. პირველი ჯგუფის ორმოები ციხიაგორის აღრებრინჯაოს ხანის ფენის ცველაზე გვიანდელ სტრატიგრაფიულ შრეს წარმოადგენენ. მეორე ჯგუფის ორმოებს ახასიათებთ ზარისებუ-რი მოყვანილობა, მასალის სიუხვე და ისინი უშუალოდ A დონიდან არიან ჩაჭრილები. მათი ფენებთან დაკავშირება ჭირს, მაგრამ შესაძლებლად მიგვაჩნია ორმოები №№ 81, 77, 78 (ტ. LXI—LXII; LXIII; LXIV—LXVII) A₂ ფენას მივაკუთვნოთ, ხოლო ორმოები № 79, 69, 5 (ტ. LXVIII_{1, 2}; LXIX₁), — A₁ ფენას.

A დონის კერამიკაში, როგორც აღვნიშნავდით, ძირითადად უორნამენტო კერამიკა წარმოდგენილი. ორნამენტი მეტწილად მომცრო ზომის ჭურჭელზე გვხვდება, ჩალარულ-ამობურცული ორნამენტი მხო-ლოდ ერთ შემთხვევაშია წარმოდგენილი ჭურჭლის ფრაგმენტზე № 77 სარიტუალო ორმოდან (ტ. LIII₄), გრავირებულ ორნამენტთან ერთად; მეორე შემთხვევაში გვხვდება ტიპიური მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელი ეტაპის კერამიკისათვის დამახასიათებელი ორნამენტული სახე (ტაბ. XVII₁), შესრულებულია ტლანქი, უხეში ღარებით, რაც არ არის დამახასიათებელი ამ კულტურის კერამიკის ტრადიციებისთვის. დანარჩენ ფრაგმენტებზეა ან მკვეთრი ჭრილხაზოვანი ორნამენტი გრა-ვირებულთან ერთად (ტ. LIII₁; LV₂; LIX₁; LX_{9, 10}; LXI₂; LXVI₂), ან ფაქიზი გრავირებული ორნამენტით შესრულებული სახეები (ტ. LIV_{2, 3}; LVII_{2, 6}; LX₁; LXII₈; LXVI₂). ორნამენტის სახეები, წარ-მოდგენილი ამ ჭურჭელზე, ტიპიურია თრიალეთის აღრეული ყორლა-

ნების კერამიკისთვის, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდე-
ლი ეტაპის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ციხიაგორის A დონის კერამიკაში ყურადღებას იპყრობს ჭურჭე-
ლის ის ჯგუფი, რომელთა ტანი საგანგებოდ შელესილია. ონერერი თო-
ხით (ტ. LIV₄, 6, 8; LVII₇; LXI₃, 4; LXV₂, 3, 5; LXIX₁). ჭურჭლის
ფორმისა და ზომის მიუხედავად, მათ მოგლუვებული ყელი და ხაონანი-
(თხიერი თიხით შელესვის შედეგად) ტანი აქვთ. ორნამენტი მხარზე,
პირის პარალელურად, ჰორიზონტალურად აქვს მიძერწილი. ესაა უმ-
თავრესად რელიეფური ჩანაჭდევებიანი ზოლი ან შვერილი. მსგავსი
ორნამენტი გლუვზედპირიან ჭურჭელზეც არის წარმოდგენილი
(ტ. LXII₁, 2, 5; LXV₆). საინტერესოა ერთი შავპრიალა ჭურჭლის ფრაგ-
მენტი A₁ ფენიდან, რომელზეც ერთად გვხვდება ორიალეთის აღრეუ-
ლი ყორლანებისთვის დამახასიათებელი გრავირებული ორნამენტული
სახე და რელიეფური ჰორიზონტალური შვერილი ზაჭდევებით
(ტ. LVII₆).

რელიეფური, ჩანაჭდევებიანი ზოლით ან შვერილით ორნამენტირება
არ არის დამახასიათებელი მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლებისთვის
და თავს იჩენს ამ კულტურის გვიანდელ ეტაპზე. კახეთში ილტოს ნა-
სახლარის ქვედა ფენების კერამიკული ნაწილი შემკულია
ჭურჭლის მხარზე შემოყოლებული რელიეფური, დაკეჭნილი სარტყე-
ლით (დედაბრიშვილი, 1969, გვ. 50, სურ. 10. 11). მსგავსი ორნამენ-
ტით შემკული ჭურჭელი სამცხე-გავახეთში, ზევლის „რაბათზე“ და
ლოდობანაზეა აღმოჩენილი (ორგონიკიძე, 1983, ტ. 30, 5; 31, 8—9).
ქილის ფორმის ჭურჭელი, რელიეფური დაკეჭნილი ზოლებით, ცნობი-
ლია ბედენის ძეგლებზეც (გოგაძე, 1972, გვ. 91). ასეთივე კერამიკა
აღმოჩნდა ხაშურის ნაცარგორაზე, ფენაში, რომელიც მტკვარ-არაქსულ
და ბედენურ კერამიკას შეიცავს (ორგონიკიძე, 1992, ტ. I₁₇, II₃).

გარკვეული მსგავსების დანახვა შეიძლება დასავლეთ საქართველოს
აღრებრინჯაოს ხანის ზოგიერთი ძეგლის მასალებშიაც. ოჩამჩირის,
დაბლაგორმის, არგვეთისა და სხვა ნასახლარების ზედა ფენის კერამიკა
შეიცავს ქილის ფორმის ჭურჭლებს, ლენტური ტიპის ყურებითა და
მსგავსი ორნამენტით. ამ კერამიკის შემცველი ფენა აღრებრინჯაოს
ხანის მოვარდის საფეხურსაა მიკუთვნებული (ფხავაძე, 1989).

ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ ჩვენს მასალებთან განსაკუთრე-
ბით ახლოს დაღესტანში აღმოჩენილი ზოგიერთი ძეგლის კერამიკა
დგას. ისიც ხელით ნაძერწია, თხიერი თიხით შელესილი, კორპუსის ზე
და ნაწილზე ყურებით ან შვერილებით (კოტოვიჩი, 1961, გვ. 20). მხარ-

ზე, პირის პარალელურად, ერთ რიგად გასდევს ფრჩხილისებრი ან მრგვალი ჩანაჭდევები. ხშირად, ამავე ადგილის, დაკეჭნილი რელიეფზე-რი ზოლი შემოუყვება. მსგავსი კერამიკა გონების უძვიროსი ტე-ზემო გუნიბის ნასახლარისთვისაცა დამახასიათებული, — სადაც კულტურული მტკვარარაქსული ელფერის მომცრო ზომის ჭურჭლებთან ერთადაა წარმოდგენილი (კოტოვიჩი, 1965, გვ. 150).

ანალიზით, ოღონდ რამდენადმე განვითარებული სახის ჭურჭელი გინჩის სამაროვანზეცა ნანახი. აქაც გვხვდება ჭურჭელი ჭდეული და რელიეფურჩანაჭდევებიანი ზოლებით მხარზე. ზოგ მათგანს „მუხლისებრი“ ყური გააჩნია. ორნამენტი, ოღონიშნულის გარდა, შეიცავს კოპებსა და ნალისებრ დანაძერწებს (გაჭიევი, 1969, ტ. 4, 15). ამის პარალელურად არის მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამახასიათებელი კერამიკა.

განსაკუთრებით ახლო პარალელებს პოულობს ციხიაგორის A დონის ამ ჯგუფის კერამიკა დაღესტანშივე — ველიკენტის და კაიაკენტის მასალებში (მუნჩაევი, 1961, გვ. 93—97). ამ ნამოსახლარების ზედა ფენაში, მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკასთან ერთად, რომელიც მასალის უმრავლესობას შეადგენს, აღმოჩნდა თხიერი თიხით ზედაპირ-შელესილი კერამიკა, რომელსაც მოგლუვებული ყელი და მხარზე რელიეფური ორნამენტი აქვს, ჩანაჭდევებიანი, ან დაკეჭნილი ზოლი, ან შვერილი. მსგავსი ორნამენტი ქილისებრი ტიპის ჭურჭლისთვისაა დამახასიათებელი. ასეთივე ჭურჭლები აღმოჩნდა ველიკენტის ნასახლარზე გათხრილ კერამიკის გამოსაწვავ ქურაში (კოტოვიჩი, 1959, გვ. 127—129; ტ. III 1-3; IV 1-3, 6).

აღნიშნული კერამიკის ამიერკავკასიაში და მის სამხრეთით მდებარე ლენქებში არ არსებობის გამო, იგი ადგილობრივად, დაღესტანშივე ჩამოყალიბებულადაა მიჩნეული მ. გაჭიევის მიერ. უფრო ადრე, ველიკენტის ნამოსახლარის სტრატიგრაფიაზე დაყრდნობით, რ. მუნჩაევის მიერ გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ქილისებრი ფორმის ჭურჭლები, დამახასიათებელი რელიეფურჩანაჭდევებიანი ორნამენტით, მტკვარ-არაქსის კულტურის გვიანდელ ეტაპზე იჩენს თავს დაღესტანში და ევროპის კულტურებიდან მოსულ იმპულსებს უკავშირებდა (მუნჩაევი, 1961, გვ. 97). შემდგომში მან აღნიშნული კერამიკა ადგილობრივი, მტკვარ-არაქსამდე არსებული ტრადიციების, გაგრძელებად მიიჩნია და მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ლიკალური ვარიანტის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად ჩათვალი (მუნჩაევი, 1975, გვ. 189).

მართლაც, დღემდე ამიერკავკასიაში, თხიერი თიხით შელესილზე დაბირიანი კერამიკა არ იყო ცნობილი, თუმცა ქილისებრი ფორმის და რელიეფურჩანაჭდევებიანი ზოლებით ორნამენტირება, როგორც წევნი ზევით აღვნიშნეო, გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის და კულტურული უტაპის ძეგლებზე. შიდა ქართლში, ციხიაგორის ნამოსახლარის A დონეში მსგავსი კერამიკის გამოჩენას ორი ახსნა შეიძლება ჰქონდეს: ან მტკვარ-არაქსის კულტურის ჩრდილოაღმოსავლური ვარიანტის შემოლწევა შიდა ქართლის რეგიონში, რაც ნაკლებად სავრაუდოა, ან, როგორც გვესახება, საქმე გვაქვს მტკვარ-არაქსის კულტურის ფინალური უტაპის საერთო მოვლენასთან, — უცხო ტალღის შემოლწევა არა მარტო ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, არამედ ამიერკავკასიაშიც, მაგრამ ამიერკავკასიაში მან ვერ პოვა გავრცელება, იმ დროს, როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ფართოდ გავრცელდა, დამკვიდრდა და განვითარდა კიდეც შემდგომ, შუაბრინგაოს ხანაში (გაზიერი, 1987, გვ. 62—73, ტ. XXII—XXIII, XXIV—XXV). ამიტომ ციხიაგორის A დონეში მსგავსი კერამიკის აღმოჩენას მნიშვნელობა აქვს ამ დონის ეტაპობრივი განსაზღვრისთვის, იგი უკავშირდება ველიკენტის და მისი წრის ძეგლების ზედა ფენას. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ველიკენტის კატაკლმბებში, აღნიშნულ კერამიკასთან ერთად, გვხვდება ტიპიური შავპრიალა ბედენური კერამიკა, რომელიც იმპორტად არის მიჩნეული (გაზიერი, კორენევსკი, 1984, გვ. 7—9, სურ. 1).

ციხიაგორის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს უხეშედაპირიანი კერამიკა სწორედ ბეღენის კულტურის წრეს უნდა მიეკუთვნებოდეს.

რაც შეეხება უხეშედაპირიანი ჭურჭლის მეორე ჯგუფს — სავარცხლისკვალისებურ უსისტემოდ დაღარულზოლებიან ჭურჭლელს — მისი მიკუთვნება ბეღენის კულტურისადმი ეჭვს არ უნდა იწვევდეს. როგორც უკვე აღვნიშნავდით, მსგავსი კერამიკა დამახასიათებელია ბერიკლდების ნამოსახლარის ბედენური ფენისთვის (ლლონტი, ნემსაძე, ჭავახიშვილი, 1986, გვ. 39—40, სურ. 2) და ბედენური კულტურის ყორლანებშიც გვხვდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის ქვემო ქართლში გათხრილი ყორლანების მონაცემები. № 5 ყორლანში, ერთ კომპლექსში აღმოჩნდა თრიალეთის აღრეული ყორლანებისთვის დამახასიათებელი კერამიკა და ბედენური ჭურჭლები (ჭავარიძე, 1975, სურ. 61, ტ. XXXVIII); ხოლო № 9 ყორლანში მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა ერთ კომპლექსშია წარმოდგენილი, ბე-

დენურ ჭურჭელთან და ლითონის იარაღებთან, აქვეა დაღარულზოდებიანი კერამიკის ფრაგმენტები (ჯაფარიძე, 1975, სურ. 63, ტ. XLIV-XLV). აქაც ციხიაგორის A დონის მსგავსი სურათია.

ციხიაგორის A დონეში სავარცხლისკვალისებური დაორინალი ბიანი ზედაპირით კერამიკა გვხვდება როგორც ფენაში (ტ. LXIX₇), ისე მეორე ჭუფის ორმოებში (ტ. LXII₆), ხოლო პირველი ჭუფის ორმოების ძირითად მასალას წარმოადგენს (ტ. LXVIII_{1, 2, 3, 4, 5, 6}; LXIX_{2, 3}). ამ ორმოებში, აღნიშნულ კერამიკასთან ერთად, აღმოჩნდა ტიპური ბედენური შავპრიალა, მომცრო ზომის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტ. LXVIII₃; LXIX₃).

როგორც ჩანს, A დონის მასალებში აისახა მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურების თანარსებობის პერიოდი, ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ პირველი ჭუფის ორმოები ციხიაგორის აღრებრინჯაოს ხანის ყველაზე გვიანდელ სტრატიგრაფიულ შრეს წარმოადგენებ, შეიძლება დავასკვნათ, რომ A₁ ფენით მთავრდება მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარება აღნიშნულ ძეგლზე და აღბათ, შიდა ქართლის რეგიონში, ხოლო ბედენური კულტურა აგრძელებს თავის არსებობას.

* * *

ციხიაგორის აღრებრინჯაოს ხანის ფენის დათარიღებისთვის მხედველობაშია მისალები როგორც მტკვარ-არაქსის კულტურის, ასევე აღრეული ყორლანების ქრონოლოგია, რომლებიც ძირითადად ცალკალკი განიხილებოდა.

მტკვარ-არაქსის კულტურის ქრონოლოგიის საკითხებს შეეხო თორქმის ყველა მკვლევარი, ვინც ამ კულტურის შესწავლაზე მუშაობდა და მას ძირითადად ძვ. წ. III ათასწლეულის ფარგლებში ათავსებენ (კუშნარიოვა, ჩუბინიშვილი, 1970, გვ. 178—179)*. მოუხდავად იმისა, რომ ბევრი მცდელობა იყო საერთო ქრონოლოგიური სქემის შექმნისა, არც ერთი მათგანი დღეისთვის საყოველთაოდ მიღებული არ არის. ეს, აღბათ, იმით აიხსნება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული და სხვადასხვა რეგიონები არათანაბრად არის შესწავლილი. ამას ემატება ისიც, რომ მრავალფენიანი, სტრატიფიცირებული ძეგლები ნაკლებად არის შესწავლილი ამიერკავკასიში,

* იქვეა მოცემული ნუსხა იმ. ნაშრომებისა, რომლებიც მტკვარ-არაქსის კულტურის ქრონოლოგიის საკითხებს ეხება.

არადა სწორედ სტრატიგრაფიულმა მონაცემებმა უნდა მოგვცეს მყირი საფუძველი ქრონოლოგიური სქემისთვის.

ქართულ არქეოლოგიაში დამკვიდრდა ქრონოლოგიური სქემა, რომლის მიხედვით მტკვარ-არაქსის კულტურა ძვ. წ. IV ათასის წლების II ნახევრით და III ათასწ. I ნახევრით თარიღდება და ზღვის უდა თარიღი ძვ. წ. XXIV საუკუნეა (ჯავახიშვილი, ღლონტი, 1962, გვ. 58—59; ჯაფარიძე, 1961, გვ. 120; 1964, გვ. 7; ღლონტი, ჯავახიშვილი, კოკიძე, თუშაბრამიშვილი, 1968, გვ. 11).

რაც შეეხება C₁₄ დათარიღდებას, ამ პერიოდის ამიერკავკასიის ძეგლებიდან დღეისათვის საქმაოდ მცირერიცხოვანი მონაცემები არ სებობს, არადა, როგორც ცნობილია, C₁₄ დათარიღდება სარწმუნოა მხოლოდ თარიღების დიდი სერიების არსებობისას და მათზე დაყრდნობა ჯერჯერობით დამაჯერებლობას მოკლებულია. ციხიაგორის B₂ ფენისთვის გავაჩნია C₁₄ თარიღი — ძვ. წ. 2900±110 წელი (TB-831), რომელიც, ჩენი აზრით, არ შეეფერება ამ ფენის სტრატიგრაფიულ მონაცემებს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი შედარებით გვიანდელია ქვაცხელების C₁ ფენაზე, ხოლო მისი თარიღია C₁₄ — ძვ. წ. 2800±90 (ჯავახიშვილი, 1973, გვ. 259). ქვაცხელების C₁ ფენისთვისაც ეს თარიღი მეტად აღრეულად მიგვაჩნია. ტექნიკური მეთოდებით დათარიღდება, ალბათ, მომავლის საქმეა, როდესაც სათანადო რაოდენობის მონაცემები დაგროვდება და დათარიღდების მეთოდები დაზუსტდება. მეტად ჟანიტერესო C₁₄ თარიღების კალიბრების მეშვეობით მტკვარ-არაქსის კულტურის დაცველების ცდა (ქავთარაძე, 1983), მაგრამ იგი, ხშირ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება არქეოლოგიურ მონაცემებს. ამიტომ ჩვენ ტრადიციული მეთოდებით დათარიღებას უფრო სანდოდ მივიჩნევთ — სტრატიგრაფიული მონაცემები, მასალის ტიპოლოგიური ანალიზი და სხვა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ყორლანული კულტურის დათარიღება. ჯერ კიდევ ბ. კუფტინმა თრიალეთის ყორლანების აღრეული ჯგუფისა და საჩხერის მასალების ანალიზის საფუძველზე დათარიღდა ისინი ძვ. წ. XXIV—XXII საუკუნეებით (კუფტინი, 1948 ა, გვ. 75). მ. ჯაფარიძემ საჩხერის სამარხებში აღმოჩენილი კარგად დამათარიღდებელი ლითონის ინვენტარის საფუძველზე გამოყო აღრეული და გვიანდელი ჯგუფები, რომლებიც ძვ. წ. 2400—2200 და 2200—1900 წლებით დათარიღდა (ჯაფარიძე, 1961, გვ. 194—195) და ამით აღრეული ყორლანების თარიღის დაზუსტება მოახდინა. ე. გოგაძემ, თრიალეთის ყორლანული კულტურისადმი მიძღვნილ თავის კაპიტალურ ნაშრომში, აღ-

რეული ყორლანების თარიღი ძვ. წ. 2300—2000 წლებით განსაზღვრა (გოგაძე, 1972, გვ. 38). ა. ჯავახიშვილმა თრიალეთის ადრეულ ყორლანებში ორი ჯგუფი გამოყო. პირველი ჯგუფი — ყორლანები I, IV, XII, XIII, XIX, XXIV, მან ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაბეთი კულტურის გვიანდელ სტადიას მიაკუთვნა და მათი ზედა თარიღი ძვ. წ. XXIV საუკუნით განსაზღვრა. მეორე ჯგუფი — ყორლანები XI, XXV, XLVI (ბედენური კულტურის — ზ. მ.) — ცალკე გამოყო და შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის ყორლანული კულტურის ადრეულ სტადიას მიაკუთვნა. მან ეს ჯგუფი და მასთან დაკავშირებული ძეგლები ცალკე კულტურად მიიჩნია, გარდამავალი ეტაპი უწოდა და ქრონოლოგიურად, მოათავსა მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურებს შორის — ძვ. წ. XXIII—XII საუკუნეებში (ჯავახიშვილი, 1973, გვ. 264—268). გ. გობეგიშვილმა ბედენის ყორლანები ზოგადად ძვ. წ. III ათასწ. II ნახ. და II ათასწ. დასაწყისით დაათარიღა (გობეგიშვილი, 1981, გვ. 133). მარტყოფის ყორლანებისთვის მიღებულია თარიღი ძვ. წ. XXIV—XXIII საუკუნეები (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, წერეთელი, 1980, გვ. 40). შ. დედაბრიშვილმა ილტოს ნასახლარის ქვედა სამი ფენა ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის ბოლო ეტაპს და შუაბრინჯაოს ხანის პირველ ქრონოლოგიურ ეტაპს მიაკუთვნა. დათარიღდა ძვ. წ. III—II ათასწ. მიზნით (დედაბრიშვილი, 1969, გვ. 63).

დღეისთვის, ადრეულ ყორლანებში ორ ჯგუფს გამოყოფენ: „მარტყოფულს“, რომელშიც შედის მარტყოფის, თრიალეთისა და სამგორის ყორლანები — თარიღდება ძვ. წ. III ათასწ. II ნახევრის შუახანებით; და „ბედენურს“ — თარიღდება ძვ. წ. III ათასწ. ბოლოთი და II ათასწ. დასაწყისით (ჯაფარიძე, 1989, გვ. 39; ჯაფარიძე, 1991, გვ. 153).

როგორც ვხედავთ, მტკვარ-არაქსის კულტურას და ადრეულ ყორლანებს, ბ. კუფტინიდან მოყოლებული, განხილავენ როგორც ერთმანეთის მომდევნო ეტაპებს; თანაც ყორლანებში, ბედენურ ჯგუფს უფრო მოვციანოდ მიიჩნევთ (ჯავახიშვილი, 1973, გვ. 265—268; გოგაძე, 1972; ჯაფარიძე, 1975; 1988, 89; 1991). ეტაპობრივად განვითარების ეს სქემა მისაღებია, მაგრამ ურთიერთმიმართება მტკვარ-არაქსის ძეგლებისა ყორლანულ ძეგლებთან და თვით ადრეულ ყორლანებს შორის, უფრო რთულ სურათს გვიჩვენებს.

მკვლევართა ნაწილმა სცადა, საკმაოდ საფუძვლიანად, დაეკავშირებინა ადრეული ყორლანები მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარების გვიანდელი ეტაპის საამშენებლო დონეებთან (კუშნარიოვა, ჩუ-62

გინიშვილი, 1970, გვ. 62; დედაბრიშვილი, 1969, გვ. 95; ორჯონივიძე, 1983, გვ. 108—109). მაგრამ განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი დარღვევაში არ მოიხსენის, ახალი სტრატიფიცირებული ნამოსახლარების შემთხვევაში მცვლის შედეგად. ხაშურის „ნაცარგორაზე“ დადასტურდა ფაქტი მტკვარ-არაქსისა და ბედენური კერამიკის თანაარსებობისა (რამიშვილი, 1987; ორჯონივიძე, 1992), ხოლო ქარელის რაიონში, ნამოსახლარ „ბერიყლდებზე“, აღმოჩნდა ბედენური ფენა, რომელიც უშუალოდ აღვეს მტკვარ-არაქსის ადრეული პერიოდის (ხიზანაანთ გორა E) ფენას (ლლონტი, ჭავახიშვილი, 1987).

ყველაზე თვალსაჩინოდ, ჩვენი აზრით, მტკვარარაქსული კულტურის განვითარების გვიანდელი პერიოდი შიდა ქართლში აისახა ციხია-გორის აღრებრინჯაოს ხანის მასალებში. მისი ხეთივე ნასახლარი ფენა, როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა, უფრო გვიანდელია, ვიდრე ქვაცხელების B₁ ფენა, რომელიც აქამდე შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის ყველაზე გვიანდელ ფენად იყო მიჩნეული, და ითვლებოდა, რომ ეს კულტურა ქვაცხელების B₁ ფენის შემდეგ წყვეტილავის არსებობას. ტრადიციული ქრონოლოგით, ქვაცხელების B₁ დონე ძვ. წ. III ათასწ. შუა ხანებს მიეკუთვნება და მისი ზედა ზღვარი XIX საუკუნეს არ სცდება (ჭავახიშვილი, ლლონტი, 1962, გვ. 59). ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია ციხიაგორის B₁ დონე დავათარილოთ ძვ. წ. XXIII—XXII საუკუნეებით, ხოლო A დონე — XXI საუკუნით.

„ ეს კულტურა 68. *

* * *

სამართლიანად ითვლება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა შიდა ქართლში კარგად არის შესწავლილი. მისი განვითარების ქრონოლოგიური შეალა, რომელიც ისეთი ეტალონური ძეგლების სტრატიგრაფიის ეყრდნობა, როგორიცაა ქვაცხელები (ჭავახიშვილი, ლლონტი, 1962) და ხიზანაანთ გორა (კიკვიძე, 1972), მტკვარ-არაქსის კულტურის თითქმის ყველა ეტაპს მოიცავს და საყოველთაოდ მიღებულია. ციხიაგორის ნამოსახლარისა და სხვა ახლადშესწავლილი ძეგლების მონაცემები ერთვარად ავსებენ ამ შეალას და ზოგიერთი კორექტივი შეაქვთ ქრონოლოგიაში. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ძველი და ახალი სტრატიგრაფიული მონაცემების საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ შიდა ქართლის განვითარების კულტურულ-ქრონოლოგიური სურათი ენეოლითიდან მოყოლებული შუაბრინჯაოს ხანამდე.

უშუალოდ მტკვარ-არაქსის კულტურის წინარე ენეოლითური ფენა ბერიკლდების ქვედა ფენაა (ლონტი, ჭავახიშვილი, 1987). რომელიც თარიღდება ძვ. წ. IV ათასწ. I ნახევრით (ლონტი, ჭავახიშვილი, 1987, გვ. 86), ან IV ათასწ. შუა ხანებით და I ძალური (მარტივი, 1994). უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფენას მტკვარ-არაქსის კულტურასთან გენეტიკური კავშირი არ უჩანს.

მტკვარ-არაქსის კულტურა:

I ეტაპი — ენეოლითი — ხიზანანთ გორის E დონე — ბერიკლდების მტკვარ-არაქსული ფენა — ძვ. წ. IV ათასწ. დასასრული.

II ეტაპი — ადრებრინჯაოს ხანა — ხიზანანთ გორის D, C, B დონეები, ქვაცხელების C დონე — ძვ. წ. III ათასწ. I ნახევარი.

III ეტაპი — ქვაცხელების B დონე — ციხიაგორის B₃, B₂ ფენები — ძვ. წ. XXIV—XXIII საუკუნეები.

IV ეტაპი — ანუ ბედენის I ეტაპი — ციხიაგორის B₁ ფენა — A დონე — ძვ. წ. XXII—XXI საუკუნეები.

ბედენის II ეტაპი — ბერიკლდების ბედენური ფენა — ძვ. წ. XXI—XX საუკუნეები.

* * *

ციხიაგორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარზე წარმოდგენილია შიდა ქართლში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების III და IV ეტაპები.

III ეტაპისთვის დამახასიათებელია წინარე ეტაპის სამშენებლო ტრადიციების გაგრძელება, ნასახლარების დაგეგმვარებისა და შენობების ტიპების იგივეობა, რაც ამ ეტაპის ბოლოსთვის განვითარებას პოვებს ციხიაგორის B₂ ფენის შენობების სახით. შეიძლება ითქვას, რომ III პერიოდის დასასრულისთვის ტრადიციული შიდაქართლური არქიტექტურა თავისი განვითარების მწვერვალს აღწევს.

III ეტაპის ქვაცხელების B დონის ფენები და ციხიაგორის B₃, B₂ ფენები, ისევე როგორც წინა ეტაპის ნასახლარი ფენები, წარმოადგენენ დამჭდარი მიწათმოქმედი მოსახლეობის ტიპიურ ნაოფლარს. სამეურნეო იარაღებიდან მათ სამშენებლო ფენებში მოპოვებულ ძირითად მასალას შეადგენს სამიწათმოქმედო იარაღი — კაუის ნაგლის ჩასართები, ხელსაფქვავები, მარცვლეულის შესანახი ჭურჭელი და თვით მარცვლეულის ნიმუშები. მეურნეობის ამ დარგის დაწინაურების დონეზე ყველაზე უკეთ უნდა მეტყველებდეს ირმის რქის პრიმიტიული

სახუნელი იარაღი, ქვაცხელების B₁ ფენაში აღმოჩენილი (ჯავახიშვილი, ლლონტი, 1962, ტ. XXXIII), რომელიც გამწევი ძალის გამოყენებას ვარაუდობს; გარდა ამისა, ნამგლების დიდი რაოდენობა, რომ ლებზიც ხის ბუღის კვალიანი ცალებიც მოიპოვება (ტ. XXVI).

კერამიკაში უფრო იგრძნობა სხვაობა, რაც საშუალებაზე გვაძლევს გავმიგნოთ III ეტაპი წინასაგან. II ეტაპისთვის დამახასიათებელია ჭურჭლის ბიკონუსური ფორმა, მკვეთრი წიბოთი კორპუსის შუაწელის ირგვლივ გრაფიკული ორნამენტაციის სიმცირე და ინდივიდუალური ხასიათი, ისიც II პერიოდის ბოლოს, ქვაცხელების C₁ ფენაში იჩენს თავს. III ეტაპისთვის დამახასიათებელია, დიდი ზომის სქელკადლიან ჭურჭელთან ერთად, შედარებით წმინდა სტრუქტურის, მტკიცე, თხელკერიანი, კრავად გაპრიალებული შავზედაპრიანი ჭურჭლის გაჩენა; გამოწვის უფრო მაღალი ხარისხი; ჭურჭელის საერთო ფორმისა და ნაწილების მეტი დიფერენცირება, ძირითადად სამნაშილადი ფორმა; ჩამოყალიბებული სახის გრაფიკული ორნამენტი, რომელიც უწყვეტ, რიტმულ, ორნამენტულ სარტყლებსა ქმნის. დიდი სიახლოვე, როგორც კერამიკის ფორმებში, ისე ორნამენტაციის სტილში, ჩანს აღრეული ყორლანების მასალებთან, რომლებიც ამ პერიოდში არსებობენ შიდა ქართლის მიმდებარე ტერიტორიებზე — თრიალეთში, ქვემო ქართლში, კახეთში. ამ ეტაპზე იჩენს თავს ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტი, რომელიც სრულიად უცხო იყო შიდა ქართლის კერამიკული კომპლექსისთვის.

ცვლილებები მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტის განვითარებაში, მის III ეტაპზე უნდა შეეტანა სამხრეთიდან მოსულ იმპულსებს, სადაც მტკვარ-არაქსის კულტურის არარატის ველის ვარიანტისთვის დამახასიათებელია ჭურჭლის სამნაშილადი ფორმა და ჩაღარულ-ამობურცული ორნამენტი. მაგრამ ეს იმპულსები არა უშუალოდ არარატის ველიდან მომდინარე ჩანს, არამედ ქვემო ქართლის ვაკისა და მისი მომიჯნავე დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, სადაც ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა ყაითმაზი, დანგრეული გორა, ბაბა დერვიში, იმდენად მკაფიოდ ჩანს არარატის ველის გავლენა, რომ მოსახლეობის გადაადგილებაც უნდა ვივარაულოთ. შიდა ქართლი შეკავშირდება ამ რეგიონებს მტკვრის ხეობის მეშვეობით. ის, რომ შიდა ქართლში მხოლოდ კულტურულ იმპულსებს ჰქონდა ადგილი და არა სამხრეთ მტკვარარაქსული ტომების მიგრაციას, ჩანს იმაში, რომ არ შეცვლილა ტრადიციული არქიტექტურა, ცხოვრების სტაბილური ხასიათი, კერამიკული კომპლექსის ძირითადი კომპონენტები. პირი-

ქით, გამდიდრებული ახალი იმპულსებით, მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტი უფრო მაღალ საფეხურზე ადრს და თავისი განვითარების უმაღლეს დონეს III ეტაპის დასასრულს ოწევს, ციხია-გორის B₂ ფენის არსებობის ხანაში და სწორედ მაშინ შედგები თარება ამ კულტურის შიდაქართლური ვარიანტისა; შემთხვევაში არაქსის კულტურა აგრძელებს არსებობას შიდა ქართლის ტერიტორიაზე.

IV ეტაპი, რომელიც ძვ. წ. XXII საუკუნეში იწყება, მტკვარ-არაქსის კულტურის დესტაბილიზაციის ხანაა შიდა ქართლში და შესაძლოა, მთელ კავკასიაში. ადგილი აქვს მტკვარარაქსული კულტურის მატარებელ ტომთა გადაადგილებას. შიდა ქართლში, ციხიაგორის B₁ ფენის მასალებში აისახა ის საკმაოდ მკვეთრი ცვლილებები, რომლებიც ახალმოსულმა ტომებმა შემოიტანეს — ქვითა და ალიზით ოთხკუთხა შენობების აგება, კერამიკული კომპლექსის ზოგიერთი თავისებურება, გვაფიქრებინებს, რომ ეს ტალღა სამხრეთიდან, შესაძლოა, აღმოსავლეთ ანატოლიიდან მიმდინარებდა. რით იყო გამოწვეული მტკვარ-არაქსულ ტომთა გადაადგილება და ამ კულტურის კრიზისი, ძნელი სათქმელია, მაგრამ შესაძლოა ეს მოვლენები დაკავშირებული იყო ამიერკავკასიაში ახალი, ბედენური კულტურის გამოჩენასთან, რომლის ნიშნები ასევე გამოჩნდა IV ეტაპის დასაწყისში, ციხიაგორის B₁ ფენაში.

შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის IV ეტაპი, იმავე დროს, ბედენის კულტურის I ეტაპია, რაღაც აღნიშნულ პერიოდში ეს ორი კულტურა თანაარსებობს ამ რეგიონში. თანაარსებობის პერიოდი საუკუნეზე მეტ ხანს უნდა გაგრძელებულიყო. ციხიაგორის B₁ ფენა საწყისია, ხოლო მისი A დონე IV ეტაპის ფინალს მიეკუთვნება და ასახვს მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის დასასრულს ამ რეგიონში და ბედენური კულტურის დამკვიდრებას.

ბედენური კულტურის II ეტაპი შიდა ქართლში წარმოდგენილია ბერიკლდების ბედენური ფენით და არის გარდამავალი საფეხური ადრებრინჯაოდან შუაბრინჯაოს ხანაზე.

* * *

ადრეული ყორლანები საქართველოს ტერიტორიაზე პირველად შეისწავლა ბ. კუფტინმა თრიალეთში, წალკის პლატოზე გათხრების შედეგად (კუფტინი, 1941). თრიალეთში ადრეულებს მიეკუთვნება.

IV, XIII, XIX, XXIV ყორლანები (გოგაძე, 1972; ჯაფარიშვილი 1973). შემდგომში ამ პერიოდის ყორლანები აღმოჩნდა სამგორის ვალზე (ქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 92—93, ტ. VIII₅₋₈, ს. 54—57) და კულტურულისის მახლობლად, მარტყოფში (ჯაფარიძე, კიკვიძე, ავალიშვილი, რეთელი 1980; ჯაფარიძე, 1991) — I, II, IV ყორლანები.

გვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში, ამიერკავკასიაში და კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში, ვრცელდება დაკრძალვის ახალი წესი — ინდივიდუალური ყორლანული სამარხი, რომელსაც აქ არ გააჩნდა ადგილობრივი ტრადიციები (ჯაფარიძე, 1988). ყორლანული სამარხების გამოჩენას უკავშირებენ კავკასიის ჩრდილოეთით მოსახლე მესაქონლე ტომების გავლენას (გოგაძე, 1972; ჯაფარიძე, 1975, 1988), რომელთათვის სამარხის ეს ტიპი ტრადიციულია. იგი კავკასიის ჩრდილოეთით გავრცელებული, ე. წ. ძველი ორმოსამარხების კულტურის წიაღში უნდა წარმოქმნილიყო გვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულს (მერპერტი, 1974). შემდეგში ამ კულტურის მატარებელმა ტომებმა სხვადასხვა მიმართულებით იწყეს მოძრაობა, შორს დასავლეთით ვრცელდებიან და სამხრეთ რუსეთის სტეპების გზით, დუნაისპირეთის მიღმა მხარეებს აღწევენ. მოძრაობის ამ დიდ გზაზე ეს მესაქონლე ტომები მიწათმოქმედი მოსახლეობის ზონებში იჭრებიან და არღვევენ მათი მეურნეობის სიმყარეს (მერპერტი, 1977). როდესაც გვ. წ. წ. III ათასწლეულში, უზარმაზარ სივრცეზე, ძველი ორმოსამარხების კულტურულ-ისტორიული ერთობა იქმნება, სამარხის ყორლანული ტიპი მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანი ხდება.

ამიერკავკასიაში დაკრძალვის ყორლანული წესის გავრცელებამ კულტურაში ნაკლები ასახვა პოვა. ყორლანულ სამარხებში გამოვლენილი კულტურა, უპირატესად, ადგილობრივ ტრადიციებზე იყო დაფუძნებული. თუმცა დაკრძალვის ახალი წესი მოსახლეობის ახალი მასის გამოჩენასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, ჩანს, რომ ახალმოსულები, ძირითადად, ადგილობრივ კულტურს ითვისებენ. მესაქონლე ტომებს შედარებით ადვილად გადააქვთ უფრო მაღალი კულტურის ტრადიციები. შესაძლოა რიცხობრივად ისინი არცთუ ისე ბევრი უნდა ყოფილიყვნენ და შედარებით სწრაფად აითქვითნენ ადგილობრივ მოსახლეობაში (ჯაფარიძე, 1988).

ადრეულ ყორლანებში, თვით დაკრძალვის წესის გარდა, შეინიშნება ჩრდილოები ელემენტები — ქვის ცულები, სამგორის და მარტყოფის I ყორლანებში, ცხოველის კბილებისა და ეშვებისაგან ნაკეთები საკიდები; მაგრამ ძირითადი მასალა — კერამიკა, ლითონის იარა-

ღი, სამკაულები, მტკვარ-არაქსის კულტურისთვის დამხასიათებელი ფორმებისაა (ჯაფარიძე, 1988). ყორლანებში აღმოჩენილ ჭურჭელს მტკვარარაქსულ კერამიკასთან განსაკუთრებით აახლოვენ მტკვარარაქსულ ტიპის ხასიათი (გოგაძე, 1972; ჯაფარიძე, 1988).

აღრეულ პერიოდში ყორლანები არ გვირცელებულა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. დღეისთვის არსებული მონაცემებით, ისინი თრიალეთის და კახეთის ტერიტორიაზე, ალბათ, მესაქონლეობისთვის უფრო ხელსაყრელ რეგიონებში ვრცელდებიან. როგორც ჩანს, თრიალეთში და მარტყოფ-სამგორში კომპაქტურად განლაგებული ყორლანების არსებობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ სახლობდა ყორლანული კულტურის მატარებელი ორი სხვადასხვა ტომი (ავალიშვილი, 1991). სწორედ იქ უნდა მომხდარიყო ახალმოსულებისა და ადგილობრივი, მტკვარარაქსული ტომების შერწყმა. ყორლანებში დაკრძალვის წესის დამკვიდრება იმაზე მეტყველებს, რომ ახალმოსულები ჩრდილოეთიდან, ალბათ, სამხედრო პრიორიტეტს ფლობდნენ და სოციალურ დაწინაურებას მიაღწიეს. ამასთან ერთად, ყორლანული სამარხი იდეოლოგიური და რელიგიური წარმოდგენების ცვლილებას ასახავს. აღნიშნულ რეგიონებში მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარები ნაკლებად არის შესწავლილი, მით უფრო სტრატიფიცირებული ძეგლები, არადა სწორედ ამ ნამოსახლარის მასალებში იქნება ასახული ის ცვლილებები, რაც ყორლანული კულტურის მატარებელმა მოსახლეობამ შემოიტანა. ადგილობრივ, მტკვარ-არაქსულ კულტურაში. ამ მხრივ საინტერესოა ივრის ხეობაში, თიანეთში, სოფელ ბადაანთან გამოვლენილი ნასახლარი (მირცხულავა, 1984), რომლის მტკვარარაქსული მასალა აღრეყორდანულ იერს ატარებს.

მესაქონლე მოსახლეობის გამოჩენამ, ალბათ, გარკვეული ცვლილებები შეიტანა მტკვარარაქსულთა მეურნეობის ხასიათში. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი ხელსაყრელი პირობები იყო, დაწინაურებას იწყებს მესაქონლეობა. ამ ცვლილებებს, დასაწყისში მაინც, არ გამოუშვევია მკვეთრი გარდატეხა მტკვარარაქსულ ტომთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში. თრიალეთისა და სამგორის ყორლანების სამარხეული ინვენტარის სილარიბე და ერთგვაროვანი ხასიათი თითქოს იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ საზოგადოების შიგნით მიმდინარე ჭონებრივი უთანასწორობის პროცესი ნაკლებად შესამჩნევია. დაწინაურებულ წევრს უფრო მოზრდილ ყორლანებში კრძალავდნენ, რომლის აგებაშიც, ალ-

ბათ, მთელი გვარი თუ ტომი მონაწილეობდა, მაგრამ ქონებრივად რა გით წევრთა ყორლანებისაგან ჯერ კიდევ მაინცა და მაინცა სრ გამოირჩეოდა (ჯაფარიძე, 1988).

როგორც ჩანს, ასეთი მდგომარეობა საზოგადოების შეუნიტირებული ხელის არ გაგრძელებულა. გამორჩეულ მდგომარეობას მიღწეული წევრი ეკონომიკურადაც წინაურდება. ეს კარგად გამოჩნდა მარტყოფის ყორლანებში. ისინი, დროით, თრიალეთისა და სამგორის ყორლანებს ბევრად არ ჩამორჩებიან, მაგრამ მათში უკვე აშკარად შეიმჩნევა, რომ დაჭრალული წევრი საზოგადოებისა ქონებრივადაც გამორჩეულია. კორლანები, აგების წესით, მათზე დახარჯული შრომითა და დროით, დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ მარტყოფის ყორლანები აშკარად გამოირჩევიან სამარხეული ინვენტარის სიუხვით. თანაც ამ ყორლანების ნივთიერი მასალა შედარებით უფრო მაღალი ნახელავია, მრავალფეროვანია. როგორც კი საზოგადოების დაწინაურებული, არის ტოკრატიული ნაწილი ქონებრივადაც მომძლავრდა, ამან გარკვეული ასახვა სამარხების ნივთიერ მასალაში პოვა (ჯაფარიძე, 1988).

შიდა ქართლს ეს პროცესები, როგორც ჩანს, უშუალოდ არ შეხდია. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის შუახანებამდე, მტკვარ-არაქსის კულტურის ადგილობრივი ვარიანტის განვითარება არ შეწყვეტილა, და ცხოვრების წესში არ ჩანს მკვეთრი ცვლილებები. ყორლანების პირველი გამოჩენა შიდა ქართლის მეზობელ რეგიონებში ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებში უნდა მომხდარიყო, შიდა ქართლის მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების II ეტაპის დასასრულს, ამ დროიდან, შესაძლოა, მათი მიბაძვით იწყება ტყვიავის (მაკალათია, 1943) და საჩხერის (ჯაფარიძე, 1961) ყორლანების აგება, რომლებიც მხოლოდ პირბითად შეიძლება მივიჩნიოთ ყორლანებად, ისინი უფრო საგვარეულო სამაროვნებს წარმოადგენენ.

III ეტაპზე, როდესაც შიდა ქართლში გრძელდება მტკვარ-არაქსის განვითარება ქვაცხელების B-ციხიაგორის B დონეებში, ფუნქციონირებს საჩხერის სამაროვნები, თრიალეთში იგება IV, XIII, XIX, XXIV ყორლანები, სამგორის, მარტყოფის I, II, IV ყორლანები. მათ აახლოვებთ ერთმანეთთან კერამიკის ფორმები და ორნამენტაციის ხასიათი, ლითონის იარაღი, განსაკუთრებით დამახასიათებელია ყუადა-ქანებული ვიწროტანიანი ცულები, სხვა იარაღ-სამკაული. სტადიალურად, ეს მოვლენები ძვ. წ. XXIV—XXIII საუკუნეებს მიეკუთვნია.

ნება. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს ჩეგიონებს არათანაბარი განვითარება ეტყობა. შიდა ქართლში აგრძელებს არსებობას სტაბილური გვაროვნული საზოგადოება, დაფუძნებული მიწათმიცველ მეურნეობაზე; ხოლო მეზობელ ჩეგიონებში, თრიალეთში და კახეთში ადგილობრივი მტკვარარაქსული კულტურის მატარებელ ტომების, რომელთაც ჩრდილოური გავლენა შეეხო, საფუძველზე ყალიბდება მესაქონლე-მიწათმოქმედთა ტომები, რომლებშიც სწრაფი ტემპით ვითარდება სოციალური დიურენციაციის პროცესი, გამოიყოფა და ძლიერდება გვაროვნული არისტოკრატია და სხვა. ყორლანი, როგორც ჩანს, საზოგადოების დაწინაურებული წევრის, ტომის ბელადის სამარხს წარმოადგენდა. იგი გამოირჩეოდა თავისი ზომით, კონსტრუქციით, ინვენტარით; რიგითი წევრები, სავარაუდოა, ძველი წესისამებრ იმარხებოდნენ ორმოსამარხებში და ქვაყუთებში.

დაკრძალვის ყორდანული წესის შემოსვლა გარკვეულ ეთნიკურ ძერებთან იყო დაკავშირებული. უცხო ეთნიკური ელემენტის გამოჩენასთან ერთად, განსხვავებული ტიპის სამარხი ვრცელდება (ჯაფარიძე, 1988). აღრეული ყორდანუნები ძირითადად ჩრდილოეთიდან შემოსულ, უცხო წარმომავლობის პირებს ეკუთვნოდათ, რომლებიც ერთხანს საზოგადოებაში დაწინაურებულ მდგომარეობას აღწევენ (ჯაფარიძე, 1988). ეს პირველი ნაკადი მოსულებისა არცთუ ისე ძლიერი იყო, მათ არ გამოუწვევიათ მტკვარ-არაქსის კულტურის ნგრევა. პირიქით, შეითვისეს ეს კულტურა და საერთოდ, ადგილობრივ მოსახლეობაში გაითქვითნენ; ამიტომაც მათი კულტურა მტკვარარაქსის კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ამ კულტურის განვითარებას გვიანდელ ეტაპზე. მაგრამ მაინც, ახლის გამოჩენამ გარკვეული დაიღ დასვა საზოგადოების ცხოვრებას, დააჩქარა სოციალური დიფერენციაციის პროცესები.

მტკვარ-არაქსის კულტურის საერთო კრიზისი და დესტაბილიზაცია, შიდა ქართლის პერიოდიზაციით, IV ეტაპზე იჩენს თავს, სავარაუდოდ, ძვ. წ. XXII საუკუნეში. იგი არ იყო დაკავშირებული არც მეურნეობის კრიზისთან და არც საზოგადოების შიგნით მიმდინარე სოციალურ პროცესებთან; ყოველ შემთხვევაში, ციხიაგორის B2 ფენაში, რომლითაც მტკვარ-არაქსის კულტურის შიდაქართლური ვარიანტის განვითარების III ეტაპი მთავრდება, ამის არავითარი ნიშნები არ ჩანს. ჩვენი აზრით, მტკვარ-არაქსის კულტურის დესტაბილიზაცია და შემდგომ საბოლოოდ დაცემა, გამოწვეული იყო სრულიად უცხო



კულტურის გამოჩენით, რომელიც დღეს ბედენური კულტურის ხელში დაგენერირდა ცნობილი.

ბედენური კერამიკა ჩვენში ჯერ კიდევ თრიალეთის ბორცვებით აღმოჩენილი იყო შენიშვნული (კუფტინი, 1948; გაფარიძე, 1972; ჯავახიშვილი, 1973) — XI, XXII, XXV, XXVII, XL, LXVI ყორლანები. მაგრამ განსაკუთრებით კარგად იგი გ. გობეგიშვილის მიერ გათხრილ ბედენის ყორლანებში იყო წარმოდგენილი (გობეგიშვილი, 1981). და ამიტომ იგი „ბედენური“ კერამიკის სახელითაა ცნობილი. შესაბამისად, ამ კერამიკის შემცველი ძეგლები ბედენურ კულტურას მიეკუთვნება.

ბედენური კულტურა, ძირითადად, ყორლანული სამარტებიდან მიმდინარე მასალის საფუძველზე იხილება (გობეგიშვილი, 1981; დედაბ-რიშვილი, 1979; ჯაფარიძე, 1975, 1988, 89; 1991; ლორთქითანიძე, 1989). ბედენური კულტურის ყორლანები გამოირჩევიან სამარტეული ინვენტარის სიუხვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია კერამიკა, რომელიც ესოდენ თავისებურ სახეს აძლევს ამ კულტურას. ძირითადი სწორედ კერამიკა, რომელიც ბედენური ტიპის ძეგლებს აერთიანებს (გაფარიძე, 1989). იგი ჭურჭლის ფორმების მრავალგვარობით ხასიათდება, ხელით ნაძერწია და გამოირჩევა ზედაპირის დამტუშვების მაღალი დონით. გარეთა პირის სიკრიალე ზოგჯერ ლითონის ბზინგარებამდეა მიყვანილი. მართალია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ბრინჯაოს ხანისათვის, საერთოდ, შავბრიალა კერამიკა დამახასიათებელი, მაგრამ არც ერთ ღროს ჭურჭლის ზედაპირის კრიალს ასეთ დონემდე არ მიუღწევია, როგორც ბედენურ ხანაში. კერამიკის ფორმები დიდი ოსტატობითაა გამოყანილი, განსაკუთრებით მომცრო ზომის თხელკედლიანი ჭურჭლისა. მათში ყველაზე დამახასიათებელია ორი ტიპის ჭურჭელი — ერთი ცილინდრული, არცთუ ისე მაღალი ყელით, პირგადაშლილი და უპირატესად, ბირთვისებრი მოყვანილობის მუცლით, ცალყურა ჭურჭელი, და მეორე, ბიკონუსური ტანით, დაბალი, ჩაღარული ყელით, პირგადაშლილი, ცალი ყურით. ცილინდრულყელიან ჭურჭელს ხშირად მხარეზე ამოღარული ხაზები უვლის, ზოგჯერ ერთი ან მეტი მწკრივი კოპებისა — „მარგალიტისებური“ ორნამენტით. გვხვდება ფაქიზად ნაკაწრი გეომეტრიული სახის ორნამენტით შემქობა. დამახასიათებელია აგრეთვე ცალყურა ტოლჩები და სასმისები, ხშირად ფაქიზი ნაკაწრი გეომეტრიული სახეებით შემკული. გარდა ფაქიზი კერამიკისა, ცნობილია შედარებით ტლანქად ნაძერწი, სქელკედლიანი, მოზრდილი და საშუალო ზომის დერგები, ქილები, ქოთნები და სხვა, უყელო და

ჩილარული ყელით, ზოგჯერ კი დაბალი ცილინდრული ყელით. მოზრდილ ჭურჭელს უპირატესად კვერცხისებრი მოყვანილობის ტანი აქვთ, მხარზე მიმული პატარა ყურებით. ზოგჯერ ჭურჭლები კუსტულტერა სებრი „ორნამენტით ან ნაკაწრი გეომეტრიული სახეებისა შემცველა“ (ჯაფარიძე, 1989). ჩნდება აგრეთვე ქილისებური ფორმის ტლანქი ჭურჭელი, დამახასიათებელი რელიეფური სარტყლის ორნამენტი, მრგვალი ფოსოებით, წვეტიანი შტამპით მთლიანად დაფარულ ზედაპირიანი ჭურჭელი (გოგაძე, 1972, გვ. 91).

ბედენური კულტურის არსებობის ხანაში საგრძნობლად წინაურდება მეტალურგია, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულისათვის განვითარების უკვე საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს. პირველად ჩნდება კალიანი ბრინჯაოს ნივთები. მანამდე, ძირითადად, გავრცელებული იყო დარიშხანიანი ბრინჯაო (დედაბრიშვილი, 1979; ჯაფარიძე, 1989). ძველ ფორმებთან ერთად, ლითონის ნაწარმის ახალი სახეობები ჩნდება. დამახასიათებელი ჩანს შედარებით ფართო პირიანი, ყუამილიანი ცული. იგი ფორმით საგრძნობლად განსხვავდება ყუადაქანებული ცულისაგან, რომელიც, ჩანს, ამ დროიდან გამოღის ხმარებიდან. უაღრეს ყორლანებში გავრცელებული ლითონის პირამიდისებრთავიანი ისრისპირები ბედენის კულტურაში თითქმის აღარ ჩანს და მათ ადგილს იყავებს შესანიშნავად ნაკეთები ობიექტების ისრისპირები.

დაკრძალვის წესში მნიშვნელოვანი ცვლილება ჩანს. ბედენურ კულტურის ხანაში შემოღის პირველად ჩვენში მიცვალებულის ყორლანებში ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვის წესი (ჯაფარიძე, 1989).

ბედენური კულტურის წარმომავლობის საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის; როგორც ყორლანულ კულტურას, მას ჩრდილოეთიდან მოსულად მიიჩნევენ (ბარნეი, 1958; ჯაფარიძე, 1975; ორჯონიკიძე, 1983), თუმცა აღნიშნავენ მასში სამხრეთულ ელემენტებსაც — ხის ოთხთვალა ეტლთან ერთად დაკრძალვის წესი, საიუველირო ნაწარმი და სხვა (ჯაფარიძე, 1989; ფიცხელაური, 1988). მაგრამ ამას ძირითადად სამხრეთულ კულტურებთან კონტაქტებს მიაწერენ.

ბედენური კულტურის გენეზისის პრობლემა ჩვენი კვლევის საგანს ამჯერად არ წარმოადგენს; მაგრამ, ჩვენი აზრით, ის სრულიად უცხო კულტურაა მტკვარ-არაქსის კულტურასთან შედარებით და საიდანაც არ უნდა შემოსულიყო იგი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, სწორედ ბედენური კულტურის გამოჩენამ გამოიწვია მტკვარ-არაქსის

კულტურის დესტაბილიზაცია. თუმცა ეს პროცესი საქმაოდ ხანგრძლივი იყო და ეს ორი კულტურა საქმაო ხანს თანაარსებობს, როგორც ეს უკვე აღნიშნული იყო სამცხე-ჭავახეთის IV საფეხურის შასალების საფუძველზე (ორგონიკიძე, 1983, გვ. 104—107).

მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურების თანაარსებობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება ისეთი ძეგლების მასალებში, როგორიცაა: ილტოს ნამოსახლარის ქვედა ფენები კახეთში (დედაბრიშვილი, 1969), ზევლის ნამოსახლარი სამცხე-ჭავახეთში (ორგონიკიძე, 1983), ბეშთაშენის ციკლოპური სამაგრის II და III კომპლექსები თრიალეთში (კულტინი, 1941, გვ. 115—117, ტ. CXXII, CXXIV), ხაშურის „ნაცარგორის“ შერეულკერამიკიანი კომპლექსიშიდა ქართლში (რამიშვილი, 1987; ორგონიკიძე, 1992), საჩხერის ზოგიერთი უგვიანესი სამარხი (ჯაფარიძე, 1961, გვ. 138), თრიალეთის XII ყორდანი (გოგაძე, 1972, ტ. VIII), შულავერის № 5 და № 9 ყორდანები (ჯაფარიძე, 1975) და სხვა.

ციხიაგორის ნამოსახლარის სტრატიგრაფიული მონაცემები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ბედენის კულტურის გამოჩენის პერიოდი შიდა ქართლში და მისი მტკვარ-არაქსის კულტურასთან თანაარსებობის დრო, რაც ჩანს, საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა. ამიტომ მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის IV ეტაპი ემთხვევა ბედენის კულტურის I ეტაპს. ციხიაგორის B₁ ფენის არსებობის დროს ბედენის კულტურა შემოდის აღნიშნულ ტერიტორიაზე, ხოლო ციხიაგორის A₂, A₁ ფენები ამ ეტაპის ფინალურ სტადიას მიეკუთვნებიან. ტრადიციული ქრონოლოგიით, IV ეტაპი ძ. წ. XXII—XXI საუკუნეებით თარიღდება. ციხიაგორის B₁ ფენის — A დონის სტრატიგრაფიული მონაცემები სრულიად ბუნებრივად ხდიან ხოვლეს ყორლანის-სტრატიგრაფიას, სადაც, როგორც ცნობილია, მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკის შემცველი № 1 სამარხის ქვეშ მოქცეული იყო № 2 ბედენური კერამიკის შემცველი სამარხი (გოგაძე, 1972; ორგონიკიძე, 1983, გვ. 105). ხოვლეს ყორლანის ძირითადი № 2 ბედენური სამარხი მტკვარ-არაქსის კულტურის IV ანუ ბედენური კულტურის I ეტაპის საწყის პერიოდს განეკუთვნება, ხოლო ჩაშვებული № 1 მტკვარარაქ-სული სამარხი ამ ეტაპის ბოლოსი, ციხიაგორის A დონის დროინდელია.

მტკვარ-არაქსის IV — ბედენის I ეტაპს უნდა მიეკუთვნებოდეს ყველა ის ძეგლი, სადაც ერთად გვხვდება მტკვარ-არაქსისა და ბედენის კულტურისთვის დამახასიათებელი მასალები. აგრეთვე, დღეს არ-

